სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 7 მარტი 2001 №39 (1312) | ფასი 50 თეთრი

ალექსანდრე ბურსაძე

გადანდა!

ხიზანიშვილი ნემსაძის თანაგუნდელია

ერთი კვირაა, ზურაბ ხიზანიშვილი შოტლანდიურ „დანდიშია“, სადაც ამიერიდან კიდევ 3 თვეს და 2 წელიწადს უნდა დარჩეს. გუშინ საღამოს ხიზანიშვილმა 2003 წლის ზაფხულამდე გააფორმა კონტრაქტი გიორგი ნემსაძის კლუბთან.

საქართველოს ნაკრების 19 წლის ნახევარმცველის გარშემო ატეხილი სატრანსფერო ორომტრიალი სამშაბათს ასე დასრულდა: ყოფილი თბილისის ლოკომოტიველი, ფიფას ვერდიქტით გუშინდლამდე თავისუფალი აგენტი ახალი კონტრაქტით „დანდის“ დაუკავშირდა:

— მოლაპარაკება დილით, ათ საათზე დაიწყო და საღამომდე გაგრძელდა. ჩემს ინტერესებს პირადი აგენტი, ინგლისელი ათოლ სტილი იცავდა. შუადღისას ვივარჯიშე და კონტრაქტს მერეღა მოვაწერე ხელი. შოტლანდიელთა სურვილია, აქ 2003 წლამდე დავრჩე და ხელშეკრულებით ასეც იქნება, თუ მანამდე სხვა კლუბმა არ მოინდომა ჩემი შეძენა.

— *ასეთ შემთხვევაში „დანდი“ რას მოითხოვს?*

— თავისას, მაგრამ ისეთ თანხას ვერა, რომელიც ჩემს წასვლას დააბრკოლებს.

— *გამოდის, აგენტს საშენო კონტრაქტის გაფორმება მოუხერხებია.*

— ასეა და მთავარიც ესაა, რომ „დანდისთან“ კაბალური კონტრაქტი არ მაკავშირებს — გვითხრა წუხელ ხიზანიშვილმა, რომელსაც გიორგი ნემსაძის დახმარებით დავუკავშირდით.

ერთი სიტყვით, ხიზანიშვილის ახალი მეპატრონე ცნობილია. ახლა, საქართველო — რუმინეთის 28 მარტის მატჩამდე საკითხავი ისაა, როდის შეუდგება „დანდიში“ თამაშს ნაკრების წევრი. მისივე თქმით, ეს დამოკიდებულია კლუბის ხელმძღვანელებზე, რომლებიც უმოკლეს ვადაში უნდა შეეცადნონ ქართველისთვის ბრიტანეთში სამუშაო ვიზის მიღებას. ამის შემდეგ ზურა თბილისში ჩამოვა, ბრიტანეთის საელჩოს მიაკითხავს და დანარჩენი უკვე „დანდის“ მთავარი მწვრთნელის, ივანო ბონეტის გადასაწყვეტი იქნება. როცა იტალიელი საჭიროდ ჩათვლის, ხიზანიშვილის დებიუტიც მაშინ შედგება. მანამდე კი ჩვენებური დანდიში რჩება, სადაც პრაქტიკას სარეზერვო გუნდის ოფიციალურ მატჩებში თამაშით გაიმდიდრებს.

კონტრაქტის გაფორმებამდე კი ივანო ბონეტიმ „ივნინგ ტელეგრაფს“ ეს განუცხადა:

„ჩვენ ველაპარაკეთ ხიზანიშვილს, მის აგენტს, მამამისს, მაგრამ კიდევ ოთხ თუ ხუთ კლუბს სურს მისი გადაბირება და „დანდის“ ერთადერთი უპირატესობა საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძეა. თუმცა, ეს მაინც არ გვაძლევს იმის უფლებას, ხიზანიშვილი წინასწარვე ჩვენად დავიგულოთ. ის ძალიან კარგი მოთამაშეა და გული დამწყდება, თუ აქ არ დარჩა.“

ხიზანიშვილი „დანდიში“ დარჩა...

ვახტანგ ბზიკაძე

სპარტაკი შავებში

ბაიერნს მაღე გოვუ-ტანეს

REUTERS ლონდონიდან

არსენალი — სპარტაკი. ტიერი ანრის ღონიერმა თავურმა მოსკოვის „სპარტაკი“ C ჯგუფის ფსკერზე დატოვა

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი ტურის 12 გოლიდან სამი უჩვეულო იყო, სამიც სენსაციური. კლაუდიო ლოპესმა კუთხურიდან გაიტანა, რაულმა ხელით, ფიგუს ატალახებული მინდორი წაეხმარა. ლიონელთა სამმა გოლმა კი „ბაიერნი“ ცალკე შეარცხვინა და ცალკეც მეოთხედფინალში გასვლა გადაუვადა.

იხილეთ მეორე გვერდი

C ჯგუფი		D ჯგუფი	
ლიონი	3	რეალი	3
ბაიერნი	0	ლიდსი	2
არსენალი	1	ლაციო	2
სპარტაკი	0	ანდერლეხტი	1

ეროვნული ხალხისთვის, ხალხი ეროვნულისთვის!

მორაგბეებს ეროვნული სტადიონი სჭირდებათ

— ეროვნულ სტადიონზე თამაში ჩვენი ახირება არ არის. უბრალოდ, სხვაგან წასასვლელი არ გვაქვს. 17 მარტს მძიმე მატჩი გველის: ესპანეთი ძლიერი გუნდია, რუსეთზე არაფრით ნაკლები. თანაც, თბილისში მოსაგებად ყველაფერს გააკეთებს. ესპანეთთან სტადიონზე ბევრი ხალხის მოსვლა და მათი მხარდაჭერა გვჭირდება. და, საერთოდ, თუ სტადიონს „ეროვნული“ ჰქვია, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს იქ თამაშზე უარს არ უნდა ეუბნებოდნენ. ვფიქრობ, ჩვენ ვიმსახურებთ ეროვნულ სტადიონზე თამაშს — განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე რუსთა მძლეველი ქართველი მორაგბეების პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

ბადრი ქეთლაძის ფოტო

ბიძინა გეგიძე: ეროვნულის იქით გზა არ გვაქვს!

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ფუხელ

ჩემპიონთა ლიგა II ეტაპი. V ტური

C ჯგუფი

ლიონი 3:0 ბაიერნი

1:0, 2:0 გოვუ (13, 20), 3:0 ლეგლი (71)
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, კაკაპა, ბრეშე, დელმოტი, ვიოლო, ლინარესი, ლეგლი, დორასო (მალბრანკი 87), ს. ანდერსონი (შანელე 74), გოვუ (ლოკო 83)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური (იანკერი 46), პ. ანდერსონი, ლინკე, ტარნატი, იერემისი, სალიჰამიჯიჩი (შოლი 71), ეფენბერგი, ელბერი, პაულო სერჯიო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: გოვუ, ლეგლი, ლინკე, დეფლანდრე, კუპე, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
40 000 მაყურებელი

არსენალი 1:0 სპარტაკი

1:0 ანრი (82)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, გრიმანდი, ადამსი, ეშლი კოული, ლორენი, ვიეირა, ლიუნგბერგი, პირესი (ვილტორდი 73), ბერხკამპი (კანუ 73), ანრი (ვივასი 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, პარფიონოვი, მიტრეესკი, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი (პისარევი 54), კალინიჩენკო, ირისმეტოვი, რობსონი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
35 196 მაყურებელი

ბაიერნი	5	3	1	1	7:5	10
არსენალი	5	2	2	1	6:7	8
ლიონი	5	2	1	2	7:3	7
სპარტაკი	5	1	0	4	4:9	3

D ჯგუფი

რეალი 3:2 ლიდსი

0:1 სმიტი (6), 1:1 რაული (7), 2:1 ფიგუ (41), 2:2 ვიდუკა (54), 3:2 რაული (60)
რეალი: სესარი, ჟერემი, კარანკა, იერო, სოლარი, მაკელელე (სავიო 87), სელადესი, მაკმანამანი, ფიგუ (რივერა 88), რაული, მორიენტესი (მუნიტისი 76)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ლიდსი: მარტინი, ჰარტი, ფერდინანდი, რადებე (კელი 65), მატეო, დაკური, ბაკე (უილკოქსი 86), ბეტი, კიუელი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ბეტი, კიუელი, მაკელელე, ფიგუ
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
45 000 მაყურებელი

ლაციო 2:1 ანდერლეხტი

1:0 კლაუდიო ლოპესი (40), 1:1 სტოიკა (49), 2:1 ბარონიო (77)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, კოლონეზე, მიხაილოვიჩი, პეზარეზი, პანკარო, ბარონიო, სტანკოვიჩი, რავანელი, კლაუდიო ლოპესი (ლუჩიანი 78), ს. ინძაგი
მწვრთნელი: დინო ძოფი
ანდერლეხტი: მილოშევიჩი, კრასონი (ვან დიემენი 82), დოლი, დეედენი, დე ბოეკი, ილიჩი, ჰასი (დინდანე 80), ვანდერეგე, გოორი, კოლერი (სტოიკა 46), რაძინსკი
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
გაფრთხილება: ილიჩი, ნეგრო, დეედენი, პეზარეზი
მსაჯი: ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)
10 000 მაყურებელი

რეალი	5	4	1	0	14:7	13
ლიდსი	5	3	0	2	9:7	9
ლაციო	5	1	1	3	6:8	4
ანდერლეხტი	5	1	0	4	5:12	3

მადრიდის „რეალი" და „ლიდს იუნაიტედი" მეოთხედფინალში არიან

ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები

უნგრეთი 3:2 თურქეთი

1:0 ჰაინალი (7), 2:0 ბაიზატი (32), 2:1 გიოქდენიზი (66), 2:2 ორჰანი (88), 3:2 ტერიეკი (90)

REUTERS მადრიდიდან

რეალი — ლიდსი. ხუთგოლიანი სერია ინგლისელმა ალან სმიტმა (ქვედა ფოტოზე №17) დაიწყო და ესპანელმა რაულმა (ზედა ფოტოზე №7) დაასრულა

AP მადრიდიდან

REUTERS ლონდონიდან

ფიზკულტურა „ჰაიბერიზე": არსენალელი ტონი ადამსისა და სპარტაკელი ნიკოლაი პისარევის განმკლავი

AP რომიდან

ლაციო — ანდერლეხტი. კლაუდიო ლოპესს (მარჯვნივ) იქ ულოცავენ, საიდანაც გაიტანა — კუთხურის ალამთან

AP ლიონიდან

ლიონი — ბაიერნი. სიდნეი გოვუს ორმა გოლმა გერმანელები ნაქებ ხასიათიანად გატეხა

ინგლისი

I დივიზიონი

XXXVI ტური

ქრიუ — შეფილდი 1:0; კრისტალ პალასი — ბირმინგემი 1:2; ჯილინგემი — უიმბლდონი 0:0; ჰადერსფილდი — გრიმსბი 0:0; ნორვიჩი — ვესტ ბრომვიჩი 0:1; სტოკპორტი — ბარნსლი 0:0; ტრანმერი — პრესტონი 1:1

II დივიზიონი

XXXVI ტური

რექსემი — ოქსფორდი 5:3; ბრისტოლი — უოლსოლი 1:3; ბერი — მილუოლი 2:1; ლუთონი — კემბრიჯი 1:0; ნორთჰემპტონი — როვერსი 2:1; პიტერბრო — ბრენტფორდი 1:1; როტერჰემი — ბორნმუთი 3:1; სუინდონი — ოლდემი 3:0; უიგანი — ნოთსი 1:1; უიკომბი — რედინგი 1:1

III დივიზიონი

XXXVI ტური

ჰარტლპული — როჩდეილი 1:1; სკანთორპი — ბრაიტონი 2:1; ბარნეტი — კარლაილი 0:1; ბლექპული — პლიმუთი 1:0; კარდიფი — ლეიტონი 1:1; ჩელტენემი — მაკლსფილდი 1:1; ჰალი — ჰალიფაქსი 1:0; კიდერმინსტერი — ლინკოლნი 1:3; შრიუსბერი — მენსფილდი 2:1; იორკი — საუთენდი 1:0. ტორკი — დარლინგტონი გადაიდო

შოტლანდია

ასოციაციის თასი

1/8 ფინალი. გადათამაშება

აბერდინი — ლივინგსტონი (I) 0:1; კილმარნოკი — ინვერნესი (I) 2:1

1/4 ფინალის წილისყრა

10 მარტს: კილმარნოკი — ჰიბერნიანი; ლივინგსტონი (I) — პიტერჰედი (I)
11 მარტს: დანდი იუნაიტედი — გლაზგო რეინჯერსი; დანფერმლაინი ან სელტიკი — ჰარტსი ან დანდი

ქართული ეროვნულის პირველი უკრაინული

„დინამო“ — „დილა“. თბილისელმა ზაზა ზირაქიშვილმა (№10) გორელთა მეკარე თამაზ ილურიძეს ორჯერ გაუტანა

მოულოდნელობებით გამოირჩა ჩემპიონატის მეცხრამეტე ტური. აბა, ვინ იფიქრებდა, გადახალისებული და კიდევ უფრო გაახალგაზრდავებული თსუ „გორდას“ თუ სძლევდა.

თვალსა და ხელს შუა გაუჟრინდა „სიონს“ ექვსეულში შეღწევის ჩინებული შანსი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, წლეულსაც უტიტულოდ დარჩება „ბათუმი“. უნდა ემარჯვათ და მოიგეს კიდეც „ლოკომოტივმა“, „ტორპედომ“, „დინამომ“–

„მერანმა“ თავის თავს აჯობა, კიდევ მეტს გვპირდებიან ავჭალელები.

საიუბილეო, მეორასე მატჩი იმსაჯა სერგო კვარაცხელიამ ეროვნულ ჩემპიონატში. ალბათ, ერთ ამდენს კიდევ განსჯის.

წინა ტურთან შედარებით გოლხვავრიელი გამოდგა მეცხრამეტე. ექვს მატჩში გატანილი თოთხმეტი გოლი ნამდვილად არ არის ურიგო შედეგი, თუმც უკეთესიც გვინახავს.

ტური მასპინძლებისა იყო, სტუმრებმა ერთი მოიგეს და ერთიც ფრე გააზერხეს. მარტის ბოლომდე ერთიღა დარჩა გასარკვევი, ვინ იქნება მეექვსე — „მერანი“ თუ „ბათუმი“? ჭირვეულმა თვემ ჯერჯერობით ავჭალელებს გაუღიმა, ვნახოთ, რა იქნება მერე...

ცენტრალური მატჩი ვაკის მშენებარე სტადიონზე ჩატარდა. თასის მფლობელმა ბეჭებზე გააკრა ვიცე-ჩემპიონი. „ვიტ ჯორჯიამ“ წინა ტურთან შედარებით უკეთ ითამაშა, მაგრამ „ლოკომოტივი“ უფრო უკეთესი იყო.

თავიდან რკინიგზელებიც მძიმედ მოძრაობდნენ, მაგრამ ნოდიამ თამაში კარგად წაიკითხა, შეცვლებიც დროულად და ზუსტად გამოიცნო და...

მახარაძემ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ათამაშა საჯაია და ყიფიანი. პრობლემები გაჩნდა დაცვასა და ნახევარდაცვაში. ვეტერინარებმა ანჩაბაძის და კაიდარაშვილის ამოკეტვა კი მოახერხეს, მაგრამ გამძლეობამ უმტყუნათ და რუსია-დათვაძეს ვერაფერი მოუხერხეს.

სტუმართა ოთხკაციანი დაცვა (ჭანკოტაძე, ინწკირველი, კობიაშვილი, მუჯირი), საყრდენი ნახევარმცველი ნოზაძე და მეორე ტაიმში უკანდახეული გოჩაშვილი რკინიგზელთა სისწრაფეს ვერ გაუმკლავდნენ.

დაცვაში ხარვეზები მასპინძლებსაც არ აკლდათ, თუმც ცხადაძის გამოცდილება და ბალაშვილ-ჭიჭვეიშვილის დაუზარელი თამაში ლომაიას საიმედობასთან ერთად გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა ვეტერინარებისთვის.

გამოდის, ნოდიას უკეთ სცნობია „ვიტ ჯორჯია“, ვიდრე მახარაძეს „ლოკომოტივი“. თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ვეტერინართა ყოფილი თავკაცი სერგო კოტრიკაძე ახლა რკინიგზელია და რამდენიმე საგულისხმო რჩევითაც შეეწეოდა კოლეგას.

„ლოკომოტივი“ ისევ პირველია, „ვიტ ჯორჯია“ მეოთხე. ორივესთვის ექვსეული გარანტირებულია. მართალია, ზედმეტი სამი ქულა არავის აწყენს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ გვიან გაზაფხულზე იმ ქულებს ოქროს ფასი დაედება. ესენი სულ მცირე, ორჯერ კიდევ გაეჯიბრებიან ერთმანეთს. არ გამოვრიცხოთ სათასო ბატალიებშიც გადაეყარონ ერთმანეთს. ჰოდა, ვინ მაგარია, იქ გაარკვიონ. გუშინწინ „ლოკომოტივი“ იყო ფავორიტი.

უკეთესი მოთამაშეების ხარჯზე და მწვრთნელის მიერ გამოცნობილი შეცვლების წყალობით იძალა ბოლნისში „მერანმა“. ავჭალელებმა დროზე მოახერხეს დაცვაში ნაპრალების ამოქოლვა. გაბელიას შეგირდებმა გატანის შანსი გამოიყენეს და დღეს „ბათუმს“ ხუთი ქულით უსწრებენ. თაღარიგში ერთი გამოტოვებული მატჩიცაა. წინ კი ოთხი ურთულესი თამაშია, შინ „დინამოსთან“, „ტორპედოსთან“ და „ლოკომოტივთან“, სტუმრად კი კონკურენტ „ბათუმთან“. ავჭალელთა უკრაინელმა ლეგიონერმა ანდრეი მუხინმა კი თავისი პირველი გოლი გაიტანა.

ორჯერ უგებდა „ბათუმი“ „კოლხეთს“. ორჯერ ძალიან ახლოს იყვნენ მასპინძლები ექვსეულთან. შანსი ჯერაც არის, თუმც ძალიან მცირე.

სოსო ფილიამ ზუსტად წაიკითხა თამაში, ათ წუთში ორი შეცვლა გააკეთა და ქულაც წაიღო ფოთში. მეხუთეა ახლა „კოლხეთი“ და ექვსეულში უპრობლემოდ მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ...

წესისა და რიგის მიხედვით, „გორდას“ მცხეთაში უნდა მოეგო, თუმც აურაცხელი საგოლე მომენტებიდან რუსთაველებმა ერთი გამოიყენეს. ამას დავუმატოთ ორი შეცდომა დაცვაში და შედეგიც სახეზეა.

ბოლოს იყო ერთი გაწევ-გამოწევა. მასპინძელი გვაზავა და სტუმარი ჯელაძე წაეკიდნენ ერთმანეთს. გვაზავას წითელი, ხოლო ჯელაძეს ყვითელი ბარათი გამოუწერა კრიჭაშვილმა.

„დინამომ“ უპრობლემოდ მოუგო „დილას“. ორჯერ გაიტანა ზირაქიშვილმა და ბომბარდირთა დავაშიც პირველობს. პოლიცია პატრონობს „დინამოს“, პოლიციელებმავე იკისრეს გუნდის ქომაგობა.

ათგზის ჩემპიონთა რიგებში სიახლეები ჯერაც მოსალოდნელია. ვნახოთ, ვის შეიმატებს „დინამო“.

„დილას“ კრიზისი კი ძალიან გაჭინაურდა. ბოლოდან მეორე ადგილზე ჩაქვეითდნენ გორელები. სათამაშო ჯერაც ბევრია, მაგრამ ამჟამინდელი „დილასთვის“ ზღვისპირელთა და რკინიგზელთა დამარცხება თითქმის წარმოუდგენელია.

საგაზაფხულო ეტაპში ჩაება ქუთაისის „ტორპედო“. „იბერიას“ ძლევა არ გასჭირვებიათ ჩემპიონებს. ხუთი მცველი გამოიყვანა ძოძუაშვილმა, ორიც თადარიგში ჰყავდა. ვერ იხილა რიონისპირელმა ქომაგმა ლევან სილაგაძე, ვერც გვარამაძე

პირველი ოფიციალური გოლი გაიტანა მიხეილ აშვეთიამ მეთორმეტე ეროვნულში.

ისევ ნოლი უწერია „იბერიას“ გამარჯვებათა გრაფაში. ალბათ, მარტის ბოლომდე ასე იქნება, მერე კი...

შვიდი ქულით უსწრებს „ლოკომოტივი“ „ტორპედოს“. ჩემპიონებს ერთი თამაში მარაგში აქვთ, მაგრამ...

წამოეპარა „დინამო“ რიონისპირელებს, თუმც არა გვგონია, გადაასწროს.

რვა ქულას უგებს ათგზის ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონს, ხოლო თავის მხრივ „ვიტ ჯორჯია“ ოთხი ქულით სჯაბნის „კოლხეთს“. ესეც ჩვენი ხუთეული. მაშ, ვინ იქნება მეექვსე — „მერანი“ თუ „ბათუმი“?

მამუკა ძვანტალიანი

„ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“. ლოკომოტიველი გიორგი ანჩაბაძე მეტოქის მცველებს გაურბის

საქართველოს ჩემპიონატი | უმაღლესი ლიგა | მეორე წრე | 12 | 19 ტური

სტატისტიკა

მატჩი	6
გოლი	14
მასპინძელთა მოგება	4
ფრეები	1
სტუმართა მოგება	1
საერთო დასწრება	12 200
საშუალო დასწრება მატჩზე	2 033
საუკეთესო დასწრება (ტორპედო — იბერია)	5 000
მწირი დასწრება(თსუ — გორდა)	700

ლოკომოტივი 2:0 ვიტ ჯორჯია		
9	დაჯარიმდა	8
3	კუთხური	3
4	კარისკენ დარტყმა	2
3	კარში დარტყმა	2
1	თამაშგარე	1

დინამო 2:0 დილა		
10	დაჯარიმდა	11
10	კუთხური	1
5	კარისკენ დარტყმა	2
3	კარში დარტყმა	1
0	თამაშგარე	1

ბათუმი 2:2 კოლხეთი		
12	დაჯარიმდა	13
11	კუთხური	2
4	კარისკენ დარტყმა	2
7	კარში დარტყმა	3
3	თამაშგარე	3

სიონი 0:1 მერანი		
21	დაჯარიმდა	20
9	კუთხური	3
4	კარისკენ დარტყმა	1
5	კარში დარტყმა	2
3	თამაშგარე	4

თსუ 2:1 გორდა		
18	დაჯარიმდა	10
3	კუთხური	3
3	კარისკენ დარტყმა	8
5	კარში დარტყმა	6
3	თამაშგარე	4

ტორპედო 2:0 იბერია		
12	დაჯარიმდა	14
2	კუთხური	7
1	კარისკენ დარტყმა	6
4	კარში დარტყმა	1
2	თამაშგარე	1

ბომბარდირები

12 - ზირაქიშვილი	დინამო
9 - დ. გოდერძიშვილი	მერანი
იონანიძე	ტორპედო
გადელია	დინამო
8 - რუსია	ლოკომოტივი
7 - გ. გ. მიქაძე	დინამო
ა. მუჯირი	ბათუმი
6 - გ. შენგელია	ლოკომოტივი
აფხაზავა	ბათუმი
ლ. მელქაძე	ვიტ ჯორჯია
ფუფუნავა	ვიტ ჯორჯია

სიმბოლური ნაკრები

მიხეილ აშვეთია — ტორპედო
ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
დავით დათვაძე — ლოკომოტივი
დავით გოდერძიშვილი — მერანი
მალხაზ ასათიანი — ტორპედო
ლადო ბურდული — დინამო
მამუკა რუსია — ლოკომოტივი
გიორგი დავითნიძე — მერანი
ზაზაიელ დადანიძე — კოლხეთი
ირაკლი მაშაკიძე — ტორპედო
რევაზ ნაჭყებია — მერანი

გუნდი: ლოკომოტივი
მწვრთნელი: მერაბ ნოდია

უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ლოკომოტივი	19	16	1	2	35:7	28	49	10	9	0	1	22:3	19	27	9	7	1	1	13:4	9	22
2 ტორპედო	18	13	3	2	30:6	24	42	10	7	2	1	17:4	13	23	8	6	1	1	13:2	11	19
3 დინამო	19	13	2	4	45:17	28	41	10	8	0	2	30:7	23	24	9	5	2	2	15:10	5	17
4 ვიტ ჯორჯია	19	9	6	4	26:14	12	33	9	6	1	2	11:2	9	19	10	3	5	2	15:12	3	14
5 კოლხეთი	19	8	5	6	21:16	5	29	9	5	3	1	8:4	4	18	10	3	2	5	13:12	1	11
6 მერანი	18	7	6	5	18:17	1	27	8	4	4	0	10:4	6	16	10	3	2	5	8:13	-5	11
7 ბათუმი	19	6	4	9	24:27	-3	22	10	5	2	3	19:14	5	17	9	1	2	6	5:13	-8	5
8 სიონი	19	5	4	10	13:28	-15	19	10	2	3	5	8:13	-5	9	9	3	1	5	5:15	-10	10
9 თსუ	19	5	3	11	19:33	-14	18	10	3	1	6	9:16	-7	10	9	2	2	5	10:17	-7	8
10 გორდა	19	3	8	8	14:24	-10	17	9	3	4	2	11:7	4	13	10	0	4	6	3:17	-14	4
11 დილა	19	4	3	12	13:35	-22	15	9	3	2	4	11:13	-2	11	10	1	1	8	2:22	-20	4
12 იბერია	19	0	3	16	3:37	-34	3	9	0	2	7	1:17	-16	2	10	0	1	9	2:20	-18	1

საქართველოს 12 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე
18 ტური

ზესტაფონელი სარ შენც?!

ვარდიაშვილი: მეტალურგის გოლისა და გულის ვარდი

ზესტაფონი
3 მარტი
15 საათი
მეტალურგი
1 000 (ტევადობა 10 000)

მეტალურგი 2:1 მილანი

1:0 ვარდიაშვილი (20), 1:1 ქყონია (56), 2:1 ვარდიაშვილი (59)

მეტალურგი: თ. ოდიკაძე, გურეშიძე, ბ. ლურსმანაშვილი, მერებაშვილი, ორმოცაძე, გეწაძე, კაციაშვილი, აჭარაძე, ამაშუკელი (მ. ღონღაძე 57, გოგაძე 68), დ. ოდიკაძე, ვარდიაშვილი
სათადარიგონი: ნიკაბერიძე, ფანცხავა, მახათაძე
მილანი: გ. სომხიშვილი, ტარუღაშვილი, ლუდუშაური, კობაიძე, მეტონიძე, ჩიტაური (კაკუთაშვილი 66), ქყონია, გამცემლიძე (სოსელია 68), ზ. დავითაშვილი (ვარამაშვილი 35), ტოკლიკიშვილი, მედოევი
სათადარიგონი: ძამუნაშვილი, ლეკიშვილი, მ. სომხიშვილი
გაფრთხილება: ჩიტაური (24), ორმოცაძე (55)
მსაჯები: ჯ. ბუშვილი; ბ. ბრეგვაძე (ორივე ქუთაისი), ზ. ერქვანია; ს. კვარაცხელია (ორივე ზუგდიდი)

იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან

მიმდინარე გათამაშებაში ორივე გუნდი უმაღლეს ლიგაში აღზევებას ლამობს. ეს საშემოდგომო ეტაპზეც დადასტურდა. „მილანმა“ იგი მეორეზე, ხოლო „მეტალურგმა“ მეოთხე ადგილზე დაასრულა. ერთსაც და მეორესაც თითქმის განაღდებული აქვს ზედა, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად მებრძოლ ექვსეულში მოხვედრა. არარეალურიცაა, დარჩენილ შეხვედრებში ამათ ეს შანსი ხელიდან გაუშვან.

საშუასეზონო პერიოდში მეტოქეთა შემადგენლობანი საგრძნობლად გადახალისდა. ფეხბურთელებს შეთამაშება რომ აკლდათ, იმთავითვე გამოჩნდა, ოღონდ ისიც სათქმელია, ბევრი წუნის მიუხედავად თამაში სწრაფ ტემპში, დაძაბულად წარიმართა და ამის გამო ინტერესიც არ მოჰკლებია.

დებიუტში წნორელებმა გამოიდეს თავი. სტუმრები რამდენჯერმე სახიფათოდ ეკვეთნენ „მეტალურგის“ საჯარიმოს, მაგრამ შედეგი ვერ მოიმკეს. მასპინძლები თანდათან დაეუფლნენ ინიციატივას.

მე-10 წუთზე გეწაძის დარტყმული ოღნავ აცდა მიზანს. მერე ამაშუკელმა საჯარიმოდან სტუმართა კარის ხარიხას მოარტყა. მალე კი გოლიც გავიდა. მეტალურგთა რიგებს „თორიდან“ შემატებული ვარდიაშვილი გაისარჯა კარგად. მან პარტნიორის გადაცემა შეირგო და დაახლოებით 15 მეტრიდან თავზე გადაუტარა ბურთი კარიდან ოღნავ წინ გამოსულ გიორგი სომხიშვილს. ამის შემდეგ მეტოქეები ერთმანეთს ქაოტურად უტევდნენ, ზედმეტად ჩქარობდნენ და ამ სიჩქარეში ბევრჯერ სცდებოდნენ. შესვენებამდე რაიმე ხიფათი არც ერთ კართან აღარ შექმნილა.

სტუმრებმა მეორე ტაიმიც მონდომებით დაიწყეს და ერთხანს სათამაშო უპირატესობასაც დაეუფლნენ. 50-ე წუთზე მილანელთა ცენტრალურმა მცველმა ღუდუშაურმა მაღალ ნახტომში კარგად შეაგება თავური კუთხურიდან ჩაწოდებულს და მასპინძლები ბეწვზე გადარჩნენ. ხუთ წუთში სტუმრებმა ცენტრიდან შეუტიეს, ტოკლიკიშვილიც სახიფათოდ გაიჭრა კარისკენ, მაგრამ ზედ საჯარიმოს წინა ხაზთან ორმოცაძემ იგი საჭიდაო ილეთით დასცა ძირს. აშკარად გასაძევებელი იყო ამ ეპიზოდში ზესტაფონელი მცველი, არადა არბიტრმა ლმობიერი სასჯელი აკმარა — ორმოცაძე ოდენ გააფრთხილა. მაგრამ, რომ იტყვიან, სამართალმა პური ჭამა. ჭყონიას მიერ დარტყმული ჯარიმა, მართალია, არცთუ ძლიერი იყო, ოღონდ ბურთი „კედელში“ კი გაძვრა და თამაზ ოდიკაძემაც ვერაფერი უშველა თავისიანებს — 1:1.

მასპინძლებმა გაშვებულს მძლავრი იერიშებით უპასუხეს და მალე ისევ დაწინაურდნენ. კაციაშვილმა მარცხენა ფლანგიდან ზუსტად ჩაუწოდა წნორელთა საჯარიმოში შეჭრილ ვარდიაშვილს და ამანაც მოხდენილი თავურით დაბალ კუთხეში გაგზავნა. ამის შემდეგ „მეტალურგს“, სულ მცირე, სამჯერ უნდა გაეტანა, თუმცა... ჯერ მერებაშვილს ახლოდან თაკური გაუცუდდა, მერე აჭარაძის შორიდან დარტყმული ხარიხამ აისხლიტა და იქვე ორმოცაძემაც ვერ იხეირა, გადმოვარდნილს ძლიერი დარტყმა კი შეაგება, მაგრამ მაღალი მოუვიდა.

ასე იყო თუ ისე, „მეტალურგმა“ მეტოქესთან სტუმრად განცდილი მარცხისთვის შური იძია და „მილანს“ ქულებითაც გაუტოლდა.

თბილისი
3 მარტი
15 საათი
ისანი
150 (ტევადობა 3000)

თბილისი 0:0 ცხინვალი

თბილისი: კუპატაძე, ნ. ჯღარკავა, მახარაძე, გუშარაშვილი (ჩალაძე 71), სახურია, აბრამიშვილი, სულავა, მისაბიშვილი (ბუმლაძე 73), ქუხილავა, სანიკიძე, სალარიეშვილი
სათადარიგონი: კოდალაევი; ჯოხრეიძე, ბ. ფირცხალავა, ლ. კაპანაძე, მანაგაძე
ცხინვალი: ქესანაშვილი, ხოხობაშვილი, ტყემალაძე, ვაჩლავაშვილი, მოსიაშვილი, თალაკვაძე, მარგიევი, გლუნჩაძე (ჩაჩიბაია 67), ნასუაშვილი, ბოჭორაძე (ზ. მაისურაძე 46), ციცქიშვილი
სათადარიგონი: რაზმაძე; ნიქარიძე, კობაური
გაფრთხილება: გუშარაშვილი (15), სულავა (40), აბრამიშვილი (85)
მსაჯები: მ. მაისურაძე; ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; ბ. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)

ბორჯომი
3 მარტი
15.15 საათი
ჭიათურა ზონისწყალი
500 (ტევადობა 3 000)

თორი 5:0 ზუგდიდი

1:0 ტარიელაშვილი (14), 2:0 კოპესაშვილი (40პ), 3:0 ჯანაშია (43), 4:0 სეფერთელაძე (47), 5:0 სუხიაშვილი (84)
თორი: სულავა, სადღელიანი, ქოხონელიძე, კობესაშვილი, წიქარიშვილი, სუხიაშვილი, ვ. ფირცხალავა, სეფერთელაძე (მალეკაშვილი 53, ჯორკველია 82), ზარანდია, კ. ჯანაშია, ტარიელაშვილი
სათადარიგონი: ბაქრაძე, ნამგალაძე
ზუგდიდი: ბოლია, საჯაია, გ. ჭურღულია, გეგეჭკორი, მ. დოლიძე, გამსახურდია, ბერულავა, ი. ჭურღულია, სიჭინავა, ვახანია, ანთია, ლემონჯარია
გაფრთხილება: ქოხონელიძე (62), ჭურღულია (87)
მსაჯები: ზ. ჯვარიძე; ვ. ელისაბედაშვილი, კ. თბილელი (ყველა თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

ლანჩხუთი
3 მარტი
15 საათი
ივერიელი შიგარლაძე
300 (ტევადობა 22 000)

გურია 3:0 ივერია

1:0, 2:0 ჯღარკავა (17, 34), 3:0 სამხარაძე (89)
ჩხეტიამ ვერ გაიტანა პენალტები (73, 86)
გურია: დოლიძე, კორკოტაძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, მ. ჯღარკავა, სულაკაძე (ჩხეტია 72), განეკი, ძიქავა (ტ. კუკულაძე 57), ენდელაძე, ფაცურია, პატარაია (გ. სამხარაძე 67)
სათადარიგონი: შეყრილაძე; ძნელაძე, მ. კუკულაძე, ლორია
ივერია: ხუციელიძე, ბ. მელაძე, მ. ლომიძე, ბ. ლომიძე, ნეკერაშვილი, მინდაძე, ჯოობაძე (ყარლავაშვილი 79), ჩადუნელი, ტილავაშვილი, ჯაფარაშვილი (ხარიძე 46), ინასარიძე (ი. გოგოლაძე 72)
სათადარიგონი: ბალიანი; ბ. ვაშაკიძე
გაფრთხილება: კორკოტაძე (38), ჩადუნელი (55), მ. ლომიძე (61), ინასარიძე (72)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციური (დუშეთი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); დ. სანია (სოხუმი)

ძეგულიანი
3 მარტი
15 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 000)

შუქურა 2:0 ოკეანე

1:0, 2:0 კალანდაძე (19პ, 90)
შუქურა: გოგუა, გეგეშიძე, ჩელებაძე, ქუტიძე, ჯ. ბერიძე, მესიანჯარო, ფუტკარაძე, ბაფუნაშვილი, კალანდაძე, კაცაძე (კვირკველია 55), კაკალაძე
სათადარიგონი: ყალიჩავა, ოქროპირიძე, ლომთათიძე, ჩახუნაშვილი, ჯოროტკოვი, გაბუნია
ოკეანე: ჩომახიძე, ტონია, ლომინაშვილი, თოდაძე, მაღლაკელიძე, ს. გოგია, ცომაია, ჩიგოგიძე (ბაკურაძე 61), ხელაძე, ფხაკაძე, ხურციძე
სათადარიგონი: ხარძეიშვილი; ტყეშელაშვილი, გეგენეიშვილი, ჯულაციძე
გაფრთხილება: ჩიგოგიძე (28), ჩელებაძე (60)
მსაჯები: ა. მუმკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. გუთაძე (ლანჩხუთი); კ. მესხი (ზუგდიდი)

წყალტუბო
3 მარტი
15 საათი
26 მაისი
750 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 2:0 ხობი

1:0 ჯაბუა (39ს.ჯ.), 2:0 კიკვიძე (71)
სამგურალი: ბოდოკია, თორქია, ფრანგიშვილი, ქელიძე, ბერაძე, კიკვიძე (კობალიანი 90), ფხაკაძე (კვერნაძე 46), დარსაძე, თურმანიძე, ჯინჭარაძე, ქუთათელაძე (ლ. ქობულაძე 80)
სათადარიგონი: ვარდანიძე; ბანძელაძე, დ. ჯიქია, ცუცქირიძე
ხობი: შ. გოგია, ჯამბურია, ფიფია, ლ. ჯაბუა, დანელია, ლიპარტია, თორია, ხორავა (ტყებუჩავა 46), ქიჭინაძე, როგავა, ხურცილავა, თოლორდავა, ჯიქია
გაფრთხილება: თორია (39), ბერაძე (68)
მსაჯები: ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. რაზმაძე (გორი), მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

ბომბარდირები

13 - გვირჯიშვილი	ცხინვალი
ქუთათელაძე	სამგურალი
11 - ბოჭორაძე	ცხინვალი
გ. გვაზავა	მეტალურგი
კალანდაძე	შუქურა
9 - ტოკლიკიშვილი	მილანი

მეცხრამეტე ტური

9 მარტი, პარასკევი

გურია	—	თორი
ივერია	—	მეტალურგი
მილანი	—	თბილისი
ცხინვალი	—	სამგურალი
ხობი	—	შუქურა
ოკეანე	—	ზუგდიდი

პირველი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 გურია	18	11	4	3	28:20	8	37	9	8	1	0	20:6	14	25	9	3	3	3	8:14	-6	12
2 ცხინვალი	18	10	3	5	40:19	21	33	9	8	1	0	31:5	26	25	9	2	2	5	9:14	-5	8
3 მილანი	18	10	3	5	26:15	11	33	9	9	0	0	20:3	17	27	9	1	3	5	6:12	-6	6
4 შუქურა	18	10	3	5	25:14	11	33	9	7	2	0	16:1	15	23	9	2	2	5	7:14	-7	8
5 მეტალურგი	18	9	6	3	28:16	12	33	9	8	1	0	22:5	17	25	9	1	5	3	6:11	-5	8
6 სამგურალი	18	9	3	6	30:17	13	30	9	8	1	0	26:7	19	25	9	1	2	6	4:10	-6	5
7 თორი	18	8	2	8	21:15	6	26	9	6	1	2	17:6	11	19	9	2	1	6	4:9	-5	7
8 ზუგდიდი	18	7	3	8	26:34	-8	24	9	6	3	0	19:8	11	21	9	1	1	7	8:24	-16	4
9 ხობი	18	4	5	9	11:22	-11	17	9	3	5	1	5:2	3	14	9	1	0	8	6:20	-14	3
10 ივერია	18	4	3	11	11:31	-20	15	9	4	3	2	8:7	1	15	9	0	0	9	3:24	-21	0
11 ოკეანე	18	3	3	12	15:35	-20	12	9	3	2	4	8:11	-3	11	9	0	1	8	7:24	-17	1
12 თბილისი	18	3	2	13	7:30	-23	11	9	3	1	5	6:8	-2	10	9	0	1	8	1:22	-21	1

მაგთი GSM

MAGTI GSM

ფილარმონია.
26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლიუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

გენერალური სპონსორი მაგთი GSM

თქვენ გელით შესვლრა ქართული ფეხბურთის ელიგასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

სარბიელი

ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის
საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის,
გუნდის, გოლის
გამოსაცალენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა,
სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და
ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი .....
2. საუკეთესო მეკარე .....
3. საუკეთესო მცველი .....
4. საუკეთესო ნახევარმცველი .....
5. საუკეთესო თავდამსხმელი .....
6. საუკეთესო მწვრთნელი .....
7. საუკეთესო მსაჯი .....
8. საუკეთესო გუნდი .....
9. უნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი .....

.....

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:
WWW. gff. ge - ვებ გვერდი
gff@ acces. sanet. ge - E-mail

მერაბ ჟორდანიასგან ნიკოლოზ ივანიშვილი შეხმიანებას და კონტრაქტს ელის

აი, კონტრაქტი!

იტყვის დღეს მერაბ ჟორდანია?

გუშინწინ საქართველოს ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩს „ლოკომოტივსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაც დაესწრო. მატჩზე „დინამოს“ ძველი და ახალი ხელმძღვანელებიც იყვნენ. ათგზის ჩემპიონის ექსპრეზიდენტმა, მერაბ რატიანმა მხოლოდ პირველ ტაიმს ადევნა თვალი, „დინამოს“ ამჟამინდელი პრეზიდენტი რევაზ არველაძე კი 90 წუთი ჟორდანიას გვერდით იმყოფებოდა. იქვე იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნიკოლოზ ივანიშვილიც. სწორედ ამ ხალხის დღევანდელი შეხვედრით, შესაძლოა, საბოლოო პასუხი გაეცეს იმ კითხვას, რომელიც კარგა ხანია, აინტერესებს ქართული ფეხბურთის ქომაგს — ეკუთვნის თუ არა თბილისის „დინამოს“ უკრაინელთაგან კალაძის „მილანში“ გაყიდვის სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი.

მერაბ ჟორდანია ადრე ნათქვამი სიტყვის შესრულებას სწორედ დღეს აპირებს: „ოთხშაბათს, „დინამოს“ ლეგიტიმურ ხელმძღვანელებს შევხვდები და დაპირებისამებრ გადავცემ ჩემი და სურკისის ხელმოწერილ ოფიციალურ კონტრაქტს, რომელიც მე და კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა კახა კალაძის უკრაინულ კლუბში გადასვლისას გავაფორმეთ“ — გვითხრა ჟორდანიამ გუშინწინდელი მატჩის დამთავრებისას.

ისე, ამ შეხვედრის ზუსტი დრო ასი პროცენტით გადაწყვეტილი და „დინამოს“ ხელმძღვანელობასთან საბოლოოდ შეთანხმებული რომ არ არის, ნიკოლოზ ივანიშვილის კომენტარიდანაც ჩანს: „საგანგაშო არაფერია, ჟორდანიამ სიტყვა თქვა და შეასრულებს კიდეც. სფფ-ის თავკაცი ჯერ არ შეგვხმიანებია, მაგრამ საჭირო დოკუმენტაციას ალბათ მალე გადმოგვცემს. ტყუილად გეჩვენებათ, რომ პროცესი გაჭიანურებულია. ხომ არ დავახრჩობთ კაცს, ერთ კვირას კიდევ დავუცდით და გარწმუნებთ ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი მოგვარდება“.

პაატა კვანტალიანი

იონანიძე და ხვადაგიანი აფრენილ სოკოლს გაეკიდნენ

საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ ორი ფეხბურთელით შეთხელდა. გუშინ საქართველოს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ზურაბ იონანიძე და ვახტანგ ხვადაგიანი სარატოვში გაეგზავნენ და კარიერასაც იქაურ „სოკოლში“ გაგრძელებენ, გუნდში, რომელიც რუსეთის უმაღლეს ლიგაში წლეულს აღზევდა და ფინანსურად საკმაოდ მოღონიერებულია.

იონანიძემ და ხვადაგიანმა სარატოვის „სოკოლთან“, შესაბამისად, ორი და ერთწლიანი კონტრაქტები უკვე გაფორმეს, ქართველი ფეხბურთელების მომზადების დონით მწვრთნელი კმაყოფილია და თქვა, ახალი სეზონის დაწყებამდე კარგი ფეხბურთელები შეიძინეთ და გავძლიერდითო.

შეგახსენებთ, რომ ამ რუსულ კლუბში, ვლადიკავკაზის „ალანიასი“ არ იყოს, თითქმის ყოველწლიურად თამაშობდნენ ქართველი ფეხბურთელები.

დინამომ ხელები დაიკაპიწა

წერეთელი დაიყოლია, სიჭინავა-გადელიას დღეს დაელაპარაკება

„დინამო“ მეთორმეტე ეროვნულის საგაზაფხულო ეტაპს ერთობ შესუსტებული შემადგენლობით შეეგება. გუნდის მიზანი კი კვლავაც ჩემპიონობისთვის ბრძოლაა, მაგრამ ლამის მთლიანად პირტიტველა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული რევაზ არველაძის გუნდის შანსები არც თუ დიდია.

თუმც რეგისტრაციის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ სერიოზულად დაიწყო შემადგენლობის გაძლიერებისთვის ზრუნვა. შედეგად, კვლავ „დინამოში“ თამაშობენ არჩილ სახვაძე და ზაზა ზირაქიშვილი.

მაგრამ „დინამო“, რომელიც საშემოდგომო ეტაპის შემდეგ თორმეტმა ფეხბურთელმა დატოვა, ამაზე გაჩერებას არ აპირებს. დღეს რუსეთიდან თბილისში დაბრუნდება „დინამოდან“ საშემოდგომო ეტაპის შემდეგ წასული ორი ფეხბურთელი — საყრდენი ნახევარმცველი თენგიზ სიჭინავა და ფორვარდი გიგა გადელია. ისინი ჯერ რუსეთის უმაღლესი ლიგის „ტორპედო-ზილში“ იყვნენ გასინჯვაზე, მერე პირველლიგელ სმოლენსკის „კრისტალში“. სიჭინავა და გადელია დღეს კი ჩამოვლენ, მაგრამ ეს ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ კვლავ „დინამოში“ ითამაშებენ. კლუბის ხელმძღვანელობა მათთან მოლაპარაკებას გამართავს და ყოველივე ამის მერე გაცხადდება.

ბოლო დროს უიღბლოდ და უცნაურად წარიმართა 21 წლის მცველის, მამუკა წერეთლის კარიერა. ამ ფეხბურთელს, რომელსაც ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია, საშუასეზონო პეიოდში ოსური „ალანიადან“ დონეცკის „შახტარში“ ეწადა გადასვლა. ჩვენებურმა დაახლოებით ერთი თვე დაჰყო უკრაინელ მეშახტეთა გუნდში, მაგრამ ბოლო მომენტში ტრანსფერი არ შედგა. მერე მას ისევ ვლადიკავკაზური კლუბის ხელმძღვანელობა დაუკავშირდა, შეკრებაზეც ახლდა წერეთელი „ალანიას“, თუმც მისი და ალექსანდრ ავერიანოვის გუნდის გზები გაიყარა.

სამშობლოში დაბრუნებულ მამუკა წერეთელთან „დინამომ“ მყისვე დაიწყო მოლაპარაკება. როგორც შევიტყვეთ, წერეთელი თანახმაა, სამი თვით რევაზ არველაძის გუნდში ითამაშოს. ტრანს-ფერს ის აბრკოლებს, რომ ფეხბურთელს კვლავაც აკავშირებს კონტრაქტი ოსურ კლუბთან. ერთი სიტყვით, ჯერი ახლა „ალანიაზეა“, თორემ წერეთელის „დინამოში“ თამაშს წინ არაფერი უდგას.

დავით თავგართქილაძე



შოთა და „აიაქსი“ გამოფხიზლდნენ

აჩი შუაში, შოთა ლიგისკენ

კობიაშვილი: პიზაროც, ფიგაროც...

„კარგი იქნება, უეფას თასის საგზურს თუ მოვიპოვებთ. საამისოდ ვიბრძოლებთ, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება. ყველაფერი ჩემპიონატის მსვლელობისას გამოჩნდება“ — უთხრა მიხეილ ყაველაშვილმა „სარბიელს“. მაშინ შვეიცარიის უმაღლეს დივიზიონში სეზონი ჯერ არ განახლებულიყო. ახლა კი, ისეთი პირი უჩანს, „ციურიხი“ მართლაც ეცდება ევროზონაში მოხვედრას.

მოგეხსენებათ, შვეიცარიაში ჩემპიონატის მეორე, ანუ ფინალური ეტაპი დაიწყო, რომელსაც რვა საუკეთესო განახევრებული ქულებით შეხვდა. სამწუხაროდ, მათში ლევან ხომერიკის „არაუ“ ვერ მოხვდა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. ყაველაშვილი — ჯამარაულის „ციურიხმა“ კი კარგად დაიწყო. გახსნის ტურში „ლოზანასთან“ ფრედ ითამაშა, ხოლო ამ კვირას ჟენევის „სერვეტს“ აკალეს გოლით 1:0 მოუგო. ქართველებმა მატჩი სრულად ჩაატარეს და როგორც ყოველთვის, თავისიანებს შორის გამოირჩეოდნენ.

მეზობელ გერმანიაში კი ბოლო დროისთვის ცოტა უცნაური ამბები მოხდა. „ფრაიბურგმა“ ზედიზედ მეორედ წააგო, ამჯერად ბრემენში, „ვერდერთან“ 1:3. თანაც, მინდორზე ოთხიდან მხოლოდ ერთი ქართველი, ლევან კობიაშვილი გაიყვანეს. მიზეზი ცნობილია, იაშვილი და ცქიტიშვილი დაშავებულიყვნენ, ხოლო კიკნაძე ჯერაც საძირითადოდ ემზადება.

ერთი იყო და მაინც იყო. კობიაშვილმა 68-ე წუთზე დორნის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო. მანამდე კი, მასპინძელთა მესამე გოლს სტატისტიკოსთა დავა მოჰყვა. ზოგი ამტკიცებს, რომ გოლი ბრემენელი პიზაროს ანგარიშზეა, ზოგიც ავტოგოლს ქართველს უთვლის, მათ შორის, ყველაზე პრესტიჟული „კიკერიც“. ტელემიმოხილვაშიც ვნახეთ, რომ პიზაროს მარცხნიდან ჩაწოდებული კობიაშვილმა შეაგდო. ასე რომ, ლევანი პიზაროც იყო და ფიგაროც...

თუკი გერმანულ უცნაურობებზე ვლაპარაკობთ, უთუოდ არჩილ არველაძეც უნდა ვახსენოთ. „ჰერტასთან“ საშინაო მატჩში მწვრთნელმა ელანდ ლინენმა ჩვენებური ნახევარდაცვაში ათამაშა...

ლამის ათი წელიწადია არველაძის თამაშს ვუცქერთ და მგონი, ასეთი რამ პირველად მოხდა. თუმცა... „კიოლნმა“ მოიგო და ეგებ, ეს მცირე ექსპერიმენტი ქართველისთვის სასარგებლოც იყოს.

არჩილის ტყუპისცალი შოთა კი, თავის „აიაქსთან“ ერთად, ნელ-ნელა კრიზისიდან გამოდის და მარაქაში ერევა. აი, ამ უქმეებზეც სტუმრად „როზენდალს“ 3:1 მოუგეს. ბოლო გოლი შოთამ გაიტანა, თანაც მთელი მატჩი სტაბილურად ჩაატარა. მაშინ, როცა შეტევაში მისი პარტნიორები, ბერძენი მახლაისი და ბრაზილიელი ვამბერტო შეცვალეს. ახლა „აიაქსი“ მესამე ადგილზე მყარად დამკვიდრდა და ორწლიანი შესვენების შემდეგ, ალბათ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ საგზურსაც მოიპოვებს.

კახა კალაძის ტრავმა, საბედნიეროდ, ძალიან მსუბუქი გამოდგა. „იუვენტუსთან“ მატჩის ორი დღის მერე ვარჯიშიც განაახლა და კვირას „პარმასთანაც“ ითამაშა. სხვაა ის, რომ „მილანმა“ კვლავაც გააწბილა თავისი ქომაგები, ორჯერ იგებდა და ბოლოს მაინც ქულის ამარა დარჩა. თუმცა, მწვრთნელი, ალბერტო ზაკერონი თავისიანების თამაშით მაინც კმაყოფილი დარჩა. „რაისპორტის“ შეფასებით კი, ქართველი საშუალოდ გაისარჯა.

სოლომონ გულისაშვილი

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია								
ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ვერდერი 1:3	0	ტრავმირებულია	19	4	8
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	ს	ვერდერი 1:3	90	1 გოლი (პ), გააფრთხილეს	21	6	9
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს	ვერდერი 1:3	0	ტრავმირებულია	19	0	8
გიორგი კიკნაძე	ფრაიბურგი	ს	ვერდერი 1:3	0		0	0	8
არჩილ არველაძე	კიოლნი	შ	ჰერტა 1:0	82	შეცვალეს	19	4	10
მეორე ბუნდესლიგა								
მიხეილ საჯაია	როიტლინგენი	შ	ჰანოვერი 3:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	3	0	4
გიორგი დეკანოსიძე	ფიურტი	ს	ალემანია 0:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	6
ინგლისი								
პრემიერლიგა								
გიორგი ქინქლაძე	დერბი	შ	ტოტენჰემი 2:1	0	ტრავმირებულია	16	1	14
რატი ალექსიძე	ჩელსი	ს	ქოვენთრი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	2	0	10
პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ვულვზი	შ	ნოტინგემი 2:0	0		14	3	14
შოტლანდია								
პრემიერლიგა								
გიორგი ნემსაძე	დანდი	ს	სტ. ჯონსტონი 3:2	90		25	1	8
იტალია								
სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	პარმა 2:2	90		5	0	6
ესპანეთი								
პრიმერადივიზიონი								
გიორგი დემეტრაძე	სოსიედადი	შ	რაიო 2:0	0	ტრავმირებულია	1	0	18
ჰოლანდია								
უმაღლესი ლიგა								
შოთა არველაძე	აიაქსი	ს	როზენდალი 3:1	90	1 გოლი	16	7	3
გოგა გახოკიძე	პსვ ეინდჰოვენი	შ	როდა 0:0	0		1	0	1
ბელგია								
უმაღლესი ლიგა								
გელა შეყილაძე	ლიერსი	შ	ანდერლეხტი 0:0	90		20	1	10
ლაშა ჯაკობია	აალსტი	ს	ლუვიე 0:3	0	ტრავმირებულია	3	1	14
შვეიცარია								
უმაღლესი დივიზიონი								
გოჩა ჯამარაული	ციურიხი	შ	სერვეტი 1:0	90		22	9	5
მიხეილ ყაველაშვილი	ციურიხი	შ	სერვეტი 1:0	90		21	11	5
ისრაელი								
უმაღლესი ლიგა								
კობა წიტაიშვილი	ი. რიშონი	ს	მ. ჰაიფა 0:0	90		22	12	9
საბერძნეთი								
უმაღლესი ლიგა								
ლევან ქებაძე	იანინა	შ	ეთნიკოსი 0:0	28	შეცვლაზე ითამაშა	12	0	10

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

შვარცენეგერის ძალა

CHAMPIONS LEAGUE

დღეს ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. V ტური

ბერძნებისთვის მანჩესტერში გამტანი პოლ სქოულზი ათენშიც ამასვე შეეცდება

A ჯგუფი

შტურმი — ვალენსია

„შტურმი“ A ჯგუფში მესამე ადგილზეა და მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩება მეორეადგილოსან „ვალენსიას“. საკუთარი კედლები ავსტრალიელთათვის დიდი უპირატესობაა, მათ 1999-2000 წლების გათამაშებაში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ წაგების შემდეგ, ევროპულ სარბიელზე „არნოლდ შვარცენეგერის“ მწვანე საფარზე ერთხელაც არ შეურცხვენიათ თავი. „შტურმს“ ესპანეთში მიმდინარე საჩემპიონო ციებ-ცხელების იმედიც ექნება. „ვალენსია“ ჯერ კიდევ ჩაბმულია ქვეყნის პირველობისთვის გაჩაღებულ რბოლაში. ბოლო ტურში ვალენსიელებმა ფრედ, 1:1 ითამაშეს „სარაგოსასთან“. ესპანელებს ნახევარდაცვაში დისკვალიფიცირებული რუბენ ბარახა დააკლდებათ, რის გამოც ფრანგი დიდიე დეშამპი იქნებ ძირითადში გამოჩნდეს, თუმცა ექტორ რაულ კუპერმა, შესაძლოა, მას დავიდ ალბელდა ამჯობინოს. პრობლემა შექმნია „ვალენსიას“ დაცვის ხაზსაც. კუნთის ტრავმის გამო ვერ ითამაშებს იტალიელი ვეტერანი ამადეო კარბონი, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე გამოცდილი მიროსლავ ჯუკიჩით შეიცვლება. იგი იმედიანად და ოდნავ ირონიით აცხადებს: „არნოლდ შვარცენეგერზე“ მოთამაშე გუნდი, რა თქმა უნდა, ძლიერი იქნება, ჩვენ პრობლემები შეგვექმნება, „შტურმი“ პირდაპირ შეტევაზე გადმოვა და მშვენიერ შესაძლებლობას მოგვცემს, თამაში სასურველად წარვმართოთ“.

ექტორ რაულ კუპერს პაბლო აიმარის იმედი აქვს. ახლადშეძენილი არგენტინელი ნორვეგიელ იონ კარეუსთან ერთად „შტურმის“ დაცვას დიდ პრობლემებს ჰპირდება. ავსტრალიელთა დაცვა გამოცდილი გიუნტერ ნოიკირხნერის გარეშე შეეცდება, წინ აღუდგეს ესპანელთა მრისხანე წყვილს. თუმცა იონ კარეუს გაუვნებლებას ჟილბერ პრილასნიგი გვპირდება. მისი პროგნოზიც გაბედულია: „ჩვენ საუკეთესო თვისებებს გამოვავლენთ. მთავარია, იმედიანად ვიყოთ და საკუთარი კედლები გამოვიყენოთ“.

სავარაუდო შემადგენლობები

შტურმი: *სიდორუკი; ფოდა, პრილასნიგი, კორსოში; იბერმასბერგერი, შუბი, ფლურკინი, მინავანდ ჩალ; ვასტბერი, კოციანი, ჰასი*
ვალენსია: *კანისარესი; ანგლომა, აიალა, ჰელგრინო, ჯუკიჩი; ანგულო, დეშამპი, მენდიეტა; აიმარი; კარეუ, კილი გონსალესი*
მსაჯი: *სტეფანო ბრასკი (იტალია)*

პანათინაიკოსი — მანჩესტერ იუნ.

ბერძნებისთვის ოთხშაბათის მატჩი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ბოლოსწინა დაპირისპირება იქნება. მათთვის ყველაფერი ცხადია. „პანათინაიკოსი“ მხოლოდ პრესტიჟის დაცვასღა თუ შეეცდება. მათ რიგებს პორტუგალიელი პაულო სოუზა გააძლიერებს. ძირითადში დაიწყებს ხორვატი გორან ვლაოვიჩიც. მართალია, ბერძნებს არავითარი მოტივაცია არ აქვთ, მაგრამ თამაშის წინ აცხდებენ — უბრძოლველად არაფერს დავთმობთო. გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებაა — ანგელოს ანასტასიადისის ნაცვლად ბერძნებს სტრატოს აპოსტოლაკისი მოძღვრავს. ეს მწვრთნელის ევროდებიუტი იქნება და ისიც შეეცდება, თავი გამოიჩინოს.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ თითქმის დაბეებული აქვს მეოთხედფინალის საგზური. სერ ალექსის ბიჭები უკვე ლიგის ფინალზეც კი მსჯელობენ. ტედი შერინგემი და დენის ირვინი ბერძნებთან იოლ გამარჯვებას გეგმავენ. უფრო თავშეკავებულია ფილ ნევილი. იგი საკუთარ გუნდში ხარვეზებს ხედავს, თუმცა „პანათინაიკოსს“ არად აგდებს და საერთოდ „იუნაიტედის“ მომავალი დიდებისთვის სავარაუდო საჭირო ქმედებებზე ლაპარაკობს: „ჩვენ ვიცით, რომ თამაში უნდა გავაუჯობესოთ, ლიგის მოგებისთვის ოსტატობის ოცი პროცენტით გაზრდა მოგვიწევს. ჩვენც „პანათინაიკოსიდან“ დავიწყებთ. „მანიუმ“ სტუმრადაც უნდა მოიგოს. სხვაგვარად ევროპაში წარმატება წარმოუდგენელია.“

როგორც ყოველთვის, ალექს ფერგიუსონი მოსაგებადაა განწყობილი: „ყოველთვის ვამბობ, რომ დღეს გასაკეთებელი საქმე სახვალიოდ არ უნდა გადაიდოს. გუნდს მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს, მაგრამ ჯერ არაფერი დამთავრებულა. „იუნაიტედს“ შესაძლებლობა მიეცა, დრომდე დაჯავშნოს მეოთხედფინალის საგზური. „პანათინაიკოსთან“ თამაშის მოგება გარანტიას გვაძლევს, ხოლო ხელსაყრელი მომენტი ყოველთვის უნდა გამოვიყენოთ.“

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ბერძნების დაცვის შემუსვრას რაიან გიგზის გარეშე შეეცდებიან. კვლავ მწყობრშია როი კინი, რომელმაც პრემიერლიგის თამაში „ლიდსთან“ ტრავმის გამო გამოტოვა. მაშ ასე, მანჩესტერელები მოსაგებად იბრძოლებენ. თვით ფერგიუსონიც აცხადებს — „ჩვენ საუკეთესოები მაშინ ვართ, როდესაც ვუტევთ.“

სავარაუდო შემადგენლობები

პანათინაიკოსი: *ნიკოპოლიდისი; ფისასი, ჰერიკესენი, გუმასი, სარიჩი; ბასინასი, ოლივარესი, პაულო სოუზა; ვარფინა; ვლაოვიჩი, ლიბეროპულოსი*
მანჩესტერ იუნ: *ბარტეზი; გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი; კინი, ბეკჰმი, სქოულზი; სოლსკიაერი, შერინგემი, ენდი კოული*
მსაჯი: *კარლ ურიკ ნილსონი (შვედეთი)*

მანჩესტერ იუნ.	4	2	2	0	6:2	8
ვალენსია	4	1	3	0	3:1	6
შტურმი	4	2	0	2	4:5	6
პანათინაიკოსი	4	0	1	3	2:7	1

მილანური მატჩის მერე ანდრეი შევჩენკოს და თურქებს ერთურთის ჯავრი გაჰყვათ

B ჯგუფი

გალათასარაი — მილანი

მოგების შემთხვევაში „გალათასარაი“ ერთი ტურით ადრე მეოთხედფინალშია. მოგების შანსი? საკმაოდ დიდი. ერთი, რომ „გალას“ მეტოქე ის „მილანია“, რომელიც წინა სეზონში სამარცხვინოდ გააგდო ჩემპიონთა ლიგიდან, თავად კი უეფას თასისკენ გაიკაფა გზა. მეორე — „გალათასარაის“ ევროთასებზე შინ ბოლო თერთმეტი შეხვედრა არ წაუგია და მესამეც — „მილანი“ სტამბოლს განახევრებული შემადგენლობით ეწვია.

„მილანის“ გარდა ჩვენ არაფერზე ვფიქრობთ — თქვა თურქთა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ — მეოთხედფინალამდე ერთი ნაბიჯიღა გვრჩება და იგი აუცილებლად უნდა გადავდგათ“. რუმინელი მწვრთნელი რომ ამბობს, არაფერზე ვფიქრობთო, უპირველესად, გუნდის ფინანსურ პრობლემებს გულისხმობს, რაც რა ხანია, თურქული სუპერკლუბის თავის ტკივილად ქცეულა.

თურქებს დისკვალიფიცირებული ორი ჰყავთ — ვედათ ინქეფე და ბიულენთ აქინი, ორივე თითო მატჩითაა მოკვეთილი. ტრავმების მხრივ სერიოზული მდგომარეობა არაა, მსუბუქად არიან დაშავებულნი სუათ კაია და ერგუნ პენბე, ხოლო დამტვრეული ჰაქან უნსალის არყოფნას სტამბოლში კარგა ხანია, შეეგუნენ.

მაგრამ რაა თურქთა ტრავმები იტალიელთა ტრავმებთან შედარებით. ალბერტო ძაკერონის ისე წაუვიდა საქმე, რომ სტამბოლში ახალგაზრდული გუნდიდან ნახევარმცველი პაოლო სამარკო, მეკარე ალბერტო ვალსეკი და მცველი მიკელე ფერიც იახლა.

მუხლმტკივანი დემეტრიო ალბერტინი გუნდს არც გაჰყოლია. „პარმასთან“ მატჩში დაშავდა მეკარე კრისტიან აბიატი და პირველი ტაიმის შემდეგ შესაცვლელი შეიქნა. მასიმო ამბროზინის, ალესანდრო კოსტაკურტას და ფერნანდო რედონდოს ტრავმები ძალიან ძველი ამბავია. ყოველივე ამას თომას ჰელვეგის და ჯენარო გატუზოს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციებიც დაემატა.

ამ სიტუაციაში ძაკერონიმ ზვონიმირ ბობანი გაიხსენა, რომელიც ბოლო დრომდე ასევე ტრავმამ გააწამა. შემადგენლობაში იქნება ერგენტინელი ანდრეს გულიელმინეტრო, რომელსაც მტკივანი ფეხი ბოლომდე არც ძოურჩენია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სხვა გზა არაა.

ჰო, დამტვრეული ალესანდრო კოსტაკურტას შემცვლელად როკე ჟუნიორიც ვერ ივარგებს, რადგან ბრაზილიის ნაკრებშია გამოძახებული. რაც შეეხება მეკარეს, ის სავარაუდოდ ნელსონ დიდა იქნება, თუმც შესაძლოა, კარის დაცვა ვეტერან სებასტიანო როსისაც ანდონ.

და ყველაფრის მიუხედავად, ზვონიმირ ბობანმა თქვა, სტამბოლში შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ, თორემ ფრეზე ფიქრი აუცილებლად წაგვაგებინებსო.

სავარაუდო შემადგენლობები

გალათასარაი: *ტაფარელი; ბიულენთი, ჰოჯსკუ, ფათიჰი; ოკანი, სუათი, ემრე, ამმეთი; ჰაჯი; ყარდელი, ჰასან შაში*
მილანი: *დიდა; სალა, შამტი, მალდინი; ბა, გულიელმინეტრო, სერეინო, ჯუნტა; ბობანი; შევჩენკო, ბირპოვი*
მსაჯი: *ჰელმუტ კრუგი (გერმანია)*

დეპორტივო — პარი სენ ჟერმენი

ამ მატჩში დამარცხებულმა გუნდმა მეოთხედფინალში გასვლაზე ოცნებას თავი უნდა დაანებოს. ეს უპირველესად „პარი სენ ჟერმენზე“ ითქმის, რომელიც მეორეადგილოსნობის თეორიულ შანსსაც დაკარგავს, თუმცა არც „დეპორტივოს“ ეშნება უკეთ საქმე — თუ დღეს წააგებს, მაშინ „მილანი“ „სან სიროზე“ ეყოლება დასამარცხებელი, რისი იმედიც ლაკორუნიელებს ნაკლებად აქვთ. ხოსე მოლინამ თქვა, ჩვენი ერთადერთი შანსი პსჟ-სთან შინ გამარჯვება და ბედის კეთილგანწყობააო. ხოსე მოლინა დღეს „დეპორტივოს“ ძირითადი მეკარის ადგილს დაიბრუნებს, რომელიც ორი კვირის წინ კამერუნელმა ჟაკ სონგომ ჩამოართვა.

აი, პარიზელებს რომ დაამარცხებენ, ესპანელებს ამის არ ეეჭვებათ. სხვა რომ არაფერი, პირველ წრეში „პარკ დე პრენსზე“ 3:1 მოუგეს დღევანდელ მეტოქეს. მათ იმედს ის არგუმენტიც ამტკიცებს, რომ პრიმერადივიზიონის წინა ტურში, მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ რამდენიმე ფეხბურთელი დასვენა და გუნდი სრულ მზადყოფნაში ხვდება პარიზელებს.

გალისიელთა ტაქტიკური მონახაზი ასეთია: ემერსონი და მაურო სილვა ნახევარდაცვაში გამაგრდებიან, მათ წინ კი ჯალმინიას სრული თავისუფლება მიენიჭება. მცირედი ტრავმა მოიშუშა მარკოელმა ნურედინ ნაიბეტმა და მანუელ პაბლოს, ენრიკე რომეროსა და ვეტერან დონატოსთან ერთა დაცვას გაამაგრებს. რაც შეეხება თავდასხმას, აქ ხავიერ ირურეტა თავის პოლიტიკას განაგრძობს და როი მაკაისა და დიეგო ტრისტანს მონაცვლეობით ათამაშებს. დღეს ჰოლანდიელის რიგი ყოფილა.

„დეპორტივოს“ კიდევ რა უჭირს, პარიზელებს ჯგუფიდან გასვლა თუ უნდათ, დღესაც უნდა მოიგონ და მომავალ კვირაშიც „გალათასარაისთანაც“, თუმც შესაძლოა, ესეც არ აღმოჩნდეს საკმარისი.

ეს ჩვენ თუ ვიცით, ფრანგებმა მით უმეტეს იციან, მაგრამ ფრედერიკ დეუმ თქვა, შეევეცდებით და რა გამოვა, ვნახოთო.

ფრანგებს დღეს არ ეყოლებათ მცველი დიდიე დომი, რომელიც ტრავმირებულია. შემადგენლობის მიღმა აღმოჩნდა თავდამსხმელი ლორან რობერიც. მან ბრწყინვალე გოლი გაუტანა „მილანს“ წინა ტურში, მაგრამ მერე მწვრთნელი გალანძღა და ლუის ფერნანდესმაც დასაჯა.

სავარაუდო შემადგენლობები

დეპორტივო: *მოლინა; მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო; მაურო სილვა, ვიქტორი, ემერსონი, ჯალმინია; ფრანი, მაკაი*
პარი სენ ჟერმენი: *ლეტიზი; მენდი, ა. სოსე, დეუ დისტინი, ლუისენი; დიუკრო, ოკოჩა, ბენარბია; ანელკა, ლეროუა*
მსაჯი: *ურს მაიერი (შვეიცარია)*

გალათასარაი	4	2	1	1	4:4	7
მილანი	4	1	3	0	5:4	6
დეპორტივო	4	2	0	2	5:3	6
პარი სენ ჟერმენი	4	0	2	2	3:6	2

გიორგი დარჯანია
გიორგი მამარდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი და მანჩესტერი კანონზე მაღლა

ასე ამბობენ სხვები

MARCA

REAL MADRID, EMPATE... Y GRACIAS

Es gol legal

El Barça mereció ganar por juego y por el tanto anulado

Rivaldo y Raúl, los grandes protagonistas

Joan Gaspart

"Se ató como si me hubieran robado la cartera"

გოლი იყო! ამტკიცებს „მარკა“

შაბათს „ელანდ როუდზე“ „ლიდსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეხვდა და ფრედ ეთამაშა. იმავე დღეს, ლიდსური მატჩის დასრულებიდან ექვსი საათის შემდეგ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალი“ დაუხვდა „ბარსელონას“ და მანაც ფრედ ითამაშა.

„რეალიც“ და „მანჩესტერიც“ თავიანთ ქვეყნებში ლიდერობენ, ხოლო ამ მატჩებში მათ ქულები არბიტრების გადაწყვეტილებათა წყალობით მიითვალეს. გადაწყვეტილებებიც მსგავს სიტუაციებს მოჰყვა — ორივე შემთხვევაში საკამათო თამაშგარე იყო.

ერთნაირი იყო რეაქციაც, როგორც დაზარალებულთა, ასევე სარგებელნანახთა მხრიდან.

სერ ალექს ფერგიუსონი: „ვიგებდით და ამ შეხვედრის წაგება არასწორი იქნებოდა. ფრე სამართლიანი შედეგია“.

ვისენტე დელ ბოსკე: „ჩვენი თამაშით უკმაყოფილო ვარ, თუმცა შედეგი სავსებით სამართლიანია“.

თუმც არ უნდა, ლიდსელები და ბარსელონელები თავს დაჩაგრულად თვლიან და, რაც ყველაზე საინტერესოა, ორივენი შეთქმულებაზე ლაპარაკობენ. გუშინ ვწერდით, რომ „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა არა მხოლოდ იმ მატჩის მომსახურე არბიტრი, არამედ მთლიანად ესპანელ მსაჯთა საძმო და საფეხბურთო ჩინოსანნი დაადანაშაულა — მაგათ თავიდანვე გადაწყვიტეს, რომ ჩემპიონი „რეალი“ უნდა გამხდარიყო და ამის მისაღწევად ყველაფერს კადრულობენო.

„ლიდსის“ კაპიტანი ლუკას რადებეც იგივეს იმეორებს, ოღონდ სიტყვები — „რეალი“ და ესპანეთი „მანჩესტერით“ და ინგლისით შეუცვლია: „ჩვენში „მანჩესტერი“ განსაკუთრებულ პატივშია. მასზე არ ვრცელდება საფეხბურთო წესები, რომელთა შესრულებასაც სხვას ყველას გულმოდგინედ გვთხოვენ“.

არჩათვლილი გოლის გარდა ლიდსელები იმაზეც დავობენ, მსაჯმა იან ჰარტის ჩაწიხლვისთვის ფაბიენ ბარტეზი რად არ გააძევაო.

ამგვარი გამონათქვამები ახალი ხილი არაა. გასაკვირი აი, რა გახლავთ: თუ „ბარსელონა“ მართლაც შეთქმულების მსხვერპლია, რატომ აპროტესტებს ხუან გასპარი მატჩის შედეგს სადისციპლინო კომიტეტში? ის ხომ ფეხბურთის ფედერაციაშია, სწორედ იმ ფედერაციაში, რომელიც შეთქმულების სათავეში დგას?

ვისენტე დელ ბოსკემ შენიშნა: „არ იყო, მაგრამ ნეტავ, ჩაეთვალა მსაჯს ის გოლი. ჩემპიონები მაინც ჩვენ გავხდებოდით, „ბარსელონას“ კი სალაპარაკო აღარაფერი ექნებოდა. ისე, მაინტერესებს, როცა „ალავესს“ „ბარსელონასთან“ ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს და თამაში წააგებინეს, მაშინ რატომ იყვნენ ჩუმად და არ აგინებდნენ მსაჯებსო“.

ვიორგი დარჯანია

ნამატჩევს დევიდ ოლირიმ და ალექს ფერგიუსონმა ერთმანეთს ხელი კი ჩამოართვეს, მაგრამ მერე სხვანაირად ალაპარაკდნენ

გევინ მაკკენის გოლმა „სანდერლენდს“ ქულა მოუტანა

ჯეიმსი კინაღამ დაცხრილეს

ინგლისი

XXIX ტური

სანდერლენდი 1:1 ასტონ ვილა

0:1 ჯოუჩიმი (52), 1:1 მაკკენი (84)

სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, კრადოკი, ტომე, არკა, მაკკენი, შ. შვარცი, ჰაჩისონი, ოსტერი (ბატლერი 80), ნ. ქუინი (დიჩიო 36)

მწვრთნელი: პიტერ რიდი

ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, სტონტონი, ბერი, ალფაი, ტეილორი, ლ. ჰენდრი, ს. სტოუნი, მერსონი, დაბლინი, ჯოუჩიმი

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

გაფრთხილება: არკა, ალფაი, სტოუნი

47 196 მაყურებელი

სანდერლენდის „ლაითზე“ მოგებადავიწყებული მასპინძლები „ასტონ ვილას“ ებრძოდნენ. „სანდერლენდი“, რომელსაც მესამე კვირაა არ მოეგო, ევროსაგზურისთვის ბრძოლაშია ჩართული. თანაც, მენეჯერ პიტერ რიდს მალე ახალ კონტრაქტზე მოუწევს ლაპარაკი. ჯონ გრეგორის „ასტონ ვილა“ კი ცხრილის ქვედაწელშია და თავისი პოტენციალის ჩვენებას ლამობს. ამ ორმხრივ, ღია თამაშში საქმე ისე წარიმართა, რომ ვილელმა ჯულიან ჯოუჩიმმა მასპინძელთა საჯარიმოში ფხა გამოიჩინა და მეკარე დევიდ ჯეიმსის დაწყებული შეტევა დაავგვირგვინა. „სანდერლენდს“ არ ჰყავდა დასჯილი მთავარმეგოლე კევინ ფილიპსი, ნაილ ქუინი კი დაშავდა და დანიელე დიჩიომ შეცვალა. ამის მიუხედავად, მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი გასწიეს — ჯამში 19-ჯერ დაარტყეს კარის მიმართულებით. აქედან 12 კარში წავიდა. ბირმინგემელთა მეკარე ჯეიმსი ნაღდ სატყვიამფრქვევო სროლაში მოჰყვა. სამაგიეროდ, მისი თანაგუნდელები სწრაფად გადადიოდნენ კონტრშეტევაში და პოლ მერსონმა ერთი-ორი კარგი მომენტიც შექმნა.

„სანდერლენდმა“ მაინც გაათანაბრა — გევინ მაკკენმა შეჩხირა ბურთი კარში.

მასპინძლებს მოგებაც შეეძლოთ. სულ ბოლო წუთს, ჯეიმსი კუთხურიდან ჩამოწოდებულს ვერ შესწვდა, მოედანზე გაიშხლართა და დიჩიომ ბურთი კარში შეაგდო, მაგრამ მსაჯმა მეკარეზე შეტევა დალანდა და გოლი არ ჩათვალა.

„შეცდომა იყო. ჯეიმსს ჩვენიანი არავინ შეხებია, ის თავისსავე მცველს, ალფაის წამოედო, ასე რომ, მოგება დავკარგეთ“ — თქვა განაწყენებულმა რიდმა მატჩის შემდეგ. აქვე ითქვა, რომ ეს შეხვედრა 250-ე იყო რიდისთვის „სანდერლენდის“ მენეჯერის თანამდებობაზე.

ირაკლი გამყრელიძე

მანჩესტერ იუნ.	29	20	7	2	66:19	67
არსენალი	29	15	8	6	47:29	53
იფსვიჩი	28	14	4	10	42:34	46
ლივერპული	27	13	6	8	47:30	45
სანდერლენდი	29	12	9	8	33:28	45
ლესტერი	28	13	6	9	31:29	45
ლიდსი	29	12	8	9	42:37	44
ჩარლტონი	29	11	9	9	38:40	42
საუთჰემპტონი	28	11	8	9	33:34	41
ჩელსი	27	10	9	8	48:33	39
ნიუკასლი	28	11	5	12	33:39	38
ტოტენჰემი	29	9	9	11	33:38	36
ვესტ ჰემი	28	8	11	9	35:35	35
ასტონ ვილა	27	8	10	9	29:29	34
დერბი ქაუნთი	29	8	10	11	30:44	34
ევერტონი	29	8	8	13	31:43	32
მიდლსბრო	29	5	13	11	31:35	28
სიტი	29	6	8	15	31:47	26
ქოვენთრი	29	5	9	15	26:48	24
ბრედფორდი	28	3	7	18	18:53	16

არგენტინა

მე-5 ტური: ხიმნასია (ლა პლატა) — უნიონი 4:2;ველეს სარსფილდი — როსარიო სენტრალი 1:1; რივერ პლეიტი — ინდეპენდიენტე 3:1; რასინგი — ბოკა ხუნიორსი 2:1; კოლონი — ესტუდიანტესი 1:1; ლანუსი — ტალერესი 2:1; ალმაგრო — სან ლორენსო 0:1; ბელგრანო — ჩაკარიტა ხუნიორსი 1:2; ნიუელს ოლდ ბოიზი — არგენტინოს ხუნიორსი 2:0. ურაკანი — ლოს ანდესი 76-ე წუთზე 2:1-ზე შეწყდა არეულობის გამო

რივერ პლეიტი	5	4	1	0	15:4	13
კოლონი	5	3	1	1	8:6	10
სან ლორენსო	5	3	1	1	7:5	10
უნიონი	5	3	0	2	12:7	9
რასინგი	5	2	2	1	8:6	8
როსარიო	5	2	2	1	10:9	8
ლანუსი	5	2	1	2	8:6	7
ტალერესი	5	2	1	2	8:7	7
ხიმნასია	5	2	1	2	8:7	7
ოლდ ბოიზი	5	2	1	2	8:7	7
ინდეპენდიენტე	5	2	1	2	6:7	7
ჩაკარიტა	5	2	1	2	6:8	7
არგ. ხუნიორსი	5	2	1	2	6:9	7
ბელგრანო	5	1	2	2	2:4	5
ბოკა ხუნიორსი	5	1	2	2	7:9	5
ესტუდიანტესი	5	1	2	2	7:11	5
ლოს ანდესი	4	0	3	1	4:5	3
ველესი	5	0	3	2	2:6	3
ურაკანი	4	1	0	3	7:12	3
ალმაგრო	5	0	2	3	5:9	2

ბრაზილია

კარიოკას შტატი

ფინალი

ფლუმინენსე 1:1 (პენ.3:5) ფლამენგო

პაულისტას შტატი

I ეტაპი

რიო ბრანკო — სანტოსი 3:2; პონტე პრეტა — სან პაულუ 2:2 (პენ.3:4); პალმეირასი — ინტერნასიონალი 0:0 (პენ.12:13); გუარანი — კორინთიანსი 2:1; სან კაეტანო — პორტუგეზა 1:1 (პენ.2:1); ბარბარენსე — ბოტაფოგო 1:1 (პენ.2:3); უნიაო სან ჟოაო — მატონენსე 3:1; პორტუგეზა სანტისტა — მოჟი მირიმი 4:3

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXIV ტური

ზტ. პაული 0:2 მიონხენგლადბახი

0:1 კორზინიცი (37), 0:2 ვან ჰუტი (85)

იტალია

სერია C1b. XXV ტური

რეჯანა 1:1 არეცო

VIII ჯგუფი. II ტური

ორიენტ პეტროლერო (ბოლივია) 1:3 დეპორტივო კალი (კოლუმბია)

ბოკა ხუნიორსი	2	2	0	0	3:1	6
დეპორტივო კალი	2	1	0	1	4:3	3
კობრელოა	2	1	0	1	2:2	3
ორიენტ პეტროლერო	2	0	0	2	2:5	0

ფეხბურთის რუკასთან

ბრაზილიური „პალმეირასის“ მწვრთნელი მარკო აურელიო თანამდებობიდან გადადგა. მან კლუბში მხოლოდ შვიდი თვე იმუშავა. „პალმეირასის“ საინტერნეტო გვერდზე იუწყებიან, რომ მწვრთნელმა თავად მოითხოვა კონტრაქტის შეწყვეტა. ზოგიერთი ბრაზილიური სააგენტო კი იტყობინება, რომ ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო აურელიო კლუბმა დაითხოვა. „პალმეირასი“ ახლა ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზეა. კლუბის ხელმძღვანელობამ გუშინ ახალი მწვრთნელის ვინაობაც გაამხილა, აურელიოს ნაცვლად ახალგაზრდული გუნდის თავკაცი სელსო როტი დანიშნეს.

ნორვეგიელი მცველი რონი იონსენი ხანგრძლივი ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ მომჯობინდა და ექიმები მას კვირის ბოლოსთვის ვარჯიშის განახლების ნებას დართავენ. „ერთი სული მაქვს, კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ვითამაშო. მაიმედებენ, რომ ეს არცთუ შორეული პერსპექტივაა“ — ამბობს ფეხბურთელი, რომელიც მინდორს ევებ აპრილის დასაწყისში დაუბრუნდეს.

საფრანგეთის თავდამსხმელმა ლორან რობერმა, შესაძლოა, „პარი სენ ჟერმენი“ დატოვოს. მას მწვრთნელ ლუის ფერნანდესთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს. თანაც რობერის გადაბირების სურვილი იტალიურ „მილანს“ გამოუთქვამს. პარიზული კლუბი კი სანაცვლოდ 22 მილიონ დოლარს ითხოვს. „პარკ დე პრენსის“ დატოვებას ალჟირელი ნახევარმცველი ალი ბენარბიაც აპირებს. მან ჟურნალ „ეკიპს“ გაუმხილა, რომ კარგა ხანია, კლუბით უკმაყოფილოა და სხვაგან გადასვლა ჯერ კიდევ შარშან სურდა, როცა გუნდს ფილიპ ბერჟერო წვრთნიდა.

საბერძნეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი არაბასის ნიკოლაოსი ინგლისურ „მიდლსბროში“ შემოწმებას გადის და ევებ ამ დღეებში პრემიერლიგურ კლუბთან კონტრაქტსაც მოაწეროს ხელი. ინგლისელ სკაუტებს ეს ფეხბურთელი იტალიელი ახალგაზრდების წინააღმდეგ თამაშის დროს მოსწონებიათ და ბრიტანეთში მიუწვევიათ. 16 წლის ფეხბურთელი „მიდლსბროს“ ახალგაზრდულ გუნდთან უკვე წარმატებით ვარჯიშობს.

ფაბიო კანავარო: $ 15 მილიონი + ბარონიო

ადრე ვწერდით, რომ „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის მომავალი სეზონისთვის გუნდის გაძლიერება და ამ მიზნით „პარმადან“ ფაბიო კანავაროს გადაყვანა სურსო. ალესანდრო ნესტა და ფაბიო კანავარო — ეს მსოფლიოში უძლიერესი დაცვის ხაზი იქნება.

კრანიოტი პარმელ კოლეგა სტეფანო ტანცის კანავაროს სანაცვლოდ თხუთმეტ მილიონ დოლარს და ახალგაზრდა, ნიჭიერ ბარონიოს სთავაზობს. „პარმას“ ეს ვარიანტი ხელს არ აძლევს, რადგან „ლაციოდან“ სიმონე ინძაგის გადაბირებითაა დაინტერესებული. თუ კრანიოტიმ თავდაპირველი ვარიანტი ვერ გაიტანა, სათადარიგო სცენარიც მზად აქვს — „პარმას“ ბარონიო, ინძაგი და პერუცი (ან დეიან სტანკოვიჩი), თავისთვის კი კანავარო და ბუფონი. გარიგების ამ შესაძლო ვარიანტის ღირებულება დაახლოებით ოთხმოცი მილიონი დოლარია.

იმავდროულად ალესანდრო ნესტათიც რამდენიმე ევროპული კლუბია დაინტერესებული და რომაელთა პრეზიდენტს მათი მოგერიება უხდება — კანავაროს ყიდვაც ხომ სწორედ ნესტასთან შესაწყვილებლად უნდა. კრანიოტიმ თქვა: „ნესტას წარმოუდგენლად დიდ ფულად თუ გავყიდი“. ეს რამდენია? სამოცი მილიონი დოლარი. ამდენი არასდროს არავისში არ გადაუხდიათ. თუმცა ვარაუდობენ, რომ კრანიოტის სიტყვები ყველას ვერ შეაშინებს და ნესტას მსურველი მაინც გამოჩნდება. აი, თუნდაც „ინტერი“, რომელსაც სწორედ ხმაურიანი ტრანსფერებით გაუთქვამს სახელი (აბა, ფეხბურთს ვერ თამაშობს).

ფაბიო კანავარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკოსტამ ჩილე დატოვა

ჩილეს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა — ნელსონ აკოსტამ პარასკევს ფეხბურთის ფედერაციას თანამდებობიდან გათავისუფლება ითხოვა, რაზეც დასტური მიიღო. „მართალია, კონტრაქტის პირობით მას ჩვენთან კიდევ უნდა ემუშავა, მაგრამ წასვლა თავადვე ისურვა და ჩვენც დავთანხმდით“ — განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა მარკოს ავარამ.

წარმოშობით ურუგვაელი აკოსტა ჩილეს ეროვნულ გუნდს 1996 წლიდან ედგა სათავეში. მისმა შეგირდებმა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშეს და მერვედფინალში ბრაზილიასთან 1:4 დამარცხდნენ. სიდნეის ოლიმპიადაზე კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ამჯერად ჩილეს ნაკრების ამოცანა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაა. სამხრეთ ამერიკის შესარჩევ 10-გუნდიან ჯგუფში ჩილელები მერვე ადგილზე არიან. აქამდე მხოლოდ სამი მატჩი მოიგეს. ექვსჯერ დამარცხდნენ და ერთი მატჩიც ფრედ დაასრულეს.

მომავალი შესარჩევი შეხვედრა ჩილელებს 27 მარტს ელით. ისინი პერუს ესტუმრებიან. ფედერაცია იუწყება, რომ ახალ მწვრთნელს უკვე ეძებენ, თუმცა ვის მიიწვევენ, ჯერ კონკრეტულად არ იციან.

უეფას და ფიფას პრეზიდენტები ლენარტ იუჰანსონი (მარცხნივ) და ზეპ ბლატერი (მარჯვნივ) ევროკომისრებთან

ყველას, ყველას, ყველას!

საფეხბურთო ცხოვრების და მოძრაობის ახალი წესები

ევროკავშირმა, ფიფამ და უეფამ, როგორც იქნა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელმაც ოცდამეერთე საუკუნის საფეხბურთო ბაზარი უნდა მრავწესრიგოს. ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის, უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონისა და ევროკომისრების ხუთსაათიანმა შეხვედრამ საბოლოო წერტილი დაუსვა იმ დაპირისპირებას, რომელიც ექვს თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და რომლის მნიშვნელობას ექვსი წლის წინანდელ ბოსმანის საქმეს თუ შევადარებთ. ამიერიდან, სატრანსფერო ბაზრის კანონები ჰარმონიაში მოდის ევროპულ კონვენციასთან, რომელიც სამუშაო ადგილის თავისუფალ არჩევანს ქადაგებს.

აი, შეთანხმების ძირითადი პრინციპებიც:

- 23-წლამდე ფეხბურთელთა გადასვლისას ძველი კლუბი საკომპენსაციო თანხას მიიღებს, რათა ჰატარა კლუბებმა ახალგაზრდა ფეხბურთელთა გაზრდით იარსებონ.
- შეიქმნება მექანიზმი, რათა საკომპენსაციო თანხა ფეხბურთელის ყველა წინა კლუბზე გადანაწილდეს, რომელთაც მის აღზრდაში მონაწილეობა მიუღიათ (სამოყვარულო კლუბების ჩათვლით).
- სპეციალური კონტროლი დაწესდეს 18-წლამდელთა საერთაშორისო ტრანსფერზე, რათა მოზარდ ფეხბურთელებს სპორტული მომზადების, ზოგადი განათლების და ცხოვრების ნორმალური პირობების სრული გარანტია ჰქონდეთ.
- წელიწადში მხოლოდ ერთი სატრანსფერო ფანჯარა იქნება. შემდგომში მას საშუასეზონო ფანჯარაც დემატება, თუმცა ფეხბურთელს კლუბის გამოცვლის უფლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ მიეცემა.
- კონტრაქტის მინიმალური ვადა ერთი წელია, მაქსიმალური — ხუთი.
- 28-წლამდე ფეხბურთელთა კონტრაქტები პირველი სამი წლის მანძილზე დაცული უნდა იყოს, ხოლო უფრო ასაკოვანთათვის — პირველი ორი წლის განმავლობაში.
- კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა მხოლოდ სეზონის ბოლოს შეიძლება.
- კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის შემთხვევაში (არა აქვს მნიშვნელობა, კონტრაქტს კლუბი გაწყვეტს თუ ფეხბურთელი), ამოქმედდება კომპენსაციის გადახდის მექანიზმი.
- აკრძალულ პერიოდში კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის შემთხვევაში დამრღვევს (კლუბი, ფეხბურთელი, აგენტი) საჯარიმო სანქცია ეკისრება.
- შეიქმნება დამოუკიდებელი არბიტრაჟი, რომელშიც კლუბების და ფეხბურთელის წარმომადგენლები შევლენ.
- არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო სასამართლოში.

შეამჩნევდით, აღნიშნული პრინციპები ზოგადი ხასიათისაა და რამდენიმე საკითხის დამატებით დამუშავებას მოითხოვს (მაგალითად, კომპენსაციის თანხის გამოთვლის წესი), მაგრამ ეს უკვე დეტალებია, მთავარი კი გარკვეულია. ცვლილებები მომავალი სეზონიდან ამოქმედდება.

გმადლობთ, ნახვამდის!

ვიჩგე და ვინტერი აიაქსმა დააბერა

აარონ ვინტერს „აიაქსის“ მაისურით ბევრჯერ უთამაშია

ჰოლანდიური და ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყოფილი გრანდი, ამსტერდამის „აიაქსი“ საკუთარი თავის აჩრდილიც კი აღარაა. წავიდა დიადი ხანა და ერთ დროს ლაღად მობურთალი გუნდი საშუალო ევროპულ კლუბებისთვის განსაზღვრულ პირობით ნიშნულს თუ სწვდება. 1995 წელს „აიაქსმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო და მას შემდეგ ნელ-ნელა იწყო ჩაძირვა. „აიაქსის“ ფეხბურთელებით მრავალი ბობოლა გუნდი გაძლიერდა. საერთოდ, ცნობილია ამ კლუბის ხელწერა. ის თითქოს ევროპული გუნდების ფარმკლუბია. „აიაქსში“ ახალგაზრდა ტალანტი იზრდება, ოსტატდება და შემდეგ რომელიმე უცხოურ კლუბს ამშვენებს. ასე იყო ჩემპიონთა თასის მოგებამდე და მოგების შემდეგაც. „აიაქსმა“, სანამ იგი ერთ-ერთ ყველაზე დიდ ტიტულს მოიპოვებდა, თავისი რიგებიდან ნახევარმცველები — არონ ვინტერი და რიხარდ ვიჩგე გაუშვა. ვინტერი „ინტერში“ და „ლაციოში“ იღვწოდა, ხოლო ვიჩგემ „ბარსას“ მაისურა დიდხანს ვერ ატარა და ბოლოს „ბორდოს“ ღირსებას იცავდა.

ბოლო წლებში „აიაქსი“, როგორც ვთქვით, საკმარისზე მეტად დაუძლურდა. ჰოდა, გუნდის საშველად მობერებული ნახევარმცველები დაიძრნენ. გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელს, ჯო ადრიანსეს, მათი, რა თქმა უნდა, ეიმედებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ვიჩგეს და ვინტერს პენსიაზე წასვლის დრო დაუდგათ. ისინი სეზონს სათადარიგოთა სკამზე ატარებენ. „გამოცდილი ფეხბურთელების მუდმივ სამარქაფო შემადგენლობაში ყოლა ტრადიციული ნამდვილად არაა. რა თქმა უნდა, ისინი უნდა თამაშობდნენ და ძირითადში ადგილი საეჭვო არ უნდა ჰქონდეთ. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ვეტერანებმა გზა ახალგაზრდობას უნდა დაუთმონ“ — ამბობს ჯო ადრიანსე და ღვაწლმოსილ ვინტერსა და ვიჩგეს, კარისკენ უთითებს.

ვიჩგე და ვინტერი კონტრაქტით ჯერ კიდევ „აიაქსის“ სრულუფლებიანი წევრები არიან, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან არის დაინტერესებული, მათ სხვა საქმე გამოუნახონ. ფეხბურთელთათვის ამსტერდამული გუნდიდან წასვლა მართლაც მეგობრული რჩევაა. მათთვის ადგილი ღღევანდელ „აიაქსშიც“ აღარ მოიძებნება.

ვნახოთ, „აიაქსმა“ ერთხელ ვიჩგე და ვინტერი უკვე გაუშვა და ევროთასიც მოიგო, ახლაც იგივე სურათია: ვიჩგე და ვინტერი წყვილად მიდიან...

იაფი კანიჯა დანდისთვის ძვირია

გლაზგოში ხმები დაირხა, რომ იქაურ „რეინჯერსს“ „დანდიში“ მოთამაშე არგენტინელი თავდამსხმელის კლაუდიო კანიჯას გადაბირებ სურსო. ამას ადასტურებს თავად „რეინჯერსის“ მწვრთნელის დიკ ადვოკაატის სიტყვებიც — „კანიჯა ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. არ ვიცი, სურს თუ არა მას „აიბროქსზე“ გადმოსვლა, ჩვენ კი გვინდა, რომ „რეინჯერსში“ ითამაშოს“.

„დანდი“ კი გიორგი ნემსაძის არგენტინელი თანაგუნდელის გაყიდვის წინააღმდეგია. კლუბის პოზიცია გამოხატა მენეჯერმა დარიო მარიმ: „ყველაფერს ვიღონებთ, რათა 34 წლის ფეხბურთელი „დენს პარკზე“ დავიტოვოთ. კანიჯას გაყიდვა შეიძლება კლუბისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს, ამიტომ ყველა მსურველს უარით გავისტუმრებთ. ჯერ ერთი, იგი ჩვენთვის დიდი ძალაა და მეორე, უკვე 34 წლისაა და სანაცვლოდ დიდ ფულს ვერ მივიღებთ. 25 წლის რომ იყოს და ვინმე 15 მილიონ გირვანქას გვიხდიდეს, მაშინ დავფიქრდებოდით“.

მარის თქმით, მან ისიც შეიტყო, რომ „რეინჯერსის“ გარდა კანიჯას გლაზგოს მეორე კლუბმა „სელტიკმაც“ დაადგა თვალი. ამიტომ ოფიციალურად გამოაცხადა: „სხვა ნებისმიერი ფეხბურთელის ხელსაყრელ ფასში გაყიდვაზე დავთანხმდებით, კანიჯასი კი არა“.

კასანომ ბარიც გაამდიდრა და რომაც

ანტონიო კასანო

იტალიურმა „ბარიმ“ გვარიანად შეივსო სალარო — „რომას“ 28,85 მილიონ დოლარად ჯერ კიდევ უწვერული, იმედისმომცემი თავდამსხმელი ანტონიო კასანო მიჰყიდა. თვრამეტი წლის ამომავალი ვარსკვლავი რომაულ კლუბში ხუთი წლის განმავლობაში იბურთავებს.

ალბათ, კასანოს უკვე ყოფილი გუნდიც ფრიად კმაყოფილია. ამხელა თანხას ტყუილუბრალოდ არც „რომა“ გადაყრიდა. იტალიაში ჭაბუკ ანტონიოს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ. კასანოს შეძენას „მილანი“, „იუვენტუსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ცდილობდნენ, მაგრამ „რომამ“ ძვირფასი მარგალიტი არავის დაუთმო. აქვე, ერთიც ვთქვათ: კასანო თვრამეტი წლის წინ, 12 ივლისს, ზუსტად იმ დღეს დაიბადა, როდესაც „სკუადრა აძურა“ ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

წინ მხოლოდ ტიტანები არიან

მარტინა ჰინგისი კვლავ პირველია

გასულ კვირაში მარტინა ჰინგისის შთამბეჭდავ მიღწევათა ნუსხას კიდევ ერთი შეემატა — 20 წლის შვეიცარიელს კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე ყოფნის 179 კვირა დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით აქამდე მეოთხე ადგილზე მყოფ მონიკა სელეშს გადაასწრო. ახლა მარტინას მხოლოდ შტეფი გრაფი (378 კვირა), მარტინა ნავრატილოვა (331) და კრის ევერტი (262) უსწრებენ.

„ვიცოდი, რომ მონიკას თანდათან ვეწეოდი, მაგრამ ეს თუ ამ კვირაში მოხდებოდა, წარმოდგენა არ მქონდა. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, რადგან ჯერ კიდევ 1997-ში ისტორიაში უმრწამესი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავხდი, ახლა, 4 წლის შემდეგ ისევ პირველი ვარ და ეს ადგილი თითქმის მთელი ამ ხნის მანძილზე მეჭირა“ — განაცხადა თავად ჰინგისმა, რომელმაც წლეულს უკვე 3 ტურნირის მოგება მოასწრო.

„ეს არაჩვეულებრივი მიღწევაა. როდესაც კარიერას გადავხედავ, ამით ყოველთვის ვიამაყებ. კრის ევერტამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია, მაგრამ ძალას არ დავიშურებ, მასაც რომ გადავასწრო“.

მარტინას ქება არც „დაზარალებულმა“ სელეშმა დააკლო: „ის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეების გვერდით მოხსენიებას იმსახურებს, ზუთი დიდი სლემის ტიტული აქვს მოგებული და პირველი ადგილი მეტად მძიმე პერიოდში შეინარჩუნა, როდესაც ქალთა ჩოგბურთში კონკურენცია საოცრად დიდია“. თუმცა სელეშმა აქვე ისიც დასძინა, რომ მისთვის მთავარი ყოველთვის „მეიჯორები“ იყო: „რომ მკითხოთ, რამდენი კვირის მანძილზე ვიყავი პირველი, ან როდის, ვერც კი გიპასუხებთ. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი დიდი სლემის ტურნირები იყო (მონიკას 9 ტიტული აქვს), კლასიფიკაციას კი არც ადრე ვაქცევდი ყურადღებას და არც ახლა“. ამ მაჩვენებლით კი ჰინგისს ზემოხსენებულ ლეგენდათა დაწევის რეალური შანსი არცა აქვს: გრაფს 22 „მეიჯორი“ მოუგია, ნავრატილოვას და ევერტს — 18-18.

შვეიცარიელი იხტიბარს მაინც არ იტეხს: „დიდი სლემის ტურნირების მოგებისა და პირველი ჩოგნობის შედარება არ შეიძლება, რადგან ორივე ძალიან მნიშვნელოვანია. სლემებზე ადრეც მიმარჯვია და ვიცი, ამას მომავალშიც შევძლებ“.

ჰინგისი იმას მაინც აღიარებს, რომ გრაფისა და ნავრატილოვას მსგავსად ბატონობა ამიერიდან შეუძლებელი იქნება: „ამჟამად ბევრ მოთამაშეს სწამს, რომ არავის ჩამოუვარდება და მოგება შეუძლია. ეს სპორტისთვის, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ერთი-ორი ჩოგბურთელის დომინირების ეპოქა წარსულს ჩაბარდა ისევე. როგორც ხანგრძლივი და წარმატებული კარიერები“.

გამართლდება თუ არა მარტინას პროგნოზი, დრო გვიჩვენებს. უახლოესი კვირების მანძილზე კი შვეიცარიელს დიდი ოფლისღვრა ელის შარშან გაზაფხულზე მოპოვებული ქულებისა და უახლოეს მდევრებთან უპირატესობის შესანარჩუნებლად. დიდია იმის ალბათობა, რომ ინდიან უელსისა და კიბისკეინის პრესტიჟულ ტურნირებზე წარმატებით ასპარეზობის შედეგად ვინუს უილიამსმა კლასიფიკაციაში ლინდსი დევენპორტს გადაასწროს და მარტინას პოზიციებსაც შეუტიოს.

მარტში ATP-ის საუკეთესოთა ნუსხაშიც დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. იმავე ინდიან უელსსა და კი ბისკეინში სეზონის პირველი მასტერსის სერიის ტურნირებზე მწვანეების დიდ რაოდენობასთან ერთად ქულებსაც ბლომად არიგებენ. აქ წარუმატებელი ასპარეზობის შემთხვევაში შარშანდელ ჩემპიონებს — ალექს კორეჩასა და პიტ სამპრასს კლასიფიკაციაში დაღმა დაშვება ელოდებათ.

ავთანდილ სვანიძე

კლასიფიკაცია

ქალები

1.1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	6176
2.2. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	4926
3.3. ვინუს უილიამსი (აშშ)	4207
4.4. მონიკა სელეში (აშშ)	3537
5.5. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2480
6.6. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	2480
7.7. მარი პირსი (საფრანგეთი)	2404
8.11. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	2076
9.8. ანა კურნიკოვა (რუსეთი)	2008
10.9. სერენა უილიამსი (აშშ)	1957
11.10. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1955
12.12. ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	1811
13.13. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1743
14.14. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	1680
15.15. ანკე ჰუბერი (გერმანია)	1625
16.16. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი)	1528
17.17. ჩანდა რუბინი (აშშ)	1521
18.18. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1451
19.19. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	1383
20.20. ემი ფრეზერი (აშშ)	1246
21.22. ჟიუსტინ ენენი (ბელგია)	1228
22.21. ბარბარა შეტი (ავსტრია)	1200
23.23. პაოლა სუარესი (არგენტინა)	1196
24.27. მეგან შონესი (აშშ)	1156
25.26. ლაიზა რეიმონდი (აშშ)	1055
26.24. ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი)	1046
27.25. ელენა დოკიჩი (იუგოსლავია)	1026
28.28. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	998
29.30. მაუი სერნა (ესპანეთი)	986
30.33. გალა ლეონ გარსია (ესპანეთი)	905
47.47. ივა მაიოლი (ხორვატია)	673
72.70. ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი)	451
73.87. მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა)	447

ვინ რამდენი დოლარი მოიხვეჭა 2001-ში

1. მარტინა ჰინგისი	550 116
2. ჯენიფერ კაპრიატი	488 665
3. ლინდსი დევენპორტი	386 178
4. ვინუს უილიამსი	238 656
5. ამელი მორესმო	231 611
6. ანა კურნიკოვა	169 572
7. სერენა უილიამსი	168 845
8. მაგდალენა მალეევა	150 486
9. მონიკა სელეში	125 236
10. კორინა მორარიუ (აშშ)	114 617

ვაჟები

1.1. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	4440
2.2. მარატ საფინი (რუსეთი)	4300
3.3. პიტ სამპრასი (აშშ)	3090
4.4. ანდრე აგასი (აშშ)	2870
5.5. მაგნუს ნორმანი (შვედეთი)	2755
6.6. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	2485
7.7. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	2484
8.8. ალექს კორეჩა (ესპანეთი)	2425
9.9. ტომას ენკვისტი (შვედეთი)	2090
10.10. ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	2020
11.11. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	1970
12.16. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	1925
13.12. არნო კლემანი (საფრანგეთი)	1920
14.15. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	1830
15.13. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	1785
16.14. სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი)	1760
17.17. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა)	1585
18.18. ფრანკო სკილარი (არგენტინა)	1498
19.19. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	1290
20.20. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	1250
21.21. ტომი ჰაასი (გერმანია)	1245
22.22. ანდრეი პაველი (რუმინეთი)	1235
23.25. კარლოს მოია (ესპანეთი)	1190
24.26. ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ)	1170
25.23. მარსელო რიოსი (ჩილე)	1165
26.31. ტომას იოჰანსონი (შვედეთი)	1140
27.24. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)	1130
28.27. ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი)	1108
29.28. სხენგ შალკენი (ჰოლანდია)	1083
30.29. გასტონ გაუდიო (არგენტინა)	1055
41.58. გრეგ რუზეტკი (ინგლისი)	855
48.49. გილერმო კორია (არგენტინა)	795
72.79. სერხი ბრუგერა (ესპანეთი)	579

ჩემპიონთა რბოლა 2001

1. ანდრე აგასი	224 ქულა
2. არნო კლემანი	154
3. სებასტიან გროჟანი	135
4. ევგენი კაფელნიკოვი	122
5. დომინიკ ჰრბატი	118
6. როჯერ ფედერერი	108
7. გუსტავო კუერტენი	97
8. გრეგ რუზეტკი	96
9. პატრიკ რაფტერი	95
10. ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი)	88

გრინმა გრინი გაიმეორა

სამი ამბავი გვაქვს: ლეიკ ბივას მარათონი იაპონიაში, ტატიანა კოტოვასა და ჰაიკე დრექსლერის დუელი მსოფლიოს ჯერქვეშა ჩემპიონატის წინ და მორის გრინის მიღწევა „პონტიაკის გრან პრიზე“. ამათგან მთავარი ბოლოა და ბოლოსთვის გადავდებთ.

ბივას პრესტიჟულ მარათონზე რამდენიმე რიგიანი მორბენალი გამოვიდა, გულით ირბინეს და კარგი შედეგები უჩვენეს. გაიმარჯვა ესპანელმა ანტონიო პენიამ, რომელიც 2 საათში 7 წუთსა და 34 წამში ჩაეტია. მეორე ადგილი იტალიელმა ჯაკომო ლეონემ დაიკავა და მესამე — მასპინძელმა შიგერუ აბურაიამ. მათ ფინიში ერთნაირი დროით გადაკვეთეს (2:07,52) და მხოლოდ 7 წამით ჩამოიტოვეს იაპონელი იოშიტერუ მორიშიტა, რაც მარათონის დასკვნითი ნაწილის სიმძაფრეზე მიგვანიშნებს.

ტატიანა კოტოვა და ჰაიკე დრექსლერი გერმანიას, შინდელფინგენში ხტოდნენ, რაც 9 მარტს დასაწყები მსოფლიოს ჯერქვეშა პირველობის რეპეტიცია იყო და ჯერჯერობით ოლიმპიური ჩემპიონი დაიჯაბნა. კოტოვა 6,84 მეტრზე გადახტა, 36 წლის დრექსლერი — 6,61-ზე. „რასაკვირველია, უკეთ გამოსვლა მინდოდა — შენიშნა დრექსლერმა, რომელმაც ტურნირს სულზე მიუსწრო — ახლა ჩემი სრული ძალა ლისაბონში (მსოფლიო პირველობაზე) უნდა გავამჟღავნო“. შინდელფინგენში კიდევ სპრინტერები გამოირჩნენ: გერმანელ ტალანტს, ტიმ გოებელს, მე-19 დაბადების დღე ჰქონდა და 60 მეტრზე 6,58 წამის ჩვენებით აღნიშნა, ბაჰამელმა სავათედა ფანმა ივივე დისტანცია ქალებში მოიგო ეფექტური შედეგით — 7,16, თუმცა რა არის ეს მონაცემები მორის გრინის 6 მთელსა და 39 მეასედთან, რომელიც 3 მარტს ატლანტაში დაფიქსირდა. იქ „პონტიაკის გრან პრი“ გათამაშდა, რაც ამერიკის ჭერქვეშა პირველობის მეორე სახელია. იანკთა და აქედან გამომდინარე მსოფლიოს რჩეულმა მძლეოსნებმა თავთავისი წილი ყველაფერი მოიგეს. მაგალითად, სტეისი დრაგილამ ჭოკით ხტომაში იმარჯვა (ზედიზედ მეექვსედ „პონტიაკის გრან პრიზე“), ივივე საქმე ვაუთაგან ლოურენს ჯონსონმა შეასრულა სანაქებოდ: მისი 5,96 მეტრი ამერიკის რეკორდად გაფორმდა. შემდეგ ჯონსონი 6,16-საც შეეპოტინა, ეგებ მსოფლიოს რეკორდამდე ავმაღლდეო, მაგრამ დამარცხდა. 12 ათასმა ქომაგმა აგრეთვე იხილა წინა წელს ამერიკის ჩემპიონატზე (ლია ცის ქვეშ) ბირთვის კვრაში სი ჯეი ჰანტერის სენსაციურად დამმარცხებელი ადამ ნელსონი, რომელმაც ამჯერად ბირთვი 21,40 მეტრზე გასტყორცნა და თუმცა ატლანტაში, ჰანტერი არ იყო, სხვებს მოერია. შემდეგ ტერენს ტრამელი იყო უბადლო 60 მეტრზე თარჯრბენში. მისი 7,49 წამი გრან პრის ორგანიზატორებმა ცინცხალი „პონტიაკით“ დააფასეს. მეორე „პონტიაკი“ დრაგილას ერგო, ხოლო გრინმა მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა.

ცოტა გასაკვირია, რომ რეკორდის ამბავი 60 მეტრზე ნახევარფინალური გარბენისას მოხდა. გრინმა თავიდანვე აიწყვიტა და ფინიშამდე უკონკურენტოდ ირბინა. 6,39 წამი დაუფიქსირეს, შემდეგ კი იყო ფინალში გამარჯვება და უფრო მოკრძალებული შედეგი — 6,51. „ნახევარფინალში მაგარი ვიყავი — თქვა გრინმა — ფინალში კი ბოლო ორი ნაბიჯი შემეშალა, თორემ იქნებ რეკორდიც დამემხო. ახლა კი იმაზე, თუ აქ რა მინდა: ნაწილობრივ მოტივაციის გულისთვის ვირბინე. სულ ვცდილობ, ჩემს თავს ვუბიძგო და ფორმაში ვამყოფო. მეორე მხრივ, ვცდილობ, ამერიკაში მძლეოსნობის პოპულარიზაციას შევუწყო ხელი. დიდი ათლეტების ჩემპიონატზე გამოსვლა საამისოდ მეტად მნიშვნელოვანია“.

„პონტიაკის გრან პრის“ ყოველი დისციპლინის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, თუ ისინი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) სტანდარტებს დააკმაყოფილებენ, ავტომატურად ამერიკის ნაკრებში ხვდებიან და 9-11 მარტს ლისაბონში გამოვლენ. საბოლოო სია ამ დღეებში უნდა გამოცხადდეს.

დავით გულუა

მორის გრინმა საკუთარი მსოფლიოს რეკორდი „გაიხსენა“

ხალხი ხალხში

ავსტრალელ მეშახსაბელის ფოტო

ფელიქს სავონი სიდნეის ოლიმპიურ რინგზე

სამარანჩი კუბელებს სიყვარულს ეფიცება

მთავარია დამოკიდებულება, თორემ ნებისმიერი სფეროს აყვავება შეიძლება. კუბელთა სიყვარული სპორტისადმი კარგად მოგეხსენებათ. მიუხედავად იმისა, რომ ფიდელ კასტროს რეჟიმს არაერთმა სპორტსმენმა დააღწია თავი, „კომუნისტური ნაკრძალის“ წარმომადგენელნი მაინც მოწინავეთა შორის არიან. მეტიც, კუბელები ამერიკის სახელმწიფოთა შორის მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩებიან. ამაში დასარწმუნებლად კუნძულელთა მიერ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ოქროს მედლების რაოდენობა (11) კმარა. იმ გამარჯვებებით კუბელებმა, თუ არ ჩავთვლით აშშ-ს, ერთად აღებული დანარჩენი ამერიკა უკან მოიტოვეს.

კუბელთა წარმატებები უყურადღებოდ არ დაუტოვებია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს.

ახლახანს ბარსელონაში 105 ქვეყნის სპორტულ და ტურისტული ორგანიზაციების, ხელმძღვანელებთან შეხვედრისას სამარანჩმა კუბის გაზეთ „გრანმასთვის“ მიცემულ ინტერვიუში მაღალი შეფასება მისცა კუნძულზე სპოტის განვითარებას. მანვე კომენტარი გაუკეთა ჰავანის მახლობლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო სკოლის გახსნას: „ყველა ქვეყანაში არის რაღაც კარგი, დამაკმაყოფილებელი, ამავე დროს ცუდიც, მაგრამ უეჭველია, რომ კუბაში სპორტი განვითარებულია არა უბრალოდ კარგად, არამედ ძალიან კარგად!“

გარდა ამისა, სოკ-ის პრეზიდენტმა ისურვა 20 ივლისს ლოზანაში მისი მემკვიდრე პრეზიდენტისთვის სოკ-ის „გასაღების“ გადაცემის ცერემონიალზე ოლიმპიური ორდენით პირადად დააჯილდოვოს ცნობილი კუბელი მოკრივე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფელიქს სავონი. ამასთან, სამარანჩმა ბრძანა, ჩემი პრეზიდენტობის მანდატის ამოწურვამდე მეგობრებთან გამოსამშვიდობებლად კიდევ ერთხელ გეწვევითო.

ვინ გადაძალავს — პოლიცმეისტერი სტროუ თუ მაფიოზი რახიმოვი?

დიდად პოპულარული შეიქნა ეს ჯეკ სტროუ. რომ არა სპორტი, დღეს მისი სახელი, ალბათ, არავის ეცოდინებოდა. არა, მას არავითარი საერთო არა აქვს სპორტთან. „უბრალოდ“, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრია. ესაა და ეს. მაგრამ, მაინც, რა საერთო აქვთ სპორტსა და ბრიტანეთის მთავარ პოლიცმეისტერს?

საქმე ისაა, რომ ჯეკ სტროუს ხშირად შლაგბაუმობას სთხოვენ. ეგ როგორაო, ალბათ იკითხავთ, მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად.

გეხსომებათ, ალბიონზე მეტოქესთან შესარკინებლად მაიკ ტაისონს ქვეყანაში შესვლის უფლებას რომ არ აძლევდნენ. მაშინ, ალბიონელ ფემინისტთა დაჟინებული მოთხოვნა, სტროუს საზღვარი ჩაეხერგა ქალთა მბახელმბეგველი ტაისონისთვის, უშედეგოდ დამთავრდა. მერე იყო და იგივე მოთხოვნა გაისმა მარადონას მიმართაც, მაგ კოკაინის მყნოსავს ჩვენ ქვეყანაში რა ესაქმებაო. ახლაა და ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა დერეკ უაიატმა თემთა პალატას განსახილველად წარუდგინა წერილი, სადაც იგი ჯეკ სტროუს მიმართავს, რათა ამ უკანასკნელმა არ დაკმაყოფილოს უზბეკი გაფურ რახიმოვის განცხადება მისთვის ქვეყანაში შესვლის ნებართვის მიცემის თაობაზე. რახიმოვი, რომელიც აზიის ოლიმპიური საბჭოს ვიცე პრეზიდენტი და სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანია, ივნისში, ბელფასტში კრივის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ვიზას ითხოვს.

სხვათა შორის, შარშან, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჩასული რახიმოვი აეროპორტიდან უკან გააბრუნეს იმ მოტივით, რომ იგი საზოგადოებისთვის საშიშროებას წარმოადგენსო. ავსტრალიელ ჩინოვნიკთა ასეთი გადაწყვეტილება ფედერალურ საგამოძიებო ბიუროსა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მოწოდებულმა მასალებმა განაპირობა. მასში რახიმოვის საეჭვო საქმიანობაზე იყო საუბარი. მასალებში ამის არაერთი ფაქტი ყოფილა მოყვანილი. არადა, მაშინ ამ საკითხის მოსაგვარებლად პირადად ჩარია სოკ-ის პრეზიდენტი სამარანჩი. მეტიც, ავსტრალიის ხელისუფლებას თვალები დაუბრიალა, როგორ ბედავთ, რომ ოლიმპიური ოჯახის წევრს ქვეყანაში შესვლის უფლებას არ აძლევთო. თუმცა, სამარანჩის მცდელობას ავსტრალიის პრემიერ მინისტრმა ჯონ ჰოვარდმა ცივი წყალი გადაასხა. რახიმოვს გუდა-ნაბადის აკვრა უბრძანეს.

ისე, ეს პირველი შემთხვევა როდია. მისთვის ანალოგიური განაჩენი საფრანგეთის მესაზღვრეებსაც გამოუტანიათ.

იმასაც გაცნობებთ, რომ პერსონა ნონ გრატად შერაცხული უზბეკი, სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (აიბა) 1998 წლიდან მიიღო თავის რიგებში. აიბა-ში იგი ბიზნესის კომისიას ხელმძღვანელობს. სწორედ იქ წარმოებული საეჭვო ბიზნესის გამოა, რომ რახიმოვს ალმაცერად უყურებენ. ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, რომ უზბეკ ჩინოსანს კარს გაუღებენ ალბიონზე. ამბობენ, ეგ გაფურ რახიმოვი მაფიოზიაო.

გიგა გურასაშვილი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ფინური ელვა სან ხოსეს გაანათებს



ტეემუ სელიანე ანაჰაიმიდან სან ხოსეში გადავიდა

5 მარტი

რეინჯერსი 2:5 აილენდერსი (0:1 1:3 1:1)
0:1 ჩერკავსკი 12 (24), 0:2 ჯ. ბლეიკი 26 (4), 0:3 მაკოლტი 27 (9), 0:4 კოლნიკი 27 (4), 1:4 ლიჩი 40 (17), 2:4 მაკარტი 46 (8), 2:5 კ. იუნსონი 59 (4)

ფილადელფია 6:4 ბოსტონი (3:2 0:2 3:0)
1:0 მაკგილისი 10 (12), 1:1 როლსტონი 11 (13), 2:1 რეკი 14 (21), 2:2 ელისონი 18 (27), 3:2 ფედოტენკო 18 (13), 3:3 ტორნტონი 22 (27), 3:4 ტორნტონი 23 (28), 4:4 დეეარდენი 46 (13), 5:4 რეკი 57 (22), 6:4 პრიმო 60 (29)

სადედლაინო ციებ-ცხელება დაიწყო. მანამდე კი, ათი დღის წინ, ერთი სანსაციური გაცვლა მოხდა — ლოს ანჯელესის ლიდერი და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი რობ ბლეიკი კოლორადოში გადავიდა. ეს იყო და ეს. მერე დედლაინიც კარს მოგვადგა (13 მარტი) და ორშაბათს სამი მნიშვნელოვანი გაცვლა მოხდა. დავიწყოთ მთავრით — დაიშალა ლიგის ერთ-ერთი მშვენება, ტეემუ სელიანესა და პოლ კარიას საოცარი დუეტი, წყვილი, რომელიც წლების განმავლობაში ლამის ყველაზე მრისხანედ და შედეგიანად ითვლებოდა. იყო დრო, ამას ვერავინ წარმოიდგენდა, მაგრამ ყველაფერი იცვლება. ტეემუ სელიანე, მეტსახელად „ფინური ელვა“ ანაჰაიმსა და სან ხოსეს შორის განხორციელებული გაცვლის მთავარი ფიგურა შეიქნა. მის სანაცვლოდ სან ხოსე ფორვარდ ჯეფ ფრიზენს და მეკარე სტივ შილდსს შეელია. ასე რომ, ამიერიდან კარია ობლად დარჩება, თუმც, გულახდილად რომ ვთქვათ, ამ დუეტმა ანაჰაიმი მაინცდამაინც ვერ გაიყვანა ელიტაში. ეს ეგებ გუნდის მესვეურთა უთავბოლო პოლიტიკის ბრალიცაა, რომელმაც კარია-სელიანეს დუეტს ვერ გაუწია სათანადო მხარდაჭერა, თუმც ეს სხვა ისტორიაა. სან ხოსე კი ამიერიდან სულ სხვა ელფერს მიიღებს. აქამდე ხომ „ზვიგენები“ ბეჯით და დისციპლინებულ გუნდს წარმოადგენდა და წმინდა გოლეადორი არასდროს ჰყოლია. თუმც ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სან ხოსეს ლიდერი ვენსან დამფუსი გამოაკლდა სეზონის ბოლომდე, რამაც გუნდის რიცხვმრავლობის ბრიგადების ნაყოფიერებაზე მოახდინა გავლენა. სელიანე კი სწორედ ასეთ სიტუაციებშია მარჯვე. ფინელი ორშაბათს უკვე გაფრინდა სან ხოსეში და ფლორიდასთან შეხვედრაში შედგება მისი დებიუტი. მის ანგარიშზე 26 გოლი და 59 ქულა.

ახლა კი მეორე გაცვლაზე: ფინიქსის ახალი მფლობელი უეინ გრეცკი სიტყვის კაცი და ენერგიული ბიზნესმენი ყოფილა. დაპირებისამებრ მან ერთ კვირაში მოაგვარა წელიწადნახევრის განმავლობაში გაფიცული მეკარის, ნიკოლაი ხაბიბულინის გაცვლის საქმე. „დიადმა“ იგი აუტსაიდერ ტამპას მიჰყიდა.

ხაბიბულიანთან ერთად ტამპაში მცველი სტენ ნეკარი გადავიდა, ხოლო მათ ნაცვლად „კოიოტებმა“ ნიჭიერი მცველი პოლ მარა და ფორვარდი მაიკ ჯონსონი შეიმატეს, რომლებსაც, გუნდის მესვეურთა აზრით, შეუძლიათ, პირველ ხუთეულშიც კი დაიბევონ ადგილი. ისე, ხაბიბულინი მოგებული დარჩა. მართალია, ტამპა მაჩანჩალა გუნდია, მაგრამ ახალგაზრდაა და პერსპექტიული. აღსანიშნავია, რომ რუსი წლიურ ხელფასს მთლიანად მიიღებს, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასრულებამდე თვეზე ოდნავ მეტი დარჩა.

მესამე გაცვლა სენტ ლუისსა და რეინჯერსს შორის მოხდა. ორი წამყვანი მცველის — კრის პრონგერისა და ელ მაკინისის არყოფნით გამოწვეული წარუმატებლობით შეშფოთებულმა სენტ ლუისმა ვეტერანი მცველი ალექსეი გუსაროვი შეიძინა, მის მაგივრად კი ნიუ იორკში 22 წლის პეტერ სმრეკი გადავიდა. რუსი საიმედო თამაშითაა ცნობილი და 1996 წელს კოლორადოს რიგებში თასის მფლობელიც გახდა. რაც შეეხება მის აწ უკვე ყოფილ გუნდს, რეინჯერსს, მან, ეტყობა, საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი. ორშაბათს გუნდმა თანაქალაქელ აილენდერსთან ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია. მანამდე კი ტამპასთან 0:6 მარცხმა ნიუიორკელები სატურნირო ცხრილის ბოლოს მოაქცია. და აივსო კლუბის მესვეურთა მოთმინების ფიალა, ჩვეულებრივ, მთავარი მწვრთნელი ბაჩ გორინგი დაადანაშაულეს. ორშაბათს გუნდი მისმა ყოფილმა ასისტენტმა მწვრთნელმა ლორნი ჰენინგმა გაიყვანა და მისმა შეგირდებმა სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენეს, თან უფრო მდიდარ და სახელგანთქმულ მეზობელს კარგი ცემა-ტყეპაც მოუწყვეს.

ფილადელფია ბოსტონთან გამარჯვებას კეიტ პრიმოს (1 გოლი, 2 პასი) და მარკ რეკის (2 გოლი, 2 პასი) უნდა უმადლოდეს. მათთან შეამხანაგებულმა დეიმონ ლენგკოუმაც ამჯერად კარგად ააწყო თამაში. სწორედ მათ შეუწყეს ხელი ერიკ დეეარდენს გარდატეხის გოლი გაეტანა უმცირესობაში.

სამველ ღარიბიანი

თვის მოთამაშე



ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი)

გასული თვე პიტსბურგის ფორვარდ ალექსეი კოვალიოვის ცხრაწლიან ნჰლ-ურ კარიერაში საუკეთესო გამოდგა — რუსმა სამი ჰეთ თრიქი(!) მიითვალა მაშინ, როცა მანამდე სულ ორი გაეკეთებინა. ასეთი რამ ბოლოს 1992-93 წლების სეზონში მაშინ ბუფალოელმა ალექსანდრ მოგილნიმ შეძლო. თანაც ეს რა გოლები იყო! თუნდაც რეინჯერსთან თამაში გავიხსენოთ (7:4), როდესაც კოვალიოვმა ულამაზესი ფინტებითა და მაღალი ტექნიკით ძველი დრო მოგვაგონა და ფაქტობრივად მარტო გაუსწორდა მოწინააღმდეგეს. თან სამ გოლს ორი პასიც დაამატა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით ამ სეზონში იგი სტაბილურობითაც გამოირჩევა. „პინგვინებში“ მან [illegible]ასუფლად გაშლა ფრთები და, ზოგის აზრით, მარიო ლემიესა და იარომირ იაგრზე მეტი ნაყოფი მოაქვს გუნდისთვის. ყოველ შემთხვევაში, თებერვალში ეს აშკარად იგრძნობოდა. ერთობ დაღლილი ჩანდა ლემიე, იაგრიმაც ცოტა შეანელა ტემპი, მაგრამ მათ ღირსეული შემცვლელი მოეძებნათ.

თვის საუკეთესო ახალბედად ნჰლ-მა კაროლინას ფორვარდი უილისი აღიარა. მან 11 მატჩში 10 (7 გოლი, 3 პასი) ქულა დააგროვა, თანაც თვის ბოლო კვირას სამ მატჩში 6 გოლი გაიტანა, მათ შორის ჰეთ თრიქი ატლანტასთან. დღესდღეობით უილისი 18 გოლით ლიდერობს დებიუტანტთა შორის.

თვის საუკეთესო ექვსეული

კრის ოსგუდი (დეტროიტი, 1); ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, 2) — სერგეი ზუბოვი (დალასი, 1); პაველ ბურე (ფლორიდა, 1) — პიტერ ფორსბერგი (კოლორადო, 1) — ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი, 1)

კვირის მოთამაშე



პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი)

როგორც იქნა, გასულ კვირას ნიუ ჯერსის ყველა ტრავმირებული ფორვარდი დაბრუნდა. გამოჯანმრთელებულმა მოთამაშეებმა უმალ დაუმტკიცეს მეტოქეს, რა ძალას წარმოადგენენ ნიუ ჯერსისთვის. ამ გარემოებამ ყველაზე მეტად პატრიკ ელიაში გაამხნევა, რადგან პირველი სამეული შეივსო, თუმც ჩეხმა პარტნიორთა დაბრუნებამდეც იმარჯვა ორ თამაშში, უქმეებზე კი შეუჩერებელი ხაზის (9 გოლი და 9 პასი 2 მატჩში) მთავარი ფიგურა შეიქნა. საბოლოოდ მას 4 თამაშში 11 (4 გოლი, 7 პასი) ქულა მოუგროვდა. მისი საუკეთესო თამაში კი კაროლინასთან შედგა, რომელშიც პატრიკმა ორ გოლს ორი პასიც მიაყოლა. მთავარ კონკურენტს, სახელოვან თანამემამულე იარომირ იაგრს ელიაშმა ერთი ქულით აჯობა და ტიტულიც დამსახურებულად მოიპოვა.

საუკეთესო ექვსეული. 26 თებერვალი — 4 მარტი

მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი, 2); სანდის ოზოლინში (კაროლინა, 1) — მატიას ოლუნდი (ვანკუვერი, 1); იარომირ იაგრი (პიტსბურგი, 2) — პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი, 1) — ალექსეი იაშინი (ოტავა, 2)

სარბიელი

სპორტული ლატარია კროკო

გერმანია. ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი
8 მარტი

21.45	001	ჰერტა-უნტერჰახინგი	1,45	3,4	6,5

ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი
7 მარტი

23.45	002	ვესტ ჰემი-ჩელსი	2,5	2,9	2,6

ინგლისი. I დივიზიონი. 36-ე ტური
7 მარტი

23.45	010	ნოტინგემი-ბარნსლი	1,55	3,4	5,6
23.45	011	უენსდი-პორტსმუთი	2,0	3,0	3,5
24.00	012	ქუინზ პარკი-უოტფორდი	2,6	3,1	2,3

ინგლისი. II დივიზიონი. 36-ე ტური
7 მარტი

23.45	024	კოლჩესტერი-პორტ ვეილი	2,1	3,0	3,3
23.45	025	სტოკი-სუონსი	1,3	4,0	7,5
	026	სტოკი-სუონსი 0:1	1,9	3,2	2,6

ჩეხეთი. გადადებული მატჩი
7 მარტი

21.00	038	ტეპლიცე-სპარტა	3,6	3,1	1,85

ინგლისი. თასის 1/8 ფინალი. გადათამაშება
7 მარტი

23.45	039	ბლეკბერნი-ბოლტონი	1,85	3,0	3,8

საბერძნეთი. თასის 1/4ფინალი. II მატჩები
7 მარტი

17.00	040	აპოლონი-პანილიაკოსი	2,2	3,0	3,1
22.00	041	ქსანტი-პაოკ	2,5	3,0	2,5

პოლონეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები
7 მარტი

18.00	042	პოლონია-სტომილი	1,35	3,6	7,5
18.00	043	ზაგლებე-ლეგია	2,4	2,9	2,8
18.00	044	ოდრა-პლოცკი	1,5	3,4	6,5
18.00	045	ლეჩინა-გურნიკი	2,5	3,0	2,5

შოტლანდია. თასის მე-4 ეტაპი. გადათამაშება
7 მარტი

23.45	046	სელტიკი-დანფერმლაინი	1,15	5,6	10,0
23.45	047	დანდი-ჰართსი	2,3	3,0	2,7

ჩემპიონთა ლიგა. მე-5 ტური
7 მარტი

23.45	505	პანათინაიკოსი-მანჩესტერი	4,0	3,1	1,8
23.45	506	შტურმი-ვალენსია	3,0	2,9	2,3
23.45	507	დეპორტივო-პსჟ	1,3	4,0	7,5
23.45	508	გალათასარაი-მილანი	2,4	3,0	2,7

უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები
8 მარტი

23.30	509	ალავესი-რაიო ვალეკანო	1,8	3,0	4,2
23.30	510	კაიზერსლაუტერნი-პსვ	1,75	3,2	4,0
24.00	511	ბარსელონა-სელტა	1,35	3,8	7,0
01.30	512	პორტუ-ლივერპული	2,5	3,0	2,5

ლიბერტადორესის თასი
7 მარტი

01.00	516	ოლმედო (ეკვადორი)-დეფენსორი (ურუგვაი)	1,75	3,1	4,0
01.00	517	კობრელოა (ჩილე)-ორიენტე (ბოლივია)	1,4	3,5	7,0
04.00	518	ვასკო და გამა (ბრაზილია)-ტაჩირა (ვენესუელა)	1,1	6,0	12,0
06.10	519	ბოკა ხუნიორსი(არგენტინა)-დეპორტივო(კოლუმბია)	1,2	5,0	9,0

8 მარტი

05.00	520	როსარიო (არგენტინა)-ველესი (არგენტინა)	1,75	3,1	4,2
05.10	521	ვილსტერმანი (ბოლივია)-კონსეპსიონი (ჩილე)	1,55	3,4	5,0
06.40	522	პალმეირასი (ბრაზილია)-უნივერსიდადი (ჩილე)	1,2	5,0	9,0

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა
8 მარტი

23.30	601	ალავესი	1,7	რ.ვალეკანო	4,0
23.30	602	კაიზერსლაუტ.	1,45	პსვ	2,0
24.00	603	ბარსელონა	1,15	სელტა	4,0
01.30	604	პორტუ	4,0	ლივერპული	1,15

I ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		7 მარტი									
705		პანათინაიკოსი-მანჩესტერი	6,0	12,0	18,0	7,5	4,7	3,5	18,0	10,0	2,7
706		შტურმი-ვალენსია	4,4	10,0	18,0	5,3	4,4	4,4	18,0	10,0	3,4
707		დეპორტივო-პსჟ	1,6	15,0	30,0	3,5	5,6	10,0	18,0	10,0	10,0
708		გალათასარაი-მილანი	4,0	12,0	18,0	5,3	4,4	5,3	18,0	10,0	4,0
		8 მარტი									
709		ალავესი-რაიო ვალეკანო	2,7	12,0	20,0	4,7	4,7	7,0	16,0	10,0	6,5
710		კაიზერსლაუტერნი-პსვ	2,5	15,0	20,0	4,7	4,7	6,5	16,0	10,0	6,0
711		ბარსელონა-სელტა	1,7	18,0	30,0	3,5	6,0	10,0	18,0	12,0	10,0
712		პორტუ-ლივერპული	3,8	10,0	18,0	5,0	4,4	5,0	18,0	10,0	3,8

კალათბურთი
7 მარტი

04.00	809	ბოსტონი-მილუოკი	1,7	12,0	1,7
04.00	810	ინდიანა-ნიუ იორკი	1,7	12,0	1,7
04.00	811	ფილადელფია-ნიუ ჯერსი	1,05	12,0	6,0
04.30	812	ატლანტა-ჰიუსტონი	2,5	12,0	1,35
04.30	813	კლივლენდი-ვაშინგტონი	1,15	12,0	4,0
04.30	814	მაიამი-დალასი	1,5	12,0	2,0
04.30	815	ორლანდო-დეტროიტი	1,15	12,0	4,0
05.00	816	ფინიქსი-საკრამენტო	1,6	12,0	1,8
06.00	817	იუტა-სიეტლი	1,2	12,0	3,5
07.30	818	ლეიკერსი-ტორონტო	1,1	12,0	4,0

8 მარტი

04.30	819	შარლოტი-ორლანდო	1,3	12,0	2,8
05.00	820	პორტლენდი-სან ანტონიო	1,3	12,0	2,8
05.30	821	ჰიუსტონი-კლიპერსი	1,1	12,0	5,0

კალათბურთი. სუპროლიგა
8 მარტი

21.00	822	ლ.რიტასი-სპლიტი	2,0	12,0	1,4
21.00	823	ეფესი-სკავოლინი	1,3	12,0	2,8
21.00	824	ცსკა-ვილერბანი	1,1	12,0	5,0
21.00	825	ცეპტერი-ალბა	1,55	12,0	1,9
21.00	826	პანათინაიკოსი-რაანანა	1,05	12,0	7,5
23.00	827	მაკაბი-ირაკლისი	1,15	12,0	4,0
23.30	828	პო ორტეზი-კრკა	1,35	12,0	2,3
23.30	829	სიენა-ულქერი	1,7	12,0	1,7
23.30	830	ბაიერი-პარტიზანი	2,5	12,0	1,3
23.30	831	ოსტენდე-პლანია	1,1	12,0	5,0

კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩები
8 მარტი

21.00	832	აეკ ბენეტონი	1,7	12,0	1,7
23.30	833	ფორტიტუდო-რეალი	1,4	12,0	2,3

ჰოკეი
6 მარტი

04.00	901	ბოსტონი-ბუფალო	2,1	4,0	2,1
04.30	902	ნიუ ჯერსი-ოტავა	1,9	4,0	2,3
04.30	903	აილენდერსი-ვაშინგტონი	2,7	4,0	1,7
04.30	904	ატლანტა-კოლორადო	3,0	4,0	1,6
04.30	905	ტამპა ბეი-სან ხოსე	2,7	4,0	1,7
05.00	906	მინესოტა-სენტ ლუისი	2,6	4,0	1,75
06.00	907	კალგარი-ტორონტო	2,1	4,0	2,1
06.00	908	ფინიქსი-ნეშვილი	1,65	4,0	2,8
06.00	909	ვანკუვერი-დეტროიტი	1,5	4,0	3,4
07.30	910	ლოს ანჯელესი-მონრეალი	1,4	4,0	4,2

7 მარტი

04.00	911	კაროლინა-კოლუმბუსი	1,35	4,0	5,0
04.30	912	პიტსბურგი-ვაშინგტონი	1,8	4,0	2,5
04.30	913	ფლორიდა-სან ხოსე	2,6	4,0	1,75
05.30	914	დალასი-ჩიკაგო	1,55	4,0	3,2
06.00	915	ედმონტონი-ტორონტო	1,8	4,0	2,5
07.30	916	ანაჰაიმი-მონრეალი	2,0	4,0	2,2

8 მარტი

04.00	917	ბოსტონი-ოტავა	2,2	4,0	2,0
04.00	918	ფილადელფია-კალგარი	1,5	4,0	3,4
04.30	919	ნიუ ჯერსი-მინესოტა	1,35	4,0	5,0
04.30	920	ატლანტა-პიტსბურგი	2,8	4,0	1,65
04.30	921	ტამპა ბეი-კაროლინა	2,4	4,0	1,85
05.00	922	სენტ ლუისი-კოლორადო	2,0	4,0	2,2
06.00	923	ფინიქსი-ვანკუვერი	1,9	4,0	2,3
07.30	924	ლოს ანჯელესი-ნეშვილი	1,8	4,0	2,5

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

საქართველოს ჩემპიონატი

ვინ იქნება მეოთხე ხელისუფლებაში?

6 მარტი. ვერის ბაღი

შევარდენი 74:87 სტუ

18:17, 16:21, 21:18, 19:31

შევარდენი: ნ. ნოზაძე (6), გ. ჩხეიძე (20), გიგაური (13), სუხიშვილი (26), ქევხიშვილი (1); ალავიძე (3), გელაშვილი, მაჭავარიანი (5)

სტუ: ბ. ბერიშვილი (15), ხოშტარია (12), დავითულიანი (25), ჩუბინიძე (15), ოთიურიძე (6); კორძაძე, მარხვაშვილი, სულაძე, მდივანი (2), მინაშვილი (8), მიქაძე (4)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

6 მარტი. ვერის ბაღი

თსუ 93:91 მაკაბი

16:25, 31:17, 21:25, 25:24

თსუ: დ. ბერიშვილი (12), მაისურაძე (22), გ. მარკოიშვილი (16), ახალკაცი (30), მაჭარაძე (6); ხეცურიანი (7), ვეფხვაძე

მაკაბი: წოწელია (17), ი. შანიძე (16), სარიშვილი (14), ტუჯანი (11), დაჩუმი (29); კოჭლამაზაშვილი, ანდღულაძე, ქოქოსაძე (2), მჭედლიშვილი, ფიცხელაური (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

გიორგი ბიკაშვილი

„**მაკაბის**“ გუშინდელი მატჩი რომ მოეგო, საყოველთაო აზრს ერთიორად განამტკიცებდა და თითქმის ასი პროცენტით დაიბევებდა ადგილს ელიტარულ ოთხეულში. იქ შეღწევის შანსი დღევანდელი გადასახედიდანაც „მაკაბის“ უფრო მეტი აქვს, ვიდრე მის უშუალო მოცილე თსუ-ს, თუმც ვიმეორებთ, წაგების შემთხვევაში საუნივერსიტეტო კლუბი სულ მთლად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ერთი სიტყვით, პლეი ოფზე მეოცნებე სტუდენტობას უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა.

შეხვედრა მაკაბელთა კარნახით დაიწყო, დიდიე დაჩუმიმ და ირაკლი შანიძემ უმალ დააწინაურეს თავიანთი გუნდი, ორიოდ წუთის მერე კი „მაკაბი“ 11:4 იგებდა. მომდევნო ეპიზოდში მეტოქეთა ცენტრები — შოთა მაჭარაძე და დიდიე დაჩუმი შეკამათდნენ. საბედნიეროდ, საქმე ამაზე შორს აღარ წასულა, თუმც რატომღაც აღელდა „მაკაბი“ და მალე მოწინააღმდეგემ წონასწორობა აღადგინა — 13:13.

„მაკაბი“ გონს გოჩა წოწელიას სამქულიანით მოეგო. ამის მერე ამ გუნდმა დაცვაც ერთიორად შეუკავალი გახადა და საწყისი ათწლეულის მიწურულს კვლავაც ხელთ იგდო უპირატესობა. პირველ მეოთხედს წერტილი დავით სარიშვილმა დაუსვა ზუსტი საჯარიმოებით მას შემდეგ, რაც მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ სტუდენტი მაისურაძე ტექნიკურით გააფრთხილა.

შეხვედრის სცენარის ასეთივე გაგრძელება თსუ-ს ხელს არ აძლევდა და ორწუთიანი შესვენების შემდეგ ამ გუნდმა უკანახაზელებზე აიწყო თამაში. გია ჯავახიშვილის სამწყსომ ფარქვეშ ქმედებაც გააუმჯობესა და ტუჯან-დაჩუმის კამერუნულ ტენდემს გაცილებით მკაცრი დაცვა დაუპირისპირა. შედეგად შიო ხეცურიანის გარღვევის შემდეგ ტაბლოზე კვლავაც თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა — 37:37.

ამის მერე თამაში ქულა-ქულაში გაჩაღდა, მაგრამ გიორგი მარკოიშვილის სამქულიანმა და გულივერ ახალკაცის სიზუსტემ ტაიმის ბოლოს „მაკაბი“ მდევრად აქცია.

წინა დღის მსგავსად თსუ ვერც გუშინ თოკავდა ნერვებს. მოგვიანებით „მაკაბიმ“ სწორედ ამის ხარჯზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მატჩი კვლავაც ანალოგიური სცენარით გაგრძელდა და ცხადი გახდა, გამარჯვებულის ვინაობას უკანასკნელი წუთები გაარკვევდა. ბოლო ათწუთეულის დაწყებამდე სტუდენტური კლუბი ქულასღა იგებდა, თუმც თსუ-ს წისქვილზე წყალს ისიც ასხამდა, რომ 5 პერსონალურის გამო მაკაბელი დავით სარიშვილი თამაშს გამოეთიშა.

სარიშვილის გზას მალე თსუ-ელი შოთა მაჭარაძეც გაუყვა. ფარქვეშ ძალაშესუსტებული სტუდენტები ამ ეპიზოდის შემდეგ მთლიანად გარედან შეტევებს მიემალნენ და გაუმართლათ კიდეც — ირაკლი მაისურაძის ზედიზედ სამმა სამქულიანმა და გულივერ ახალკაცის ეფექტურმა ჩატენვამ „მაკაბი“ შოკში ჩააგდო.

სირენამდე ხუთიოდ წუთით ადრე 9 ქულით ჩამორჩენილმა „მაკაბიმ“ მალე კიდევ ერთი მძლავრი დარტყმა განიცადა. ამ კლუბის წამყვანმა მოთამაშეებმა — გოჩა წოწელიამ და ჟოლიეტ ტუჯანმ 5 პერსონალურის გამო მიყოლებით დატოვეს მოედანი და თსუ-ს გამარჯვებასაც თითქოს წინ აღარაფერი ედგა. აქ კი გაუგებარი მიზეზით აჩქარდნენ სტუდენტები, რამაც სათადარიგოების ამარა დარჩენილ „მაკაბის“ მეტოქესთან მიახლოვების საშუალება მისცა. საფინალო სირენამ თსუ-ს სულზე მოუსწრო...

ორშაბათს „აზოტთან“ უბრძოლველად დამარცხებული „შევარდენი“ გუშინ ჩვეული ჟინით დაუხვდა სტუ-ს. ფავორიტად, ცხადია, ტექნიკოსთა კლუბი მიიჩნეოდა, მაგრამ, ვერის ბაღში შეკრებილ ქომაგთა გასაკვირად, ტაბლო უმეტესად მეტოქეთა თანაბარძალიანობას იუწყებოდა. ბოლო დროს სტაბილურად მოთამაშე და „შევარდენთან“ იოლი გამარჯვების მომლოდინე სტუ ზედმეტად დამშვიდებული ჩანდა.

პირველი მეოთხედის ქულით წამგებმა ნუხგარ ჭეიშვილის გუნდმა მერე და მერე ტემპს უმატა, თუმც ამ ხერხითაც ვერაფერს გამორჩა მეტოქეს. „შევარდენი“ გიორგი ჩხეიძისა და ლადო სუხიშვილის ძალისხმევით მოწინააღმდეგეს ფეხდაფეხ მისდევდა და ცოცხალი თავით არაფერს თმობდა. სტუ-მ ტაიმის მიწურულსღა შეძლო 4 ქულით დაწინაურება, რაც მანამდე მხოლოდ ერთხელ მოეხერხებინა.

შესვენების შემდეგ „შევარდენმა“ კიდევ ერთხელ აგრძნობინა მეტოქეს, რომ ამ მატჩში გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებდა. დამთავრდა მესამე ათწუთეულიც და საავიაციო ქარხნის გუნდს მხოლოდ ქულა აშორებდა მეტოქისგან.

გამარჯვებულის ბედი უკანასკნელ ოთხ წუთში გაცხადდა. ოსტატურად ათამაშდა სტუდენტი ვასილ ოთიურიძე, რომელიც გამთამაშებლისთვის შესაშური პასებით ამარაგებდა პარტნიორებს. მისმა გონივრულმა ქმედებამ და ალეკო დავითულიანის სწრაფმა გარღვევებმა დანარჩენ სტუ-ელებსაც ხელ-ფეხი გაუხსნა, მეტოქე კი ბედს შეაგუა — „შევარდენი“ 10 ქულის გამბათილებელი აღარ იყო...

ბასკო	21	21	0	2110:1547	42
აზოტი	20	15	5	1674:1448	35
სტუ-ჯეოსელი	20	15	5	1894:1717	35
მაკაბი	19	10	9	1670:1583	29
თსუ	21	8	13	1804:1945	29
შევარდენი	20	7	14	1588:1721	27

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სლოვენია

XXII ტური

ზაგორიე — კრაშუი ზიდარი 100:67, ოლიმპია — კემოპლასტი 106:49, პივოვარნა — ჰელიოსი 88:67, ლოკა კავა — ტრიგლავი 58:67, კრკა — სავინსკი 97:82

როგლა 96:95 სლოვანი

როგლა: დუნდოვიჩი (24), შპორარი (22), პეტრანოვიჩი (15), ზინრაიში (12), სტაროვასტნიკი (10), ტემნიკი (7), ზარიჩი (4), ბენიჩი (2), ჰერმანი

სლოვანი: ნოვაკი (16), ლაკოვიჩი (29), ფაკელი (7), გრბეშიჩი (7), **უმრეხელიძე** (30 წუთი, 16 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), ჯურკოვიჩი, პავიჩი (4), **ბოესა** (8 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა), მარავიჩი (2), კოკალი, **ცძიტიშვილი** (16 წუთი, 12 ქულა, 1 მოხსნა)

ოლიმპია	22	21	1	2103:1440	43
კრკა	22	21	1	1944:1622	43
პივოვარნა	22	15	7	1960:1847	37
სლოვანი	22	13	9	1820:1748	35
როგლა	22	11	11	1840:1896	33
კრაშუი ზიდარი	22	11	11	1660:1792	33
ჰელიოსი	22	9	13	1752:1789	31
ტრიგლავი	22	9	13	1637:1734	31
კემოპლასტი	22	8	14	1904:2011	30
ზაგორიე	22	6	16	1781:1981	28
სავინსკი	22	5	17	1722:1956	27
ლოკა კავა	22	3	19	1689:1996	25

თურქეთი

XIX ტური

გალათასარაი — ბეშიქთაში 64:62, ქომბასანი — ანტბირლიკი 106:90, ფენერბაჰჩე — დარუშაფაკა 74:80, ქარშიაქა — ალთაი 95:86, ტროი — ეფესი 63:82, ტელეკომი — ბუიუქ კოლეჯი 90:89

მაიდენოსი 66:72 ულქერი

მაიდენოსი: მემისოლლუ, ბაირამოლლუ (11), ჩელიკი, გოლუ, ტაშინარი (7), კლაიდი (14), თამსოზი (4), იაგოდნიკი (11), რობინსონი (19)

ულქერი: ლოლისი (7), ჰენდლოგტენი (9), **ფაჩულია** (2 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), გოლიოვიჩი (4), ერდენი (16), გიულერი, აჩიკი, გონლუმი (10), ალადირიმი (3), სარიჯა (23)

დარუშაფაკა	19	16	3	1536:1381	35
ულქერი	19	16	3	1689:1434	35
ეფესი	19	15	4	1632:1451	34
ტელეკომი	19	14	5	1609:1485	33
ფენერბაჰჩე	19	12	7	1571:1469	31
ბეშიქთაში	19	11	8	1601:1527	30
ტროი	19	10	9	1620:1595	29
ქარშიაქა	19	9	10	1663:1654	28
ქომბასანი	19	8	11	1562:1699	27
გალათასარაი	19	6	13	1401:1484	25
მაიდენოსი	19	6	13	1450:1497	25
ბუიუქ კოლეჯი	19	5	14	1556:1628	24
ანტბირლიკი	19	3	16	1482:1825	22
ალთაი	19	2	17	1446:1689	21

ესპანეთი

XXIII ტური

კასა სან ფერნანდო — ხირონა 73:79, რეალი — ხიხონი 73:65, კანტაბრია — ხუვენტუდი 71:70, უნიკასა — კასერესი 82:78, ფუენლაბრადა — ორენსე 88:73, კანარიასი — ბარსელონა 71:74, ტაუ — ფორუმი 76:65, პამესა — ესტუდიანტესი 68:86, კოსტაბლანკა — ბრეოგანი 79:85

ბარსელონა	23	21	2	2059:1740	44
უნიკასა	23	18	5	1972:1755	41
რეალი	23	18	5	1839:1683	41
ტაუ	23	17	6	1974:1721	40
პამესა	23	17	6	1896:1758	40
ფუენლაბრადა	23	14	9	1903:1809	37
ესტუდიანტესი	23	13	10	1862:1842	36
ფორუმი	23	12	11	1884:1861	35
ხირონა	23	10	13	1810:1831	33
სან ფერნანდო	23	10	13	1772:1974	33
კასერესი	23	10	13	1733:1799	33
კანარიასი	23	9	14	1772:1925	32
ბრეოგანი	23	8	15	1805:1882	31
კანტაბრია	23	8	15	1674:1913	31
ხუვენტუდი	23	7	16	1800:1884	30
ორენსე	23	6	17	1722:1881	29
ხიხონი	23	5	18	1750:1898	28
კოსტაბლანკა	23	5	18	1708:1959	28

საფრანგეთი

AFP შალონ სიურ საონიდან

შალონი — სტრასბური. შალონელი სტეფან ოსტროვსკი (მარცხნივ) და დევიდ რობინსონი

შეწყვეტილი სერია

XX ტური

შოლე — პო ორტეზი 76:84, ნანსი — ვილერბანი 66:75, ბურგი — დიჟონი 56:79, ლე ავრი — მონპელიე 78:89, გრაველინი — რასინგი 75:81, შალონი — სტრასბური 84:58, ევრე — ბეზანსონი 75:69, ანტიბი — ლე მანი 76:83

სანამ ტურის მატჩების მიმოხილვას დავიწყებდეთ, ლიდერის ახალწვეულზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. „ვილერბანმა“ იანვარში დათხოვნილი ამერიკელის არტ ლონგის სანაცვლოდ პანმელი რუბენ გარსესი აიყვანა. 27 წლის (206 სმ, 111 კგ) ფრთა ამერიკაში კი თამაშობდა, მაგრამ ნბა-ში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. „ფენიქსში“ მხოლოდ 10 მატჩი (ჯამში 16 ქულა, 22 მოხსნა), „გოლდენ სტეიტში“ კი 3 მატჩი (0 ქულა, 7 მოხსნა) ჩაატარა. დანარჩენი დრო გარსესი ქვედა ლიგებში თამაშობდა. „ვილერბანის“ შემადგენლობაში იგი შეიძლება უკვე ამ კვირას გამოჩნდეს საფრანგეთის თასის მეთექვსმეტედფინალში „მონპელიეს“ წინააღმდეგ. სუპროლიგის წლევანდელ გათამაშებაში კი თავის გუნდს ვერაფრით დაეხმარება, რადგან მისი განაცხადში შეყვანა დაგვიანებულია. ვინაიდან „ვილერბანს“ ძალიან ძლიერი ფრთა ჯამ ბილა და დავიდ ფრიგუ ჰყავს, ამიტომ, სავსებით შესაძლებელია რუბენ გარსესმა ცენტრის პოზიცია დაიკავოს.

მე-20 ტურში „მწვანეები“ ნანსიში თამაშობდნენ და ფრიგუსა და პლიუვის არყოფნის მიუხედავად მაინც მოიგეს. მათ თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, რომელიც აღარც დაუთმიათ, რაც ძირითა[illegible] ბილ ედვარდსის დამსახურებაა. თ[illegible]ცა სტუმრებმა ლოტარინგიელების ბევრად ჩამოტოვება ვერაფრით მოახერხეს, რადგან სპქულიანებს მეტად უხეიროდ ისროდნენ (35-დან 8). თანაც „ნანსი“ ფარქვეშ მშვენივრად იბრძოდა. ჟულიენი და ლუისი მოხსნებს აგროვებდნენ, სი კი ქულებს (23). ამიტომაც ბენიოს შეგირდები დუბუისონისებს შესვენებაზე მხოლოდ ორი ქულით (33:31) უგებდნენ.

თუმცა მოედანზე დაბრუნების შემდეგ ვილერბანელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და ანგარიშში სხვაობამაც ნელ-ნელა ზრდა იწყო. ბილბა ჩვეულად ირჯებოდა, პაშუტინი მშვენივრად ესროდა (17 ქულა), ჰოფმანმა საკუთარ თავსაც აჯობა (30 ქულა), სკიარა კი ბრწყინვალედ დირიჟორობდა ამ ორკესტრს. „ნანსიმ“ კი გაიბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ „ვილერბანმა“ საკმაოდ იოლი გამარჯვება მოიპოვა.

ასევე ბევრი ჯაფის გარეშე მიაღწია წარმატებას სუპროლიგაში საფრანგეთის მეორე წარმომადგენელმა „პო ორტეზმაც“, რომელიც „შოლეს“ სტუმრობდა. თელ ავივის „მაკაბისთან“ ხუთშაბათს განცდილი მარცხის შემდეგ პოელებმა ხასიათი გამოიკეთეს. ისინი მასპინძლებს საკუთარ ფართან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ, შორიდან შოლელები ბევრს ვერ ხეირობდნენ. შესაბამისად მე-6 წუთისთვის „პო ორტეზი“ 16:12 დაწინაურდა, კიდევ 10 წუთის შემდეგ კი უკვე 10 ქულას იგებდა (37:27).

ოღონდ შესვენებამდე ეს უპირატესობა დავიდ გოტიეს (25 ქულა) მეცადინეობის შედეგად დაღნა და სტუმრები მეორე ტაიმის დასაწყისში ორ ქულასღა იგებდნენ (42:40). ამის შემდეგ თამაში შედარებით თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა, რომელშიც შოლელები უფრო დაიღალნენ და საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე წინააღმდეგობაც შეწყვიტეს.

„შალონმა“ ათმოგებიანი სერია შეუწყვიტა „სტრასბურს“. სტუმრებს აკლდათ თავიანთი ერთ-ერთი საუთესო მოთამაშე ჯენინგსი, რამაც დიდი დაღი დაასვა მათ თამაშს. ბურგუნდიელებს კი ოთხთვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდათ ოსტროვსკი (12 ქულა). თავიდან მატჩი ქულა-ქულაში წარიმართა (19:13 მე-6 წუთზე). შემდეგ კი მასპინძლებმა დაცვა გააძლიერეს და სამ წუთში 22:15 დაწინაურდნენ და საბოლოოდ ალზასელები 84:58 გაანადგურეს კიდეც.

ზედიზედ მეოთხედ და აქედან მესამედ შინ წაგო „გრაველინმა“. მას ამჯერად პარიზელმა „რასინგმა“ აჯობა, რომლის შემადგენლობაშიც საუკეთესო თურქი ლეგიონერი მირსად თურქჯანი (27 ქულა) იყო. არადა, ჩრდილოელებმა გაცილებით უკეთ დაიწყეს მატჩი. მათ დაცვაში 2-3 ზონას მიმართეს, მეტოქის ფარიდან ასხლეტილ ბურთსაც ბევრჯერ დაეუფლნენ და პირველი მეოთხედის ბოლოს 22:14 დაწინაურდნენ. ამ დროისთვის დედაქალაქელთაგან ფაქტობრივად მარტო თურქჯანი იხვეჭდა ქულებს, მაგრამ მეორე მეოთხედში სხვებიც გამოფხიზლდნენ. ამან სასურველი შედეგი მართალია გვიან (ბოლო მეოთხედში), მაგრამ მაინც მოიტანა და „რასინგმა“ მორიგი გამარჯვება იზეიმა.

„ლე მანს“ ბარძაყდაშავებული ამერიკელი კრის კინგი აკლდა, სამაგიეროდ კი ტრავმირებული საფრანგეთის ნაკრების წევრი ფრანკ მერიგე დაუბრუნდა და ანტიბშიც ლოგიკურად გაიმარჯვა. თანაბარი ბრძოლა 17:14-მდე გაგრძელდა, მერე სტუმართა ცენტრმა სხოლტენმა ზედიზედ რვა ქულა მოინაგრა და მისმა გუნდმა საწყისი მეოთხედი 25:14 მოიგო. „ანტიბმა“ შესვენების შემდეგ ერთი პირობა 4 ქულამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ მერე დაღლილმა ყურები ჩამოყარა და 76:83 წააგო.

გაბი გურული

ვილრბანი	19	18	1	1583:1307	37
ლე მანი	20	14	6	1706:1598	34
შალონი	20	13	7	1458:1398	33
პო ორტეზი	19	13	6	1567:1410	32
სტრასბური	19	13	6	1544:1410	32
ნანსი	20	11	9	1584:1542	31
რასინგი	20	11	9	1501:1490	31
დიჟონი	19	11	8	1454:1350	30
შოლე	20	9	11	1583:1553	29
ანტიბი	20	9	11	1576:1583	29
ბურგი	20	7	13	1498:1614	27
გრაველინი	18	7	11	1500:1535	25
მონპელიე	19	6	13	1546:1695	25
ევრე	20	5	15	1546:1698	25
ბეზანსონი	20	4	16	1434:1659	24
ლე ავრი	19	5	14	1417:1655	24

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარი ქოროთან რომ დააბა

5 მარტი

ნიუ ჯერსი 100:107 მილუოკი

ნიუ ჯერსი: მარბერი (20), ჰარისი (17), ვან ჰორნი (15), მარტინი (18 ქულა, 15 მოხსნა, 11 პასი), ეშმეიერი (2); ა. ვილიამსი (16), ნიუმენი (6), დუგლასი (6)

მილუოკი: კასელი (20), ალენი (23), რობინსონი (18), ჰემი (6), კეფი (4); ტომასი (14), ს. ვილიამსი (11), ჰანტერი (9), ჯონსონი (2)

წინა დღით „ინდიანასთან" შეხვედრაში მოედანზე სამი წუთით გამოჩენილმა ვლადიმერ სტეფანიამ 5 მარტს „მილუოკისთან" მატჩი გამოტოვა. მისმა „ნიუ ჯერსიმ" ვაუკაცური წინააღმდეგობა კი გაუწია მეტოქეს, მაგრამ აღმოსავლეთის მეორე გუნდს ოდენ მარცხს გამორჩა.

პირველი ნახევარი სტუმრებისა იყო, „მილუოკის" ორმა ოლსტარელმა — რეი ალენმა და გლენ რობინსონმა ჯამში 25 ქულა მოინაგრეს და „ბაქსმა" ტაიმი 17 ქულით, 58:41 მოიგო. მესამე მეოთხედში „ბადეებმა" საქმე გამოისწორეს, ლუციუს ჰარისი და კენიონ მარტინი შეუჩერებელნი იყვნენ და მასპინძლებმა მეოთხედის მიწურულს სხვაობა სამ ქულამდე დაიყვანეს. ახალბედა მარტინმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. იგი ფარქვეშაც მუშაობდა და თან გამთამაშებლის ფუნქციებიც შეითავსა, იმდენი მოხსნა-პასები აგროვა, კარიერის პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა. თუმც მისი გაბრწყინება „ნიუ ჯერსის" წაგებამ გააფერმკთალა. როცა საჭირო იყო, მაშინ ვერ გამოიჩინეს ფხა მასპინძლებმა, ბოლო მეოთხედში უამრავი სროლა აციელეს და ამაში ყველას „ბადეთა" წინამძღოლმა სტივენ მარბერიმ აჯობა. მართალია, მას თავის გუნდში უმეტესი, 20 ქულა მოუგროვდა, მაგრამ ოცი სროლიდან სულ ხუთი ჩააგდო და მხოლოდ ერთი ბოლო მეოთხედში. მარბერის აშკარად აჯობა მეურვე სემ კასელმა, რომელიც „მილუოკიმდე" „ნიუ ჯერსიში" თამაშობდა და 1998 წელს სწორედ მარბერიში გაცვალეს. კასელმა ბოლო თორმეტწუთეულში 12 ქულა მოიხვეჭა და ყოფილ თავისიანებს ლახვარიც ჩასცა.

ორლანდო 95:81 დალასი

ორლანდო: მაკგრეიდი (23), არმსტრონგი (21)

დალასი: ნოვიცკი (22 ქულა, 14 მოხსნა), ჰოვარდი (17)

ატლანტა 102:109 იუტა

ატლანტა: კუკოჩი (24), ნაითი (21), რაიტი (18)

იუტა: მელოუნი (30), სტოქტონი (22)

მაიამი 87:84 დეტროიტი

მაიამი: გრანტი (20), მეისონი (19 ქულა, 16 მოხსნა), ჰარდეიეი (16)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (32), ვილიამსონი (17 ქულა, 11 მოხსნა)

ვანკუვერი 77:91 სან ანტონიო

ვანკუვერი: ბიბი (24), აბდურ-რაჰიმი (12 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

სან ანტონიო: ანდერსონი (25), დანკანი (19 ქულა, 13 მოხსნა)

კლიპერსი 99:86 დენვერი

კლიპერსი: ოდომი (27)

დენვერი: სტრიკლენდი (16)

სამი-ოთხი წლის წინ ტონი კუკოჩი „ჩიკაგოში" თამაშობდა და „იუტას" ნბა-ს ფინალებში სისხლს უშრობდა. მაშინ ხორვატი ფრთა „ხარების" საუკეთესო სათადარიგო გახლდათ, ძირითადში მოხვედრა უჭირდა. ხომ გახსოვთ, რა ხალხი თამაშობდა „ბულზში". ჯორდანი, პიპენი, როდმანი... იმ „ჩიკაგოს" ნბა-ს ყველა დროის მეორე გუნდად ასახელებენ 60-იანი წლების „ბოსტონის" შემდეგ და მისგან დღესდღეობით სახელიღა დარჩენილა. მაიკლ ჯორდანის წასვლამ ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია, დიდი გუნდი თვალსა და ხელს შუა დაიშალა.

დღეს კუკოჩი „ატლანტაშია" და ამ გუნდის მაისურათი მოსილი უშრობს სისხლს მელოუნს, სტოქტონს და კომპანიას, მაგრამ ამაოდ, რადგან გვერდზე მყოფები ვერ ჰყავს მაშინდელივით ყოჩაღი. კუკოჩი „ატლანტაში" ათიოდე დღის წინ გადაბარგდა და უკვე ხელთ იგდო გუნდის ლიდერობა, „იუტასთანაც" იგი წაუძღვა თავისიანებს, მათ შორის ყველაზე მეტი ქულა მოიხვეჭა, შედეგიანი გადაცემებითაც (8 პასი) ყველას აჯობა, მეტოქესაც ბლომად ოფლი ადინა, მაგრამ „იუტას" ძალამ ჯორჯიული აღმართი მოხნა, „ჯაზი" შინ გამარჯვებული დაბრუნდა, „ჰოქსმა" კი ზედიზედ მერვედ წააგო.

ორლანდოელმა „ჯადოებმა" შინ „დალასი" გაამწარეს მიუხედავად იმისა, რომ ტაიმის შემდეგ სამი ქულით აგებდნენ და მათი თამაშის ხარისხიც დაწინაურების დიდ იმედს არ იძლეოდა. თუმც პირველ ნახევარში ინერტული თამაშის შემდეგ მასპინძლები აფეთქდნენ და შეხვედრის დასკვნითი ეტაპი სტუმართა რბევაში გალიეს, ბოლო მეოთხედი 24:12 მოიგეს.

„ორლანდოზე" ნაკლები მგელმა შეჭამოსო და ხუთ მარტს ფლორიდულ „მეჯიქს", არც თანაშეტაელი და მარად მისი მოქიშპე „მაიამი ჰითი" ჩამორჩა, შინ „დეტროიტი" წააქცია. ისე კი მასპინძლებს ცოტა გაუჭირდათ, რადგან მეორე მეოთხედის დასაწყისში მაიამელთა პირველმა მექულემ ედი ჯონსმა მხარი იტკინა და აღარც გამოჩენილა მოედანზე.

„დეტროიტისგან" განსხვავებით, მეტოქის ლიდერის ტრავმა მშვენივრად გამოიყენა ამ ბოლო დროს გამოცოცხლებულმა „კლიპერსმა". სამი დღის წინ ლოსანჯელესელებმა უვებერო „საკრამენტო" წააქციეს, ხუთ მარტს კი იგივე დღე დააწიეს „დენვერს", რომელსაც მუხლმტკივანი ანტონიო მაკდაიესი აკლდა.

ირაკლი ფირაშვილი

REUTERS ატლანტიდან

ატლანტა — იუტა. ჯონ სტარჭსი ატლანტელთა ფარქვეშ შეფრინდა

საბერძნეთი

XVII ტური

არისი — დაფნი 99:84, ირაკლიონი — მარუსი 98:92, პერისტერი — მაკედონიკოსი 83:62, მილონი — ირაკლისი 71:72, ოლიმპიაკოსი — ნიარ ისტი 79:72, პანიონიოსი — აეკ 78:79, პანათინაიკოსი — პაოკ 90:63

პერისტერი	17	16	1	1372:1209	33
ოლიმპიაკოსი	17	16	1	1414:1213	33
პანათინაიკოსი	17	14	3	1426:1229	31
აეკ	17	13	14	1416:1261	30
ირაკლისი	17	11	6	1439:1406	28
პანიონიოსი	17	10	7	1456:1330	27
პაოკ	17	8	9	1254:1305	25
მარუსი	17	7	10	1466:1462	24
დაფნი	17	5	12	1353:1416	22
ნიარ ისტი	17	5	12	1345:1432	22
არისი	17	5	12	1308:1431	22
ირაკლიონი	17	5	12	1394:1496	22
მილონი	17	3	14	1365:1578	20
მაკედონიკოსი	17	1	16	1277:1517	18

იტალია

XXV ტური

კანტუ — რიმინი 101:92, სკავოლინი — ფორტიტუდო 75:74, აეროპორტი — ბენეტონი 64:77, იმოლა — მიულერი 97:91, კინდერი — ტრიესტი 67:76, რეჯანა — მონტეკატინი 92:78, სნაიდერო — ვარეზე 103:85, სიენა — კორდივარი 76:71, ადეკო — აველინო 96:86

კინდერი	25	23	2	2207:1831	48
ფორტიტუდო	25	17	8	2005:1819	42
სკავოლინი	25	17	8	2187:2023	42
ბენეტონი	25	16	9	2113:1999	41
აეროპორტი	25	16	9	2054:1997	41
სიენა	25	14	11	2013:1960	39
კორდივარი	25	13	12	2030:2023	38
მიულერი	25	13	12	2299:2321	38
სნაიდერო	25	12	13	2071:2073	37
ადეკო	25	11	14	2137:2263	36
აველინო	25	10	15	2062:2124	35
რიმინი	25	10	15	2165:2249	35
მონტეკატინი	25	10	15	2083:2192	35
რეჯანა	25	9	16	2117:2179	34
კანტუ	25	9	16	1998:2091	34
ტრიესტი	25	9	16	1950:2050	34
ვარეზე	25	8	17	2211:2342	33
იმოლა	25	8	17	2147:2313	33

დაბრუნებული გაგდებული

„ვაშინგტონ ვიზარდსმა" გააგდო ერთ-ერთი ლიდერი, 34 წლის გამთამაშებელი როდ სტრიკლენდი, რაც კალათბურთელმა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. მართალი რომ ითქვას, სტრიკლენდი თავად ისწრაფვოდა, თავისი არცთუ ურიგო კარიერის ვაშინგტონური ეპოქა ასე დაესრულებინა. იგი რეგულარულად აგვიანებდა ვარჯიშებზე, თამაშებზე, ჩხუბობდა თანაგუნდელებთან, მწვრთნელებთან, მის თამაშს კი ლაზღანდარობა უფრო ეთქმოდა, ვიდრე გუნდისთვის თავდადება. არაერთხელ ჩავარდნილა პოლიციის ხელში მარიხუანის აქტიური ხმარებისთვის და ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო. ჰოდა, „ვაშინგტონის" მამებს და მათში უპირველესს, მაიკლ ჯორდანს ყელში ამოუვიდათ მისი თვითნებობა, მილიონებს იღებს და ცენტის სამუშაოს არ ასრულებს, თანაც გუნდის წინსვლასა და განვითარებას აფერხებსო და ამ უქმებზე ურჩ ვარსკვლავს ოთხივ მხრივ გზა დაულოცეს. რაც შეეხება კლუბსა და კალათბურთელს შორის ხელშეკრულებას, სტრიკლენდს სეზონის ბოლომდე ხელფასის სახით კიდევ ხუთი მილიონი ეკუთვნოდა. კლუბმა ეს კონტრაქტი ნახევარ ფასად იყიდა, კალათბურთელს ორნახევარი მილიონი უბოძეს და კარი მიუჯახუნეს. აღსანიშნავია, რომ „ვაშინგტონი" ამ ბოლო ათიოდ დღეში უკვე მეორე ვარსკვლავს შეელია. 22 თებერვალს „ჯადოქრებმა" ჯუონ ჰოვარდი „დალასს" რამდენიმე მოთამაშეში გაუცვალეს.

ისე კი უნდა ითქვას, სტრიკლენდი ამ უხეირო გუნდიდან თავის დაღწევით ერთობ კმაყოფილია. აქამდე იგი ორი წელი იმ დღეს წყევლიდა, როცა 1996 წელს „პორტლენდმა" იგი რაშიდ ვოლესში გაუცვალა „ვაშინგტონს". სტრიკლენდი თავიდან რიგიანად ათამაშდა დედაქალაქურ გუნდში და ლიდერადაც იქცა, თუმც ბოლო ორი სეზონი აშკარად ჩააგდო.



როდ სტრიკლენდი

სტრიკლენდის გაშვების ცნობამ ნბა აახმაურა. მისი მსურველი გუნდები რიგში ჩადგნენ და მათ შორის გახლდნენ ბობოლები — „ფილადელფია", „ნიუ იორკი", „ლეიკერსი", მაგრამ თავად კალათბურთელმა ყველას ხაზი გადაუსვა და „პორტლენდს" მიაშურა, სადაც ოთხი წელი (1992-96) უთამაშია. სტრიკლენდმა „ვაშინგტონისგან" 2,5 მილიონი მიიღო კომპენსაციის სახით, „პორტლენდში" კი სეზონის ბოლომდე დარჩენილ დროში 2,25-მილიონს ჩაიჯიბავს. ასე რომ, იმ ხუთ მილიონს, რომელიც „ვაშინგტონში" ერგებოდა, კალათბურთელი თითქმის სრულად აიღებს. სამაგიეროდ, აუტსაიდერიდან ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში გადაბარგება მას ხასიათს გამოუკეთებს და ძველებურად აათამაშებსო, ამბობს საქმეში ჩახედული ხალხი. „ბედნიერი ვარ, რომ სკოტი პიპენის, არვიდას საბონისის, რაშიდ ვოლესის და სხვა დიდი კალათბურთელების მხარდამხარ თამაში მომიწევს — თქვა სტრიკლენდმა — მართალია, სასტარტო ხუთეულში ვერ მოვხვდებით, მაგრამ „პორტლენდის" სათადარიგოობა „ვაშინგტონში" ლიდერობას მირჩევნია, აქ მიზანი აქვთ და შინდა, მის მიღწევაში გუნდს ძალიან დავეხმარო".

იგანე კოგბიაუზვილი

ხელბურთი

ბრავო, სერჯო!

სახელბურთი ჩემპიონთა ლიგაში მეოთხედფინალური თამაშები ჩატარდა. ქალებმა პირველი მატჩები გამართეს, ვაჟებში კი უკვე გაირკვა ნახევარფინალისტთა ვინაობა. ოთხეულშია ორივე ესპანური კლუბი. „პორტლენდმაც" და „ბარსელონამაც" მეტოქეებს საპასუხო შეხვედრებიც მოუგეს, თუმცა ამჯერად მხოლოდ სამბურთიანი სხვაობით.

გერმანიის ჩემპიონს თავის მოედანზე „ლოვჩენის" განადგურების შემდეგ განმეორებით მატჩში თავი აღარ მოუკლავს. იუგოსლავიელებმა კი, რომ იტყვიან, კუდი მოიქნიეს და ლიგის ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტის დამარცხება შეძლეს. სასიხარულოა, რომ „ლოვჩენის" რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ჩვენი თანმემამულე, 22 წლის სერგო დათუკაშვილი. „სერჯომ", როგორც თამაშის ოქმშია აღნიშნული, „კილის" ნორვეგიელ მეკარე ეგე შტეინარს ხუთი გოლი გაუტანა.

„პივოვარნამ" მონპელიეში მინიმალური სხვაობით დამარცხების შემდეგ საპასუხო მატჩი ჩინებულად ჩაატარა და დამაჯერებელი რევანში აიღო. სლოვენიელი მელუდეების გუნდში საუკეთესოები იყვნენ რენატო ვუგრინეცი (7) და რუსი ოლიმპიური ჩემპიონი ედუარდ კოკშაროვი (5).

ქალთა შეჯიბრებაში ოთხიდან სამი შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, რაც მათ საერთო წარმატების იმედს აძლევს. ნორვეგიის ვიცეჩემპიონ „ბაეკელაგეტსსაც" შინ, ოსლოში, მარცხის მიუხედავად, ნახევარფინალში გასვლის შანსი, ცხადია, არ დაუკარგავს.

გია ახალაძე

ვაჟთა ჩემპიონთა ლიგა

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

(ფრჩხილებში პირველი შეხვედრების შედეგია)

ლოვჩენი (იუგოსლავია) 29:24 კილი (გერმანია) (22:35)

პივოვარნა (სლოვენია) 29:23 მონპელიე (საფრანგეთი) (23:24)

ბარსელონა (ესპანეთი) 26:23 ბადელი (ხორვატია) (29:17)

ბრაგა (პორტუგალია) 21:24 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) (16:25)

ქალთა ჩემპიონთა ლიგა

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

აკვა (რუსეთი) 22:17 ჰერცი (უნგრეთი)

ბაეკელაგეტსი (ნორვეგია) 24:26 ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)

მილარი (ესპანეთი) 25:19 ვიბორგი (დანია)

ლარვიკი (ნორვეგია) 24:20 კრიმი (სლოვენია)

საპასუხო თამაშები 11 მარტს გაიმართება

ერროვნულს ერროვნული!
არის თუ არა ეს საქართველოს ნაკრები?!

გუშინ სპორტის დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგეძემ მასმედიას უმასპინძლა. შეკრების მიზეზი, რაღა თქმა უნდა, კვირას გამართული რუსეთ — საქართველოს გახმაურებული მატჩი გახლდათ და კიდევ, სად დაუზვდება 17 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრები ესპანელებს. ამ და სხვა საკითხებზე რაგბის კავშირის პრეზიდენტმა საკმაოდ ენაწყლიანად ისაუბრა. შეხვედრას განსაკუთრებულ ეშხს ისიც მატებდა, რომ ბიძინა გეგეძე კრასნოდარში იმყოფებოდა და საუბარი რუსული შთაბეჭდილებებით დაიწყო.

— კრასნოდარში მოპოვებული გამარჯვება, არა მარტო მორაგბეების, არამედ მთელი საქართველოს გამარჯვებაა. ყველამ კარგად იცით, როგორდავამარცხეთ რუსეთი. მასპინძლებმა ხომ ელემენტარული პირობებიც არ შეგვიქმნეს მოსამზადებლად. არა ბურთი, არა მოედანი, არა შხაპი, ოთახიც კი არ გამოგვიყვეს თეორიული მეცადინეობის ჩასატარებლად. აღარაფერს ვამბობ უსაშველოდ გაჭიანურებულ ვიზების გაცემაზე. რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, სპორტი და პოლიტიკა არაფერ შუაშიაო, რეალობას მაინც ვერ გავექცევით. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სარაგბო მატჩი. რუსებისგან აშკარად ვიგრძენი ჩვენდამი უარყოფითი დამოკიდებულება, არა მარტო სპორტულ, არამედ ეროვნული ასპექტშიც.

— რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი მატჩამდე, ორი დღით ადრე ჩამოვიდა კრასნოდარში. ნიკოლაევი კრასნოიარსკში იმყოფებოდა საქმეების მოსაგვარებლად. მას საკმაოდ მკაცრად ვესაუბრე. ამის შემდეგ ცოტა გამოსწორდა სიტუაცია, მაგრამ მთლიანობაში სურათი არ შეცვლილა. რუსებმა ყველაფერი თავიანთ არაორგანიზებულობას დაებრალეს, თანაც რუსული რაგბის ცენტრი ამჟამად კრასნოიარსკში მდბარეობს, მოსკოვს კი სურს, იგი დედაქალაქში გადაიტანოს, რის გამოც რუსეთის რაგბის კავშირში შიდა განხეთქილებაა. ნიკოლაევის ოპონენტები ყველანაირად ცდილობენ, მუშაობაში ხელი შეუშალონ, ალბათ ესეც ქართველთა ცუდი მასპინძლობის ერთ-ერთი მიზეზია.

— სტადიონზე ჩვენს წასაყვანად მოსულმა ავტობუსმა ნახევარი საათი დაგვიანა, გუნდი იქვე, სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე წავავარჯიშეთ და უკვე ტაქსებში ვსხდებოდით, როდესაც ავტობუსიც მოვიდა, მაგრამ სტადიონის მაგივრად აეროპორტში წაგვიყვანა. მძღოლს როგორც იქნა, შევაგნებინეთ, რომ აეროპორტში არაფერი გვესაქმებოდა და მატჩის ადგილზე, „დინამოს“ სტადიონზე რის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ. აქაც ანალოგიური პრობლემები, რის გასახდელი, რა გასახდელი. ბიჭებმა სტადიონიდან კარგა მანძილის მოშორებით მდებარე რაღაც ფიცრულში გამოიცვალეს.

— მართალია, რუსებმა რაგბის საერთაშორისო საბჭოს დებულება უხეშად დაარღვიეს, მაგრამ IRB-ში ჩივილს ნამდვილად აღარ ვაპირებ. მატჩის უკრაინელი კომისარი ყველაფერს ნათლად ხედავდა. იმედია, ყველაფერს ჩაინიშნავდა და შესაბამის ორგანიზაციასაც ობიექტურად მოახსენებდა. რუსებმა თითქმის ანალოგიური დახვედრა გერმანელებსაც მოუწყვეს, როდესაც უმცროს „ერთა თასზე“ ასპარეზობდნენ. გერმანელებმაც იჩივლეს, მაგრამ დღემდე ვერაფერს მიაღწიეს. საქმეს კომპეტენტური პირები განიხილავენ, თუმც მტყუანმართალი ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ. ეს იმიტომ, რომ რუსეთსაც და გერმანიასაც ერთმანეთს საპირისპირო პრეტენზიები გააჩნიათ. მატჩის მსაჯებიც ჩვენთან ერთად სასტუმრო „ინტურისტში“ ცხოვრობდნენ. ისინიც გაკვირვებას ვერ ფარავდნენ რუსთა საქციელის გამო. ძალიან მინდა, დავიჯერო, რომ რუსებმა მართლაც გამოუცდელობის და არაორგანიზებულობის გამო ვერ გვიმასპინძლეს ღირსეულად. თუნდაც ჩვენი დიდი ხნის ურთიერთობიდან გამომდინარე, არა მგონია, სლავთა რაგბის კავშირს განზრახ დაეხლართა ინტრიგები.

— თბილისში ჩატარებული სამი წლის წინანდელ და კრასნოდარული მატჩის შორის ძალიან დიდი განსხვავება დავინახე. თბილისში უშუალოდ ღონით და თავდადებით ვაჯობეთ რუსებს. კრასნოდარში კი თამაშითაც დავჩაგრეთ. ჩვენი ნაკრები დღითი დღე უმატებს.

— რაც შეეხება ესპანელებთან მატჩს. ჩვენ ვნახეთ ესპანელების თამაშის ვიდეოფირი. ვფიქრობ, მათ რუსებზე სუსტი ნაკრები ნამდვილად არა ჰყავთ. თანაც ეს მატჩი ესპანელების ბოლო შესაძლებლობაა მსოფლიო თასზე გასვლის რეალური შანსის შესანარჩუნებლად. წაგების შემთხვევაში ურთულესი ამოცანის წინაშე დადგებიან. ესპანელებმა ბოლო მსოფლიოს თასზეც იასპარეზეს, რაც მათ სიძლიერეზე მეტყველებს. თანაც რამდენიმე ესპანელს საკმაოდ მაღალი თანამდებობა უკავია იგივე IRB-ში და FIRAAER-ში. ამდენად, 17 მარტს იოლი გასეირნება არ გველის. ოდნავი მოდუნებაც ძვირად დაგვიჯდება.

— მე არ ვიცი, დაიკეტა თუ არა ეროვნული სტადიონი 28 მარტამდე, როდესაც საქართველო — რუმინეთის საფეხბურთო მატჩი უნდა გაიმართოს. სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. სტადიონის ხელმძღვანელობამ გვთხოვა, მოედნის საფარი მწყობრში უნდა მოვიყვანოთ და ესპანელებს იქნებ სხვაგან უმასპინძლოთ. ფანსი ეროვნულ სთავის სტადიონი, „მაგრამ იქ საფეხბურთო კარები პირდაპირ მიწაშია ჩაბეტონებული და მისი მოხსნა არ მოხერხდება. ქუთაისის და ბათუმის სტადიონები აქედანვე გამოირიცხა სიშორის გამო. რაღა დაგვრჩა?

მე თუ მკითხავთ, თუ ვინმე იმსახურებს დღეს „ეროვნულზე“ თამაშს, ეს სწორედ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებია. ისე არ გამიგოთ, რომ „ვმარიაჟობდეთ“. არც ვიყავით ეგეთები და არც ვიქნებით. ნუ იფიქრებთ, თითქოს ჩემი ახირება იყოს, მაინცდამაინც „ეროვნულზე“ ვითამაშოთ. უბრალოდ, სხვაგან წასასვლელი არ გვაქვს. თანაც ესპანელებთან ხალხის მხარდაჭერა გვჭირდება. დაიჩემეს, მორაგბეები მინდორს აფუჭებენო. ეს მცდარი აზრია. რა, ფეხბურთის დროს არ ფუჭდება მოედანი? განსხვავება ისაა, რომ თუ ფეხბურთის შემდეგ მინდვრის საფარის მწყობრში მოსაყვანად, უხეშად რომ ვთქვათ, სამი საათი სჭირდება, რაგბის შემდეგ ორჯერ მეტი დროა საჭირო. ეს არის და ეს. ფრანგებმა სპეციალურად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ააშენეს „სტად დე ფრანსის“ სტადიონი. პირველად კი იქ მორაგბეებმა ითამაშეს.

— „ეროვნული“ სტადიონი თბილისის მერიას ეკუთვნის. ამ დღეებში ჩვენ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მერიის წარმომადგენლები შევიკრიბებით და გადავწყვეტთ, თუ სად ვითამაშებთ. იმედია, ესპანელებს ეროვნულზე დავუპირისპირდებით. თუ ამ სტადიონს „ეროვნული“ ჰქვია, მაშინ მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს იქ თამაშზე უარს არ უნდა ეუბნებოდნენ, თუ არავის ვჭირდებით გვითხრან.

ბაჩო სვანიძე

ტოტალური რაგბი

ინგლისი 43:3 შოტლანდია

ინგლისი: ბოლშოუ, ო. ჰილი, გრინვუდი, კეტი (რობინსონი), კოენი; უილკინსონი, დოუსონი (ბრაკენი); ლენარდი, ვესტი (რიგანი), ვაიკერი, ჯონსონი, გრიუკოკი, რ. ჰილი, ბეკი (უორსლი), დალალიო

ნლ: დალალიო (2), ბოლშოუ (2), რ. ჰილი, გრინვუდი; ნგ: უილკინსონი; 1ს: უილკინსონი

შოტლანდია: პატერსონი, კ. მიურეი (კრეიგი), ა. ბალოკი (მაკლარენი), ჯ. ლესლი, ლოგანი; ჰოჯი, ნიკოლი (რედფასი); სმიტი, გ. ბალოკი, სტიუარტი (მაკილვეიმი), ს. მიურეი, მეტკალფი (გრაიმსი), მ. ლესლი, ბუტნი, ტეილორი

1ს: ჰოჯი

სამ მატჩში გატანილი 22 (!) ლელო — ასეთია ინგლისელთა მონაგარი ექვსი ერის წლევანდელ ჩემპიონატში. ალბიონელებმა უკვე დაამხეს ერთ ტურნირში გატანილი ლელოების რეკორდი, რომელსაც აქამდე უელსელები ფლობდნენ. „წითლებს“ შორეულ 1910 წელს შეჯიბრი 21 ლელოთი დაუმთავრებიათ. ორი კვირის წინ ინგლისმა იტალიასთან ექვსი ერის ყველაზე დიდი ანგარიში დააფიქსირა, ახლა კი შოტლანდიას ისტორიაში ყველაზე მეტი ქულა აართვა და კალკუტას თასი ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო.

შემდეგი დასამხობი რეკორდია ტურნირში მოხვეჭილი ქულები (183), რაც თავად ინგლისმა მოახერხა 2000 წელს. ძნელი წარმოსადგენია, რომ კლაივ ვუდვორდის შეგირდებმა ეს ამოცანა ვერ გადაჭრან და თან დიდი სლემი ვერ შეასრულონ.

ინგლისი ისევე თამაშობს რაგბის, როგორც გასული საუკუნის 70-იან წლებში ჰოლანდიის „აიაქსი“ — ფეხბურთს, ანუ გუნდის თითოეული წევრი თავსაც იცავს და თავდასხმაშიც მონაწილეობს, რასაც შეიძლება ტოტალური რაგბი დავარქვათ. შედეგიც ნათლად ჩანს ხოლმე ტაბლოზე. ამ ტოტალურ რაგბის ამჯერად შოტლანდია ემსხვერპლა. განსაკუთრებით თავი „ბათის“ წევრმა იან ბოლშოუმ გამოიჩინა, რასაც ინგლისური გაზეთებიც აღნიშნავენ და მატჩის მეორე დღეს მათი უმრავლესობის პირველ გვერდზე სწორედ ბოლშოუს სურათებია გამოჭიმული.

„ისეთივე საშინელ დღეში ჩავვარდით, როგორც შარშან ახალ ზელანდიასთან. ერთადერთი, რაც ცოტა მანუგეშებს, ისაა, რომ მათ ყოველ კვირას არ უნდა შეეხვდეთ“ — განაცხადა სკოტმა ენდი ნიკოლმა. გამარჯვებულთა მთავარმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა კი ორაზროვანი ღიმილით თქვა: „არც ისე ხშირია, რომ ინგლისი რაგბისაც იგებს და ფეხბურთსაც.“ მან თავისიანების ესპანეთთან 3:0 გამარჯვება იგულისხმა.

შოტლანდიის დაცვამ მხოლოდ 5 წუთი გაძლო. მე-7 წუთზე ბოლშოუს მარჯვნიდან წამოწყებული იერიში ლოურენს დალალიომ მარცხენა ფრთაზე დააგვირგვინა. ჯონი უილკინსონმა გარდასახვა გააცუდა, მაგრამ მერე ჩვეულად ურტყა და ბლომად ქულებიც აიღო. მან და დანკან ჰოჯმა მალე საჯარიმოები გაცვალეს და რამდენიმე წუთის მანძილზე ანგარიში აღარ შეცვლილა. შოტლანდია თითქოს გამოერკვა და კონტრშეტევებიც განახორციელა, მაგრამ თეთრ კედელს ვერაფრით გასცდა.

ინგლისმა კი ტაიმი ისევე დაამთავრა, როგორც დაიწყო, ანუ ქულები მოიხვეჭა. რამდენიმეწუთიანი შეტევა რიჩარდ ჰილმა დაასრულა ლელოთი 36-ე წუთზე, მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი დალალიომ მეორედ გამოიჩინა თავი. უილკინსონმა ორივე ლელო გარდასახა და 22:3.

თამაში განახლდა თუ არა, ინგლისმა ისევ შეუტია. უილკინსონის მიერ საკმაოდ შორიდან დარტყმული საჯარიმოს შემდეგ ბურთი ძელმა მოიგერია, მაგრამ მას ბენ კოენი დაეუფლა და ბოლშოუს გაატანინა ლელო. მერე ბაჯ პუტნი გაიქცეს მოედნიდან 10 წუთით და მასპინძლებმა სულ მოლად გაილაღეს, თუმცა დიდად ვერ იხერეს — მხოლოდ ბოლშოუმ გაიტანა მეორე ლელო.

77-ე წუთზე კი 13-კაცა რაგბიდან ახლახან გადმობარგებული ჯეისონ რობინსონის მეცადინეობით უილ გრინვუდმა დაამიწა ბოლოჯერ ბურთი სკოტთა ლელოში და ძნელი სათქმელია, ვინ შეძლებს ინგლისს დიდი სლემის შესრულებაში ხელი შეუშალოს.

REUTERS რომიდან

ფრანგმა ჟან-ლუკ სადურნიმ (ბურთით) ნაკრებში დებრუნება ლელოთი აღნიშნა

ლამეზონმა ლაკრშას ბაასწრო

იტალია 19:30 საფრანგეთი

იტალია: სტოიკა, პერძიანო, პოცეტონი, მ. დალანი, დ. დალანი; დომინგესი, ტროსკონი (კერიოლი); ლო ჩიჩერო, მოსკარდი, პოლეტი (პროპერეი კურტი), გრიტი, ვიზერი, პერსიკო, ბერგამასკო, კეკინატო

1ლ: პერძიანო; 1გ: დომინგესი; 4 ს: დომინგესი

საფრანგეთი: სადურნი, ბერნა-სალი, ბონეტი, ლომბარი, დომინისი; ლამეზონი, გალტიე; კალიფანო (მარკონე), იბანესი, დე ვილიე, ჰელუ, ორადუ, მონი (ბეტსენი), მანი, ფუიე

3ლ: სადურნი, ბერნა-სალი, ბონეტი; 3გ: ლამეზონი; 3ს: ლამეზონი

ყველას ეგონა, რომ საფრანგეთი დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მატჩის დებიუტშივე ნათელი გახდა, რომ იტალიელებს ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა დარტყმებითა და ქარის დახმარებით სურდათ. მერე აპირებდნენ, იქ ზედახორები მოეწყოთ და ფრანგებს დალოდებოდნენ, თამაშის წესებს როდის დაარღვევდნენ. ამ ტაქტიკას უნდა გაემართლებინა, რადგან „სკუადრა აძურას“ დიეგო დომინგესი დაბრუნებოდა, რომელიც ქულების მოპოვების შანსებს არასოდეს ანიავებს.

ასეც მოხდა. არგენტინელი წარმოშობის მეგოლემ მალე გახსნა ანგარიში, თუმცა იტალიელთა სტრატეგია მაინც ერთგვარად შეზღუდული იყო. მასპინძელთა დარტყმების შემდეგ ბურთი ნაკრებში მობრუნებული ვეტერანი ჟან-ლუკ სადურნის საკბილო ხდებოდა, ეს უკანასკნელი კი შეტევებს მეტად მარჯვედ წამოიწყებდა ხოლმე და იტალიელებს ბევრი თავსატეხიც გაუჩნდათ.

პირველ ტაიმში გატანილ ორივე ლელოში დიდია სადურნის წვლილი — ერთხელ მან თავად დაალელოვა მასპინძლები, მეორედ კი მათი დაცვა კარაქივით გაჭრა და ფილიპ ბერნა-სალს იოლი ლუკმა მიართვა. კრისტოფ ლამეზონმა ორივე ლელო კი გარდასახა, მაგრამ ფრანგები ძალიან წინ ვერ გაიჭრნენ, რადგან მათი დამრტყმელი იმ დღეს ფორმაში ვერ იყო და პირველ ნახევარში უამრავი საჯარიმო გააცუდა. დომინგესმა შესვენებამდე ორჯერაც გაატარა ბურთი მეტოქის ძელებს შორის და ტაიმი იტალიამ 9:14 დათმო.

შესვენების შემდეგ აპენინელებმა ტაქტიკა შეცვალეს და რამდენიმე საჯარიმო ხელითაც გაითამაშეს ლელოს იმედით. თუმცა საფრანგეთს ძალიან ძლიერი დაცვა ჰყავს და მისი გარღვევა მასპინძლებმა ვერაფრით შეძლეს. სტუმრებს თავად შეეძლოთ ლელოს გატანა, როცა ერთ-ერთი შეტევისას ხუთი ორზე აღმოჩნდნენ, მაგრამ ტყუილად. ლამეზონმა სამი საჯარიმო გაიტანა და გამარჯვება ფაქტობრივად დაუბევა თავისიანებს, მაგრამ ორი იმდენი დარტყმა გააცუდა და კინაღამ დაისაჯა კიდეც.

თამაშის დამთავრებამდე ხუთიოდ წუთით ადრე პერძიანომ მაინც მოახერხა „მამლების“ დაცვაში გაძრომა და დომინგესის გარდასახვის შემდეგ ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა, რადგან იტალიის გარე ნახევარმცველს მანამდე ერთი საჯარიმო კიდევ შეეგდო. თუმცა სენსაცია არ მოხდა და სადურნის მიერ წამოწყებული შეტევა მატჩის მიწურულს ბონეტის ლელოთი დასრულდა.

„რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ. ამასთანავე ჯერ კიდევ შეგვიძლია ტურნირის მოგება. ყველაფერი, რაც დავამუშავეთ, კარგად შევასრულეთ, თუმც ჯერ უამრავი საქმე გვაქვს. განსაკუთრებით დამრტყმელის პრობლემა მაღელვებს“ — განაცხადა საფრანგეთის თავკაცმა ბერნარ ლაპორტმა.

მისმა ახალზელანდიელმა კოლეგა ბრედ ჯონსტონმა, რომელიც იტალიას უდგას სათავეში, თქვა: „იმედგაცრუებულნი ვართ, რადგან გვეგონა, რომ დღეს გავიმარჯვებდით. იტალიამ აშკარა პროგრესი განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერჯერობით მაინც ვერაა ტურნირის დანარჩენი გუნდების დონეზე. თუმცა ჩვენი მთავარი მიზანი 2003 წლის მსოფლიოს თასისთვის ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა, რასაც, ალბათ, შეეძლებთ კიდეც.“

დაბოლოს, ცუდად კი ურტყა, მაგრამ ისტორიაში ყველაზე შედეგიანი „მამალი“ მაინც კრისტოფ ლამეზონი შეიქნა. „ტიტუმ“ 15 ქულა მოიხვეჭა, ჯამში 369 დაუგროვდა (36 კეპი) და ტიერი ლაკრუას (43 კეპი) ორით გადასწრო. აჟანელს საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში 2 ლელო, 58 გარდასახვა, 6 არეკნი და 75 საჯარიმო გაუტანია. ერთ მატჩში სარეკორდო ქულათა რაოდენობა მან 1999 წლის მსოფლიოს თასის ნახევარფინალში ახალ ზელანდიასთან (43:31) მოიპოვა. მაშინ ლამეზონმა „შავებს“ 28 ქულა აართვა.

გაგი გურული

უელსი — ირლანდია

გადაიდო

ინგლისი	3	3	0	0	167:41	6
საფრანგეთი	3	2	0	1	61:47	4
ირლანდია	2	2	0	0	63:37	4
შოტლანდია	3	0	1	2	37:87	1
უელსი	2	0	1	1	43:72	1
იტალია	3	0	0	3	64:151	0

ზე-12. მეორე ტური

ჩემპიონის გასაჭირი

ოკლენდი — კრაისტჩერჩი. ოკლენდელმა მატუა პარკინსონმა ლელო გაიტანა

ოკლენდი 17:12 კრაისტჩერჩი

ოკლენდი: 2ლ: პარკინსონი, მელიენა; 2გ და 1ს: სპენსერი

კრაისტჩერჩი: 4ს: ბლეირი (3), მაუგერი

ველინგტონი 26:20 პრეტორია

ველინგტონი: 3ლ: იატსი, ტიტო, ლომუ; 1გ. და 3ს: ჰოუელი

პრეტორია: 3ლ: ლიმბარდი, უელში, გუსენი; 1გ: გუსენი; 1ს: სტეინი

ჰამილტონი 32:29 ბრისბენი

ჰამილტონი: 2ლ: კრაიტონი, რენდლი; 2გ და 6ს: ჯეკსონი

ბრისბენი: 2ლ: კეფუ, ტიუნი; 2გ და 5ს: ფლეტლი

დურბანი 17:16 კანბერა

დურბანი: 1ლ: ე. ფენტერი; 4ს: ჯეიმსი, დიუ ტუა (3)

კანბერა: 1ლ: უილიამსი; 1გ: მორტლოკი; 3ს: მორტლოკი (2), როფი

იოჰანესბურგი 56:21 დანიდინი

იოჰანესბურგი: 7ლ: კოენი, ა. ფენტერი, ჰოლი, ტრომპი (2), ჰუმენი, ესტერჰოიზენი; 6გ: კოენი (5), ფან რენსბერგი; 3ს: კოენი

დანიდინი: 2ლ: ბლეკი, ტუილევე; 1გ და 3ს: ბრაუნი

სიდნეი 35:7 კეიპტაუნი

სიდნეი: 4ლ: შერბინა, ედმონდსი (2), პინჯუერტონი; 3გ და 3ს: ბერკი

კეიპტაუნი: 1ლ: ფლეკი; 1გ: ფან სტრაატენი

გასულ უქმეებზე ზე-12-ის მეორე ტური გაიმართა და ყველა მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დურბანის მიერ ტურნირის უმთავრესი ფავორიტის კანბერას ძლევა. „ზვიგენებს“ გასულ სეზონში სულ ერთი მოგება ჰქონდათ, ახლა კი უკვე ორჯერ მაღწიეს წარმატებას და ლიდერთა მარაქაშიც გაერივნენ.

სამხრეთაფრიკელებმა ოდენ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს, რასაც ავსტრალიელებმაც ამდენივეთი უპასუხეს. ჰოდა, მატჩის ბედიც დამრტყმელთა დუელმა გადაწყვიტა.

ანგარიში 21-ე წუთზე გაიხსნა, როცა ეიჯი ფენტერმა უწია ბურთიანად მეტოქის ლელოს. პირველ ტაიმში კიდევ სამი საჯარიმო გავიდა. ერთხელ მასპინძლებმა გაიხარეს და ორჯერ — სტუმრებმა. შესვენების შემდეგ მორტლოკმა დააწინაურა თავისიანები, რასაც ჯიმ უილიამსის გარდასახული ლელო მოჰყვა და კანბერა 16:8 გაიჭრა წინ. თითქოს საქმე იქით მიდიოდა, რომ ავსტრალიელები პირველ ტურში განადგურებული კრაისტჩერჩის (51:16) დღეში ჩაგდებდნენ დურბანსაც, მაგრამ არა.

რამდენიმე წუთში მინდორზე ახალშესულმა დიუ ტუამ თავისი პირველი საჯარიმო შეაგდო. მალე სტუმრებმა თამაშგარე მდგომარეობის წესი დაარღვიეს და ანგარიშში სხვაობა ისევ შემცირდა — 14:16. კანბერელები თითქოს გაოგნებულები იყვნენ და იმავე დიუ ტუას ერთხელაც მისცეს თავის გამოჩენის შესაძლებლობა, რაც სამხრეთაფრიკელმა კარგად გამოიყენა — 17:16. მატჩის ბოლო ხუთმა წუთმა ავსტრალიელთა გაფთრებული იერიშებში ჩაიარა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება.

კიდევ ერთმა სამხრეთამერიკულმა გუნდმა მოიგო შაბათს. იოჰანესბურგმა ახალი ზელანდიის დანიდინს უმასპინძლა და მაგრადაც შეარცხვინა. მასპინძლებმა მშვენიერი, შემტევი ბურთაობა გააჩაღეს და სტუმრებს უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ყველაზე მძიმე მარცხი აგემეს. ძნელია „კატების“ წარმატებას ერთი რამე მიზეზი მოუძებნო, რადგან ისინი თითქმის ყველა კომპონენტში ჯობდნენ მოწინააღმდეგეს. თუ წინა ტურში იოჰანესბურგის კეიპტაუნში გამარჯვებაში ლომის წილი შერკინებამ დაიდო, ამჯერად მას არც უკანა ხაზი ჩამორჩა და ისეთი ლამაზი კომბინაციები გაათამაშა, თქვენი მოწონებული. განსაკუთრებით თავიდან ჩენ ოლოკოკი გამოირჩა, რომელსაც ამ სეზონის დასაწყისში ძლიერ აკრიტიკებდნენ ზედმეტი ინდივიდუალიზმისთვის. ამჯერად მან გუნდურობა არ დაივიწყა და მეტოქის დაცვის დაწიოკებას თანაგუნდელებთან ერთად მიჰყო ხელი. პირველი ლელო მისი გარღვევისა და ლუის კოენისთვის მიცემული პასის შემდეგ გავიდა. ამას ანდრე ფენტერის ლელო მოჰყვა. ორ გარდასახვას კოენმა ორი საჯარიმოც დაურთო, რასაც ახალზელანდიელებმა ტონი ბრაუნის სამი საჯარიმოთი უპასუხეს და ტაიმი „კატებმა“ 30:9 მიიგეს, რადგან მასპინძლებმა ზედ შესვენების წინ კიდევ ერთი გარდასახული ლელო მოითვალეს.

თამაში ოთხიოდ წუთის განახლებული იყო, როცა აფრიკელებმა მეოთხედ დაალელოვეს კუნძულელები და შესაბამისად პრემიალურ ქულასაც გამოჰკრეს ხელი. თუმცა მათ, ფაქტობრივად, ხუთი ქულაც მაშინ გაინაღდეს, რადგან უკვე 28 ქულით იყვნენ წინ გაჭრილები და თანაც უპირატესობას ისევ თავად ფლობდნენ. იოჰანესბურგი დაცვაშიც ძლიერ ყოჩაღობდა და დანიდინს პირველი ლელოს გატანა მხოლოდ 75-ე წუთზე დაანება, როცა ყველაფერი გარკვეული იყო.

პირველ ტურში დამარცხების შემდეგ ველინგტონმა ხასიათი გამოიკეთა და პრეტორიელი „ხარები“ 26:20 დაამარცხა. თუმცა გამარჯვება შარშან მთელი სეზონის აუტსაიდერთან იოლი ნამდვილად არ ყოფილა. „ჯადოსნური ტრიოს“ პატრონმა (კალენი-ლომუ-უმაგა) მასპინძლებმა მის მოსაპოვებლად ბევრი იბრძოლეს. გუნდს დაუბრუნდა ჯონა ლომუც, რომელმაც იანვარში არგენტინაში ჩატარებული შვიდკაცას მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმა მიიღო და პირველი ტური გამოტოვა. დეეკაცმა დაბრუნება ლელოთი აღნიშნა.

ჰამილტონში გამართული მატჩი მეტად დრამატული იყო. მასპინძლები მალე ჩამორჩნენ ანგარიშში (0:9), მაგრამ მერე მდგომარეობის გამოსწორება შეძლეს და მეორე ტაიმში წინაც გავიდნენ. ამას ისინი ლიკი კრაიჩტონის, მარკ კუკსლის, როჯერ რენდალის ვაჟკაცურ თამაშს უნდა უმადლოდნენ. თუმცა მასპინძლებს გამარჯვება მაინც მათი დამრტყმელის ვლენ ჯეკსონის სიზუსტემ მოუტანა. 73-ე წუთზე ჰამილტონი 32:22 იგებდა. ავსტრალიელებს მატჩის გადასარჩენად საკმაო დრო ჰქონდათ და მათ მთელი ძალებითაც შეუტიეს. ბენ ტიუნმა ულამაზესი ლელოც გაიტანა, რომელიც ელტონ ფლეგლემ გარდასახა. ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა, მაგრამ ბრისბენმა მეტი ვეღარ შეძლო და პრემიალურ ქულას დასჯერდა.

„ეს ერთი ქულა ვერაფერი ნუგეშია ჩვენთვის, რადგან ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძვით. თუმცა ისიც აღსანიშნავია, იმ ამ საღამოს საკმაოდ ბევრი შეცდომა დავუშვით და წაგებას საკუთარი თავის მეტს ვერავის დავბრალებთ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ავსტრალიელთა ნაკრების წევრმა ბენ ტიუნმა.

სიდნეი ერთადერთი ავსტრალიური გუნდი გახდა, რომელმაც მეორე ტურშიც მოიგო, თუმცა ნამდვილად დანარჩენზე ძლიერი მეტოქე ჰყავდა კეიპტაუნის სახით. პირველი ორმოცწუთეული სახიზღარი სანახავი გამოდგა. ორივე გუნდი ბლომად უშვებდა შეცდომებს და თამაშის წესებსაც ხშირად არღვევდა. ოღონდ თუ მეტ ბერკმა სამი საჯარიმოს შეგდება შეძლო, ბრაამ ფან სტრაატენმა ერთხელაც ვერ გამოიჩინა თავი. აფრიკელის უიღბლობა მეორე ტაიმშიც გაგრძელდა, ავსტრალიელებმა კი პრემიალური ქულის ხათრით ლელოსკენ გაიწიეს და მალე ორჯერაც დაალელოვეს მოწინააღმდეგე. ბერკმა ორივე გარდასახა და 23:0.

ახლაღა გამოიღეს ხელი სტუმრებმა და ანგარიშში სხვაობის ცოტათი შემცირებაც შეძლეს, მაგრამ მერე კიდევ ორი ლელო გაუშვეს. მომავალ ტურში ველინგტონს ოდენ ერთი ქულით ესტუმრებიან.

კეიპტაუნივით გაჭირვებული კიდევ ორი გუნდია. თუ პრეტორიის გათამაშების ფსკერზე ხილვა დიდი მოულოდნელობა არაა, სამაგიეროდ ბოლო სამი ზე-12-ის მომგები კრაისტჩერჩის დაძირვა ნამდვილად სიურპრიზია. ამ ტურში ჩემპიონი პირველი ორი ზე-12-ის მომგებ (სულ ზე-12 ხუთჯერ გაიმართა) ოკლენდს სტუმრობდა და ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. ოღონდ წაგებაცაა და წაგებაც — მინდვრიდან ლელოს გაუტანლად გასვლა კი კრაისტჩერჩს ნაღდად არ ეკადრება, მაგრამ დრონი მეფობენო, ხომ გაგიგონიათ. თუმცა იმედი ვიქონიოთ, ენდრიუ მერთენსის დაბრუნება შემდეგ კრაისტჩერჩელები ძველ სიძლიერეს ისევ დაიბრუნებენ.

გაგი გურული

სიდნეი	2	2	0	0	2	0	77:30	10
იოჰანესბურგი	2	2	0	0	1	0	85:45	9
დურბანი	2	2	0	0	0	0	47:33	8
კანბერა	2	1	0	1	1	1	67:33	6
ბრისბენი	2	1	0	1	0	1	56:50	5
ველინგტონი	2	1	0	1	0	0	44:47	4
ოკლენდი	2	1	0	1	0	0	25:35	4
ჰამილტონი	2	1	0	1	0	0	55:71	4
დანიდინი	2	1	0	1	0	0	44:64	4
პრეტორია	2	0	0	2	0	1	37:56	1
კეიპტაუნი	2	0	0	2	0	1	31:64	1
კრაისტჩერჩი	2	0	0	2	0	1	28:68	1

მეხუთე გრაფაში 4 ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია.

ლინარესის სუპერტურნირი

პოლგარი გმირია: ლეკოსთან არ დაიძინა

სამეული ცნობილია. მიმდევრობაზე კამათი შეიძლება, მაგრამ კასპაროვის, ანანდისა და კრამნიკის ტრიო სადღეისოდ ის მოჯადოებული წრეა, რომელშიც დანარჩენი დიდოსტატები რა ხანია, ვერაფრით შედიან. პრეტენზია ამჟამად რამდენიმეს აქვს: კასპაროვის თაობიდან ვასილი ივანჩუკსა და ბორის გელფანდს, მათზე უმცროს ბრიტანელ მაიკლ ადამსს, მთლად ახალგაზრდებს, პეტერ ლეკოსა და ალექსანდრ მოროზევიჩს და, ცხადია, ალექსეი შორიკს. უკანასკნელი ერთხანს მყარად დაფუძნდა მეოთხე პოზიციაზე, სამეულს მუდმივად ნერვებს უწეწავდა, მიმყოლებს კი ჯაბნიდა. შიროვის ბოლო მიღწევა ფიდეს პირველობის ფინალი იყო, ამას მოჰყვა ჩავარდნა ვიიკ აან ზეეში (მე-5-7 ადგილები) და ყოვლად უსუსური თამაში ლინარესის სუპერტურნირზე: ბოლო ტურის წინ შიროვი აუტსაიდერია. წლეულს მაინცდამაინც მსოფლიოს მეოთხე მოჭადრაკეობის არც სხვა პრეტენდენტები ბრწყინავენ. აგერ, ლინარესშივე ლეკოს საყაიმო მანია შეეყარა, მაგრამ ის ამას მაინც ახერხებს, შიროვმა კი გუშინწინ სამარცხვინოდ ერთიც წააგო. იგი ალექსანდრ გრიშჩუკმა დაამარცხა. რუსი თინეიჯერი ლინარესში თავს ოდნავ უცხოდ მხოლოდ თავიდან გრძნობდა, მეორე წრეში კი ოთხიდან ორი ბრძოლა მოიგო. ადრე კარპოვი, ახლა — შიროვი.

გრიშჩუკ — შიროვის IX ტურის პარტია სწრაფად გადავიდა ოთხეტლიან ენდპილში, რაც, ალბათ, ყმაწვილს უფრო აძლევდა ხელს, რადგან იგივე ტიპის ენდშპილი აღრეც მოეგო. თეთრების (გრიშჩუკის) უპირატესობა მინიმალური იყო, პოზიციას საყაიმო პირი უჩანდა, მაგრამ შიროვმა მოგება ინდომა, უხეშად შეცდა და ცხრილის ბოლოა, ხოლო გრიშჩუკი მეორე-მესამე ადგილებს იუდით პოლგართან ინაწილებს, რომელმაც გუშინწინ გმირობა გამოიჩინა: ლეკოსთან თამაშისას არ ჩაეძინა. უნგრული დერბის საყაიმო ბოლოს პროგნოზირება ერთობ იოლი საქმე გახლდათ, სამაგიეროდ, ძნელად განსაჭვრეტი იყო ტურის მთავარი პარტიის შედეგი, რადგან დაფასთან კარპოვი და კასპაროვი ისხდნენ. წლევანდელ ლინარესში მეორე და ჭადრაკის მატიანეში ვინ იცის, მერამდენე ეს დაპირისპირება შედარებით მშვიდად დასრულდა. კარპოვს თეთრებით ბევრი არ უჯაჯგურია და არც კასპაროვი ჩანდა მაინცდამაინც გახურების ხასიათზე: პარტიის ნახევარმა ქულამ მას ლინარესის სუპერტურნირი ოფიციალურად მოაგებინა.

ბოლო ტურიღა დარჩა.

დავით გულუა

ვითარება 9 ტურის შემდეგ

1. კასპაროვი 6,5; 2-3. იუდით პოლგარი, გრიშჩუკი 4,5; 4-5. კარპოვი, ლეკო 4; 6. შიროვი 3,5.

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



☎ (231) 7 17 58

ქუთაისში

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტები და სპორტსმენები

REUTERS ჰავანიდან

ქვეყანათა მესაჭენი სპორტის მოყვარე ხალხია. სულაც რომ სძულდეთ სპორტი, სხვანაირად აღარც გამოდის — სპორტი ხალხის სიყვარულია, პრეზიდენტებს კი ხალხი სჭირდებათ — დემოკრატიულ ქვეყნებშიც და პირშავ დიქტატორთა მიწებზეც. ზოგ პრეზიდენტსაც ალალად უყვარს სპორტი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სპორტი, თამაშობა და სიჯანსაღე სიყრმიდანვე შეუთვისებია. ფილიპინების პრეზიდენტი კვლავ ქალია — გლორია მასაპაგალ არროიო. გოლფის სათამაშოდ გასული ქალბატონი გლორია კარგ ხასიათზეა: სწორედ წინადღით ფილიპინების მთავარ სასამართლოს მისი პრეზიდენტობის კანონიერება ულიარებია. ჰოდა, ახლა ბურთის გაგორებაც შეიძლება.

ფიდელ კასტრო კი უკვე მოხუცდა, თავის საყვარელ ბეისბოლს ველარ თამაშობს. სამაგიეროდ, კუბის საუკუნის სპორტსმენის დაჯილდოვებას დიახაც რომ სათავეში ჩადგომია და ამის დამადასტურებელი დიპლომიც გადაუცია მართლაც რომ საუკუნის კუბელი სპორტსმენისთვის, ფელიქს სავონისთვის. მოკრივე სავონი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია.

ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს კი თეთრი სახლის აღმოსავლეთ ოთახში მიუღია ოკლაჰომის უნივერსიტეტის მობურთალთა გუნდი და იმათი თავკაცის, ჯო კასტილიონესგან საპატრო სვიტერიც მიუღია.

REUTERS მანილიდან

REUTERS ვაშინგტონიდან

ცეცხლი ვუოკატისთვის

ათენში ფნიქსის მთაზე ოლიმპიურს ცეცხლი აბრიალდა. ტრადიციისამებრ, ჩირაღდანი მზის ანარეკლისგან ულამაზეს ბერძენ მსახიობს, ტალია პროკოპიუს აუნთია. ახლა ჩირაღდანი ფინეთის ქალაქ ვუოკატისკენ გასწევს, სადაც ათ მარტს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები დაიწყება. რა თქმა უნდა, ახალგაზრდები ზამთრის სახეობებში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

REUTERS ათენიდან

REUTERS ბომბეიდან

შეინი საქაბაბეში

ინდოეთს სტუმრობს ავსტრალიის მოკრიკეტეთა ნაკრები, რომელიც იქაურებს სამტესტა ტურნეში ეპაექრება. ავსტრალიელებმა სულ ბჭეები ულეწეს ინდუსებს ბომბეის მინდორზე და მალე კალკუტას ჩავლენ, სადაც მეორე ტესტი გაიმართება. მანამდე კი, ოზების განთქმული კაპიტანი შეინ ვორნი ბომბეის საქაბაბეებში დაიარება ერთი კარგი ჩალაღაჯის ასარჩევად.

გადმოვხტებიო

ეს კაცი ავსტრალიელი მოგზაური და პარაშუტისტი როდ მილნერია. სიდნეის ცნობილი ხიდის ფონზე გადაღებული ყოფილი ჯარისკაცი აცხადებს, რომ გაუგონარი საჰაერო ნახტომი უნდა აასრულოს და 40 ათასი მეტრის სიმაღლიდან უნდა გადმოხტეს დედამიწაზე. ღმერთმა ყველას თავის ამბავში გაუმარჯოს, სიმამაცის მრავალი ფორმა არსებობს.

REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავთ გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge